



AMAMBINATION OF THE PROPERTY O

8 2 9 W 3 9 9 0 P

30-3


& 3 to 0

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚ-ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲒᲠᲘᲕ_ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ **ᲥᲣᲠᲜᲐᲚ**Ი

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ **ᲝᲠᲒᲐᲜᲝ**

რა მშვენიერი ზღვა გვაქვს, აქარა, რა მომავალი, ძვირფასი ბედით... ქალაქი — ჩვენი ქვეყნის ფანგარა აღმოსავლეთით და დასავლეთით.

a. Osbado



1988

ᲘᲕᲚᲘᲡᲘ ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ



000000

80655660

3032065630096 356253365

ოთარ ფუტკარაძე — სოფელი ღონიერია (ნარკვევი)

3003003, 36085

მამია ვარშანიპე — სახრჩობელა
(პოემა) 7
ალექსანდრე სამსონია — დრამატურგების ქალაქი (მოთხრობა,
გაგრძელება) 16
იაკობ მელია — ლექსები 50
ჯემალ ქათამაძე — თუ კაცს ენდობი (დოკუმენტური მოთხრობა) 52
იაშა თანდილავა — ლექსები 64

335ᲚᲘ 65ᲗᲔᲚᲘ

ილია რურუა—მზის ჩასვლის წინ 66 ლაღო შარაშიძე — მსახიობის ღვაწლი 69

3M9M239700 3A602390

ლილი ჩიქოვანი — "ვაი, ნანა" 71

മാര്യയാര

შოთა ქურიძე — დროის ტვირთს ინიციატივიანი ასწევს 77 იოსებ ბექირიშვილი — უცხოელე-ბის თვალით ღანახული აჭარა (წერილი I)

xoxogo

ვახტანგ ახვლედიანი — რატი მალტოლატი (მოთხრობა) 89

გასულ ორ თვეში



გარეკანის 1-ლ გვერდზე — "ცეკვა". მხატვარი ნინო ნიჟარაძე.

ნომერი გააფორმა ა. ლომამემ. ტექნიკური ხელმმღვანელი შ. დარჩია. მთავარი რედაქტორი ალექსანდრე სამსონია

სარედაქციო კოლეგია:

აზიზ ახვლედიანი, გიორგი გაჩეჩილაძე, ზურაგ გორგილაძე, მამია ვარშანიძე (პასუხისმგებელი მდივანი),

ᲨᲝᲗᲐ ᲖᲝᲘᲥᲔ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲗᲔᲓᲝᲠᲐᲥᲔ, ᲯᲔᲛᲐᲚ ᲥᲐᲗᲐᲛᲐᲥᲔ, ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲩᲮᲐᲘᲫᲔ, ᲤᲠᲘᲓᲝᲜ ᲮᲐᲚᲕᲐᲨᲘ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲮᲐᲮᲣᲢᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲯᲔᲛᲐᲚ ᲯᲐᲧᲔᲚᲘ.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, ენგელსის ქ. № 24. ტელ. 3-33-71



გადაეცა წარმოებას 6.06.88, ხელმოწერილია დასაბეჭდად 23.06.88, საგამომცემლო თაბახი 4,8, შეკვეთის № 1412, ემ 01724, ქაღალდის ზომა 60X90¹/₁₆, ტირაჟი 5000.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის სა-ქმეთა სახელმწიფო კომიტეტის აჭარის ასსრ პოლიგრაფიული საწარმოო გაერ-თიანება, ბათუმი, გორკის, 91.

Государственный комитет Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли. Полиграфическое производственное объединение Аджарской АССР, Батуми, ул. Горького, 91

303G055650M86 356G533655

MODS 370339999

93

0

LM3020 CM600600...

არ შეიძლება ქედას ეწვიო და ერთ, თითქოსდა უმნიშვნელო დეტალს არ მიაქციო ყურადღება — ხელისგულისოდენა ადგილსაც კი ვერსად ნახავთ, საგულდაგულოდ რომ არ იყოს მოვლილ-დამუშავებული. ასეა ყველგან, რაიონის ყველა სოფელში: სად რიყე მოუზვინავს გამრჩე ხელებს, სად კიდევ ჩაგნარი ამოუძირკვავს და სიმინდის ყანა თუ თამბაქოს პლანტაცია უხარებია.

— რაიონს ან სახნავ-სათესი ფართობებისა უჭირს, ანდა მიწის ყადრი იცის აქაუ-

რმა კაცმა. — გამიგონია ხშირად.

ერთიცაა და მეორეც...

თუმცა, ოდითგანვე კარგ მიწათმოქმედად უთქვამთ მთიელი გლეხი, მაგრამ მი-

წის სიმცირე თუ არა, იშვიათად, მისი ესოდენი ყადრი იცოდეს კაცმა.

სხვებზე ნაკლებად არც ზვარელები აფასებენ მიწას — მარჩენალს, მაგრამ... მარ-თალია, სხვა კოლმეურნეობების დარად კუდში არ მიჩანჩალებდნენ, მაგრამ ვერც მო-წინავე პოზიციებზე ყოფნით დაიტრაბახებდნენ. ფართობები, მეზობელ კოლმეურნეო-ბებზე უკეთესი თუ არა, ნაკლებიც არ აქვთ, მაგრამ მკვეთრად განსხვავდებოდა მათი ეკონომიკური მაჩვენებლები. კიდევ მეტი, ერთმანეთის გვერდი-გვერდ საკოლმეურნეო ნაკვეთში 2-8-ჯერ დაბალ მოსავალს იწევდნენ, ვიდრე საკარმიდამოში.

ასე იყო შარშანდლამდე...

ერთ მოხუცს მიზეზი ვკითხე. ხელით სოფლის ცენტრში ავტობუსის მომლოდინე ქალებისაკენ მიმახედა და მითხრა:

- იმ ქალებს ხედავთ? გეგმას ყველა ასრულებს, უფრო მეტის გაკეთებაც შეუძლიათ, მაგრამ ბაზარში პომიდვრით თუ მწვანილით ვაჭრობა ურჩევნიათ.
 - რატომ? არ ვაცალე სათქმელი.
- რატომ და, შრომა უნდა დაუფასო, ბიძია, გლესკაცს. ცხმორისსა და დანდალოში კაცდღეზე 8-9 მანეთს ანაწილებენ, ჩვენ კი ხუთ მანეთზე მეტი არ მოგვიწია...
- ალბათ, ისე ვერ შრომობთ, როგორც ცხმორისელები, ან, თუნდაც, დანდალოელები.
 - შრომა მათზე ნაკლები არც ჩვენ ვიცით, მაგრამ...
 - ორგანიზებულობა გაკლიათ, ალბათ.
- დიახ, მეც ეს უნდა მეთქვა. ნამეტანი ახალგაზრდა კაცი დაგვინიშნეს თავმკდომარედ, გამოცდილება აკლია, არ იცის, როგორ მიუდგეს მშრომელ ადამიანს. კაცს რომ კომკავშირის რაიკომიდან პირდაპირ სამეურნეო ხელმძღვანელად გამოგზავნი, მისგან მეტი მოსალოდნელი არცაა და რაღა გავამტყუნო.
 - როგორ თუ დაგინიშნეს თავმჯდომარე, თქვენ არ აირჩიეთ?
- ვითომ არ იცოდე, ჩვენ ვინ გვკითხავს თავმჯდომარის არჩევას. გვითხრეს, ეს უნდა იყოსო და, ჩვენც ავწიეთ ხელი, აბა, რა გვექნა...

bob. bob. Agbama.

შარშან, თებერვალში, ზვარეს კოლმეურეობას ისევ ახალგაზრდა კაცი, ჭიორგი—ე ტაკიძე, ჩაუყენეს სათავეში. ამჭერად რაიონის ხელმძღვანელთა და სოფლის მშრომელთა აზრი ერთმანეთს დაემთხვა და უყოყმანოდ დაუჭირეს მხარი.

მანამდე გიორგიმ კარგი წრთობა გაიარა წონიარისის კოლმეურნეობაში. მუშაობდა რიგით წევრად, შემდეგ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სასელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მათემატიკის ფაკულტეტი დაამთავრა და სამ წელიწადს დანდალოსა და კოკოტაურის სკოლებში მასწავლებლობდა, ერთი წელი წონიარისის კოლმეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციის განთავისუფლებულ მდივნად იმუშავა,
შემდეგ კი სოფლის კომუნისტების წინამძღოლობა მიანდეს.

ზვარეს კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს თუ არა, პირველ რიგში, ყვე-

ლაზე ჩამორჩენილ უბანს, მეცხოველეობას მიაქცია ყურადღება.

— სოფელში ამბობენ, ძველი თავმჭდომარე სწორედ მეცხოველეობაში შექმნილ არასახარბიელო მდგომარეობას "გადაყვაო" და, ალბათ, თქვენც აქედან იმიტომ დაი-წყეთ საქმიანობის გარდაქმნა, — ვკითხე ერთხელ ხუმრობით.

ოდნავ გაიღიმა და მიპასუხა:

— ამ დარგში მართლაც ცუდად გვქონდა საქმე. ფერმის არც მატერიალურ-ტექნიკური ბაზა აკმაყოფილებდა თანამედროვე მოთხოვნებს და არც პირუტყვის ჭიშობრივი შემადგენლობა, შესაცვლელი იყო ფურების თითქმის ნახევარი... კარგად მოვლილ-ნაპატივები თხა უფრო მეტს იწველება, ვიდრე ჩვენი კოლმეურნეობის ფერმის ძროხაო, იცინოდნენ სოფელში. მართლაც 650 კილოგრამს არ აღემატებოდა ერთი ფურის საშუალო წლიური წველადობა.

— წელიწადიც არ გასულა და, რამდენადაც ვიცი, უკვე 950 კილოგრამამდე გაიზარდა თითოეული ფურის საშუალო ჩამონაწველი. ეს დაეჭვების საბაბს ხომ არ იძ-

ლევა?

— როგორ გეკადრებათ, თქვენაც გაგიგონიათ, ალბათ, ძროხას რძე ენაზე აქვსო. კარგ საკვებს მიართმევ, კარგადაც მოიწველება. ახლა ნახეთ, აბა, როგორი მოვლილია ჩვენი ფერმის საქონელი.

30 სული ველის წითელი ჯიშის ფური ჩამოვიყვანეთ ხერსონიდან, გადავახალისეთ პირუტყვის კიშობრივი შემადგენლობა, გავაძლიერეთ მათი მოვლა-პატრონობა და

სწორედ ამან განაპირობა წველადობის ასეთი მატება.

— რატომ, მაინც და მაინც, ველის წითელი ჯიშის პირუტყვის შეძენა არჩიეთ?

— იმიტომ, რომ იგი შედარებით მომცრო ტანისაა და ადვილად ეგუება ადგილოზრივ პირობებს. კარგ ამინდში შეიძლება საძოვარზეც გაუშვათ...

— ისე, მე რომ მკითხოს კაცმა, მაინც და მაინც ვერაფერი ვაჟკაცობაა შემოყვანილი ფურების ხარგზე პირუტყვის კიშობრივი შემადგენლობის გადახალისება. მათი შესყი-დვა ხომ მძიმე ტვირთად დააწვება ისედაც წამგებიან დარგს.

- მართალი ბრძანდებით, მაგრამ ამ შემთხვევაში სხვა გამოსავალი არ გვქონდა. ახლა უკვე 30 სული დეკეული სანაშენედ გვიყენია და მომავალში შეგვეძლება არა-მარტო საკუთარი პირუტყვის ქიშობრივი შემადგენლობა გავაუმქობესოთ, სხვებსაც გა-ვუმართოთ ხელი.
- მეცხოველეობის აღმავლობაში არანაკლები როლი განეკუთვნება საკვები ბაზის განმტკიცებასაც...
- ესეც გავითვალისწინეთ. შარშანვე ავითვისეთ 15 ჰექტარი ფართობი, სადაც მრავალწლიანი ბალახები დავთესეთ და პირველსავე წელს 50 ტონა მწვანე მასა ავიღეთ. მომავალში შეგვეძლება 80-100 ტონაც დავამზადოთ.

ბუნებრივია, ვიზრუნეთ მეცხოველეთა შრომის პირობების მოწესრიგებისათვისაც:

კეთილმოვაწყეთ ბინები, დასასვენებელი ოთახები, დავაწესეთ მწყემს-მწველავთა მატექს რიალური და მორალური წასალისების საშუალებები. ასე რომ, წლეულს თითოეული ფურიდან, სულ ცოტა, 1.100 კილოგრამ რძეს მაინც ველოდებით.

სამომავლოდ ზვარელები ფერმისათვის თანამედროვე, ტიპობრივი შენობის აგებასაც ითვალისწინებდნენ, მაგრამ, ალბათ, აღარ დასჭირდებათ. განზრახული აქვთ, მეცხოველეობა არენდულ იქარაზე გადაიყვანონ, რაც ამ დარგის რენტაბელობას უზრუნველყოფს.

— ყურადღებას მოითხოვდა სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგი — მევენახეობა. აქ ჰექტარზე საშუალოდ 37 ცენტნერი ყურძენი მოჰყავდათ, რაიონის საშუალო მაჩვენებელზე 25 ცენტნერით ნაკლები. და ეს იმიტომ, რომ ვენახებში მაღალი იყო სიმეჩხრე, სათანადო ყურადღება არ ექცეოდა რიგთაშორისების ორგანული სასუქებით გამდიდრებას.

კოლმეურნეობის გამგეობის მეცადინეობით ამ საქმესაც ეშველა — მევენახეობაში დაინერგა ინდივიდუალური იგარა, დაიდო ორმხრივი ხელშეკრულებები და ფართობები გაუპიროვნეს მევენახეებს, დააწესეს წახალისების ფორმები — სხვა გილდოებთან ერთად კოლმეურნეებს ნატურით ეძლეოდათ ნამეტი პროდუქციის 80 პროცენტი. აი, შედეგიც: შარშან თითოეულ ჰექტარზე 58 ცენტნერი მოსავალი მოიწიეს, წლეულს კი 65 ცენტნერს ელოღებიან.

მეჩაიეობაში არ უქირდათ, მაგრამ საქმიანობის მკვეთრმა გარდაქმნამ ამ დარგის შემდგომ აღმავლობასაც შეუწყო ხელი — წინა წელთან შედარებით 25 ცენტნერით გაიზარდა საჰექტარო მოსავლიანობა. მართალია, ხარისხი ისეთი არ ჰქონდათ, თანამედროვე მოთხოვნებს რომ შეეფერება, მაგრამ ამ პრობლემის მოგვარებას წელს უთმობენ დიდ ყურადღებას. საამისოდ ყოველგვარი პირობა აქვთ ზვარელ მეჩაიეებს — 1,5 ჰექტარზე გააშენეს ჩაის პროგრესული ჭიშები, საგულდაგულოდ დაამუშავეს პლანტაციეთი, მოშორებულ უბნებში ააგეს ორი ფარდული, კვაშტიქედის ნაკვეთებში ნახევარ კილომეტრზე სასმელი წყალიც გაიყვანეს და მოსავალსაც ორგანიზებულად იღებენ.

ქედური ბოსტნეული, განსაკუთრებით, პომიდორი, მთელს რესპუბლიკაშია ქებული. რომ იტყვიან, ზვარელებიც იცავენ "ფირმის" ღირსებას — ბოსტნეულისათვის
საუკეთესო ფართობები აქვთ გამოყოფილი. ამასთან, დარგის მუშაკები სხვა დავალებებისაგან გამოთავისუფლებულნი არიან და ამიტომაცაა, რომ გულმოდგინედ შრომობენ — მათ შარშანდელი დავალება 3 ტონის გადამეტებით, თან ასორტიმენტის ზუსტი
დაცვით შეასრულეს.

შრომითი მიღწევები საბოლოოდ ეკონომიკურ მაჩვენებლებში პოულობს გამოხატულებას: შარშან რენტაბელობამ 21-დან 25 პროცენტს მიაღწია, ყოველ კაცდღეზე 5 მანეთი და 75 კაპიკი განაწილდა, რითაც ერთი კოლმეურნის საშუალო შემოსავალმა 2,846 მანეთს მიაღწია.

კიდევ უფრო მეტს იღებენ ცალკეული კოლმეურნეები.

მაგალითად, შარშან მოწინავე მშრომელების თამარ ბერიძის, ჭემალ გორგილაძისა და სხვათა საოჭახო ბიუჭეტი ოთხ-ოთხი ათასი მანეთით შეივსო. ეს მარტო კოლმეურნეობიდან, ცხადია, აქ არ იგულისხმება პირადი დამხმარე მეურნეობების შემოსავალი.

და კიდევ — ბოლო ორ წელიწადში 10-12-მა ოქახმა ახალი, თანამედროვე ყოფის შესაფერისი ოდა-სახლი აიშენა და კომფორტული ავექითაც მოაწყო. შრომაში წარმო-ჩენილ მშრომელებს კოლმეურნეობა მატერიალურადაც ეხმარება. ამარაგებს სამშენებ-ლო მასალებით, უყოფს კრედიტს. მაგალითად, გერასიმე ჩხეიძეს სახლის მშენებლო-

ბისათვის 10.000, ილია ჩხეიძეს კი 1.500 მანეთი გამოუყო, იმის მიხედვით, ვის რაშდენი სჭირდებოდა.

რაც კოლმეურნეობები გამსხვილდა, ადრინდელ სასოფლო ცენტრებს ყურადღება მიაკლდა. ზვარეში შარშან ამ მხრივაც გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჭები — ვაიოსა და ზესოფელში კეთილმოეწყო სასოფლო გზები, კაპიტალურად შეკეთდა ხიდები, ახლა რეკონსტრუქცია უკეთდება ზვარეს სასოფლო გზას, 5 ათასი მანეთი დაიხარჭა საკლუბო დაწესებულებების შეკეთებისათვის, 3 ათასი მანეთისაც ავეჭი და მუსიკალური ინ-ვენტარი შეიძინეს. ცხადია, საამისოდ მომავალშიც გამოიყოფა თანხები.

ახლა ზვარეს კოლმეურნეობაში მოქმედებს ერთი საშუალო, ორი რვაწლიანი და ორი დაწყებითი სკოლა, ოთხი კლუბი, ამდენივე ბიბლიოთეკა, ერთი საექიმო ამბულატორია, სამი საფერშლო-საბებიო პუნქტი, 5 მაღაზია და მომსახურების სხვა ობიექტები. სოფლები ჩართულია რაიონის ავტომატურ სატელეფონო ქსელში, ყველგან იღებენ ტელეგადაცემებს, მაგრამ მოსაწესრიგებელია სოფლების რადიოფიცირების საკითხი.

ნაკლოვანებები? ნაკლოვანებები ჯერ კიდევ მრავლადაა ზვარელთა საქმიანობაში.

- მაინც რა მიგაჩნიათ თქვენი საქმიანობის ნაკლად? ვკითხე გიორგი ტაკიძეს.
- უმთავრესი ნაკლი, მითხრა ცოტაოდენი დუმილის შემდეგ, ვფიქრობ, ისაა, რომ სუსტია მომთხოვნელობა და კონტროლი. ალბათ, ამის გამოა, რომ ზვარეს პირველი და ზესოფლის მეორე ბრიგადები, რომლებსაც ილია გოგიტიძე და დავით ბერიძე ხელმძღვანელობენ, აქტიურობენ, ვაიოსა და კვაშტის ბრიგადები კი (ხელმძღვანელები შაქრო ჭაღალიძე, ყედირ დავითაძე, ნოდარ დოლიძე) მაინცადამაინც ვერ იჩენენ თავს. ყველა რომ ერთნაირი მონდომებით შრომობდეს, ალბათ, შედეგები გაცილებით უკეთესი გვექნებოდა.
- წინსვლა, მართალია, გვაქვს, მაგრამ კვლავაც საგრძნობია დისპროპორცია საკოლმეურნეო და საკარმიდამო ფართობების მოსავლიანობას შორის. საუბარში ჩაგვერია კოლმეურნეობის მთავარი აგრონომი შალვა ბერიძე, მაგრამ, ალბათ, მომავალში ამ ნაკლოვანებასაც გამოვასწორებთ, რაშიც დიდად შეგვიწყობს ხელს საარენდო იქარა, რომელიც მტკიცედ იკიდებს ფეხს ჩვენს კოლმეურნეობაში. აქამდე უმთავრესი დარგების აღმავლობისათვის ბევრს ვზრუნავდით, მეორეხარისხოვანი კი უკანა
 პლანზე გვრჩებოდა. ამ სიახლის დანერგვით, ალბათ, ეს პრობლემაც მოისპობა.
- მეტ ყურადღებას მოითხოვს აგრეთვე სოციალური სფერო, ცალკეული უბნების კეთილმოწყობა. მომავალში, სრული სამეურნეო ანგარიშით რომ შევუდგებით საქმიანობას, ალბათ, ამ მიზნით უფრო მეტი თანხების გამოყოფის საშუალება გვექნება.
- მითუმეტეს, რომ კანონი სახელმწიფო გაერთიანებების შესახებ უფრო მეტ დამოუკიდებლობას, მეტ უფლებებს გვანიჭებს.—სიტყვას ართმევს გიორგი ტაკიძე.
 - პრობლემები?
- არსებითი პრობლემები, გარდაქმნაში ხელს რომ გვიშლიდეს, არა გვაქვს. ერთი ისაა, რომ ახალგაზრდებს ვერ ვამაგრებთ სოფლად საკარმიდამო მიწის ფონდის უქონ-ლობის გამო. დღეისათვის 20 ოქახი მაინც გვყავს გასაყოფი.
 - როგორი მაჩვენებლებით შეხვდით XIX საკავშირო პარტიულ კონფერენციას?
- სუთი თვის დავალებანი, თითქმის ყველა მაჩვენებლის მიხედვით, დიდი გადაქარბებით შევასრულეთ. ვფიქრობთ, ასევე წარმატებით მივიდეთ წლის ფინიშამდე.
 უკან დახევის უფლება არც გვაქვს ჩვენ ხომ შარშანდელი მაჩვენებლებით რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გავიმარჯვეთ და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, პროფსაბჭოსა და საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი დროშა დავიმსახურეთ.

ჩვენი მიზანია, კვლავაც შევინარჩუნოთ ეს საპატიო ჯილდო.

6 J B m B m 3 J C J

659&30**Ლ**0 599230

1

მზე ჭახათის მთას თავზე დაუსვამს, ქვეყანა მიაქვს ოქროს ნამქერებს, ღვიძავს ენძელებს, ვარდებს ნამუსრალს, ასკერებმა რომ წუხელ გათქერეს. ასკერებია ყველა სოფელში, რა არ შებილწეს, რა არ გათელეს, ჩვენი ეროვნულ თავისუფლების კომიტეტებიც ლამპრებს ანთებენ. განა აჭარას დუშმანს დავუთმობთ, არა, წამითაც ხმალს არ ჩავაგებთ, ნუ გეგონებათ, რომ ჩვენ მარტო ვართ, ღედათბილისი გვმოძღვრავს, გვამაგრებს. ვინ არ ლაყბობს და ვინ არ სისინებს, ორპირ-ორგული დაჰქრის წამდაწამ, და ტკბილი ენით გხიბლავს ვიცი მე, ჩუმად გაპარებს წყალში საწამლავს, ფრთხილად იყავით, ფრთხილად იყავით, არ წამოეგოთ ორგულთ ანკესებს, თავს ნუ ჩაუდებთ ხოჯას კალთაში, ძმებო, ვაჟკაცნო, თქვენაც დაჰკვესეთ! აი, ვერ ხედავთ, მამულს გვართმევენ, ახალციხეში დროშა გაჰკიდეს, ეს იმიტომ, რომ თვით ორგულებმა მამულ-დედული გროშად გაჰყიდეს. განა ცოტაა ჩვენი გამცემი, მიტომ იმარჯვებს მტერი აღვილად. ვერ ხედავთ განა?! — ასკერი ღამით ჩუმჩუმად იქით გადაადგილდა...



ვით არაფერი არ გაგვიგია, ჩვენი აისი ისე მოთრგუნეს, ქი.ბულეთში ხომ დათარეშობენ, ეპარებიან ახლა ოზურგეთს. ქედიდან მოჰყავთ ჯარი მაშველი, ისე უჩუმრად, ვერც კი გაუგებ, ეს ვინ არიან?! გამყიდველები?! ხალიჩა ჭრელი ეს ვის გაუგეს?! ვინ არის იგი, რისთვის უცინის, ვიყო მომკვეთი ნეტავ იმ ხელის, ასე ტყდებოდა სული ქართული, ასე ტყდებოდა ქართლის ციზენი. მიიპარება ასკერი ჩუმად, ვიცი, საითკენ მიიპარება, ხვალ იქნებ დიდი შვავი მოსკდება და ბევრი მიწას მიებარება.

2

არა, არ სძინავთ არც პატრიოტებს, გამოიღვიძა სულმა ძირძველმა, წლისა ცხრამეტის, აჭყვისთაველი მამაცი შევქეთ ანანიძეა. ჭანიეთელი სიმონ ჯაყელი, სიყრმის ძმაკაცი, მისი მხარია, ერთად ისწავლეს მათ "დედა ენა", ურთერთის ძმობა მათ უხარიათ. სულ მიმოდიან აქეთ და იქით, ისე, რომ გუმანს არსად ამხელენ; ღამეა. შეხვდნენ საღღაც ტყის პირას, აქეთ გახედეს, იქით გახედეს. უნდა აცნობონ მთავარს ამაღამ, რომ ეპარება მტერი გურიას, ვერ შეაჩერებთ გზები კლღოვანი ასე მამაცებს, ასე გულიანთ. შევქეთს უბარის — მიჯნურსაც ნახავს, თუმცა განა ეს მთავარი არი?! მიღიან გზად და იგონებს ახლა, სატრფომ აჩუქა "თამარიანი". როცა კითხულობს: "პე, შალვავ ჩემო,



ჩემს სიცოცხლეზე უფრორე ტკბილო!" აჟრჟოლებს, თითქოს ციებას ჩემობს და სატრფოს ნახვას მალიმალ ცდილობს. დიას, მიჯნურსაც ნახავს და გზნებით ეტყვის: — "მოვედი, ჩემო ლეილა! მოდი, მომხვიე თბილი ხელები, უშენოდ ყოფნა ჩემთვის მნელია. უშენოდ გული დაჭრილი ჰყივის უშენოდ ჟამი მეტად გრძელია!" ტანჯავს გოგონას უნახველობა და როგორ ნატრობს ნახვის ტკბილ წამებს, და სიკვდილამდე მზივ სალოცავად შეყვარებულს და მამულს იწამებს. "ეჰ, თურმე გოგო თუ შეგიყვარდა, დაკარგავ ძილსა და მოზვენებას, რა საამოა, რა საამოა მისი სახელის გულშიც ხსენება. შენ გენაცვალე, შენ შემოგევლე ჩემო სიცოცხლევ, ჩემო ლეილა!" ფრთხილად მიდიან, ჩქარა მიდიან, იქ თავკაცები მაცნეს ელიან. ტყე-ტყე მიღიან გარინდებულნი, იცის გზა-კვალი, იცის შევქეთმა; აი, ჭახათის მაღალი ყელიც, და ნისლს მიცრეცილს მთაზე შეხედა. — ოზურგეთამდე მივალთ დილამდე! უთხრა სიმონს და კვლავ გზა განაგრძეს... სღექით! — იქუხა ტყიდან ვიღაცამ. აქვე დაგხოცავთ ხელს თუ გაანძრევთ! ხმალივით მოხვდათ სიტყვა თურქული, მიხვდნენ ყოველი, თავს ვერც უშველეს, წინ გადაუდგა ათი ასკერი და განრისხებით ლულებს უშვერენ. მმებს გული უმგერთ მეტად მრისხანედ, იქნებ ხელდახელ ლომებრ შეებან... ვინღა აცნობებს ამბავს თავკაცებს, ანდა ძმობილებს რა ეშველება?!



ჭახათში თურქთა მცირე შტაბია, ისმეთ ბეგია მისი მთავარი... ისე იელვა, ისე იქუხა, თითქოს ჩამოსკდა სახლის თავანი. აი, ეს კაცი ქრისტიანია, არ მიკვირს, რომ გვმტრობს მთელი არსებით, შენ მუსლიმანი როგორ გვღალატობ, როგორ გაგიჩნდა ფიქრი ასეთი?! — – ვინ ვიყავ, ვინ ვარ, არ ვიცი განა, ვიყავ, ვიქნები ქართველი მუღამ. ახ, შაითანი ჩაგიძვრა სულში, ჩაგიძვრა სულში და გაგამრუდა?! ჩვენ ვაზანზარებთ შიშით აჭარას, შენ კი რას ბედავ, როგორ გვღალატობ?! დაჰკრა ხელჯოხი ჩქარა და ჩქარა. ბიჭი ხელბორკილს ღვარსისხლს დაალტობს. ბოღმა დუღს, ბოღმა სულსა და გულში, მოკვდება მისთვის, რაც უყვარს, რაც სწამს, მუხლებზე მას ვერ დააჩოქებენ, ვერ შეურხევენ ერთხელაც წამწამს... გამაგრდი ასე, ჭაბუკო ჩემო, წარსული გვქონდა ჩვენ სასახელო, მიტომ ეძახდა ჩვენი ილია, აი, ამ სამხრეთს დიდ საქართველოს. ვიყავთ უებრო ჩვენ მწიგნობარნი, "ვეფხისტყაოსანს" გულში ვიკრავდით... და მერე მტერმა ხმალით, მახვილით გაგვიპო უღვთოდ გულის ფიქალი. გაგვიჩანაგა ჩვენი ანბანი და ჩვენი რწმენა ქრისტიანული, სისხლიანია ჩვენი ამბავი, მეც ამ სტრიქონებს ვწერ სინანულით. წაგვართვა შოთას წიგნი — მნათობი, ჩვენ რად გვინდოდა მისი ყურანი... მერე დავბრმავდით, დავჩაჩანაკდით,



ბრძენიც კი მერე ბრმა და ყრუ არი. გამაგრდი ასე, ჭაბუკო ჩემო, რომ დავუბრუნდეთ ჩვენს დედაბუდეს, მსხვერპლიც გავიღოთ ასიც, ათასიც, აჭარა დედას რომ დაუბრუნდეს.

4

ყორანმა ფრთები ააშრიალა
და სოფელ-სოფელ გადაიქროლა,
ჩვენი მამაცის, ჩვენი შევქეთის
შავი ამბავი ყველგან მიჰქონდა,
ამბავი სოფლებს გადაეფოფრა,
ვინ რას ფიქრობდა, ვინ რას ფიქრობდა!
ერთი შვილი ჰყავთ, როგორც იტყვიან,
მასზე ამოსდით მზეცა და მთვარეც,
დედაც ტირის და მამა-მშობელიც,
არ ეკიდება რული მათ თვალებს...
ისმეთ ბეგს თხოვენ, აპატიეო,
ეს მუდარაა კეთილთა სულთა.
— არა და არა, მან უღალატა
სჯულს, ალაზსა და ღმერთის სწორ

ახ, როგორ დარდობს სიმონ ჯაყელი, მას ხომ ბორკილი უკვე აჰყარეს, განდევნეს იგი ჩოლოქის გაღმა, იგონებს შევქეთს, ვით ძმას საყვარელს. "— ვინღა უშველის ჭაბუკს განწირულს, ჩემს თვალწინ მკაცრად რამდენჯერ სცემეს". და მეგობარი ვეღარ იოკებს, ვეღარ იოკებს ცრემლებს და ცრემლებს. ლეილას ნახავს სიმონ ჯაყელი, ეჰ, რა უთხრას ქალს ნაზსა და ტურფას?! შედის საყდარში აღელვებული და ევედრება მუხლმოყრით უფალს: "— უშველე ჩემს ძმას, აჭარელ შევქეთს, არა, სიცოცხლე უმისოდ არ მსურს, ჩემო უფალო, ისმინე-მეთქი, მე ძმა და საქმრო აჩუქე ასოლს!"



იმშრალებს ცრემლებს გრძელი თითებით, მერე მივა და დაანთებს სანთლებს; "— უფალო ჩემო, გთხოვ შენი მონა, შენ შეეწიე მუსლიმან ქართველს!"

5

ეს საყვარელი ჩემი გზა არის, ძლივს რომ გაივლის ჩემი ურემი, ეს საყვარელი ჩემი წყალია, აჭარისწყალი, გრძელი, ულევი. მიღის გზა, მიღის, მიიწელება, ხან იგრიხება ძაღლის კუდივით. როგორ შეცვლილა შემოგარენი, თუმცა რა არის აბა მუდმივი. მიღის ბაღრაგი, ხელებშეკრული მიჰყავთ ჭაბუკი, მეტრფე მამულის, მთებსა და ტყეებს ისე გასცქერის, თითქოს დაჰკარგა აქ სიყვარული. ახსოვს, ესტუმრნენ ძია კაცს აბდულს, პატარა იყო, ეს იყო ადრე, ეჰ, მაშინ იყო თავისუფალი ახლა კი ხელზე ბორკილი ადევს. ბიჭს მოეფერა აბდულ-ეფენდი, მოეფერა და სიტყვა თქვა მშვენი: "- დე, გაზრდილიყო კაცი ისეთი, რომ იამაყოს აჭარამ შენით!". "— ნეტავ, ის ძია ცოცხალი არი? დალოცვილს პატივს ვინ არ მიაგებს, იქნებ დამიხსნას, იქნებ მიშველოს, ამ ბორკილს ოხერს უმალ მივაგდებ!".

6

ქედაა ოსმალთ მთავარი შტაბი, ფრთა გაუშლია ამაყ გენერალს, თოფიც მისია, ძალაც მისია, როგორ გგონია, ვერ მოგერევა?! ძალა არა აქვს შენს მაჭაზელას და ჯერაც არსაღ გამოჩნდა მხსნელიც,



გათოფილია ყველა ბილიკი, გათოფილია, მთაა თუ სერი. მონა გამხდარხარ შენივ მამულში, უხმოდ ჰმორჩილებ, თუმც გული გერჩის... ეს ალი-აღა სირაბიძეა, სოფლის რჩეული და სოფლის ელჩი. ზდილობიანად თხოვა ჯარისკაცს, მას სურდა ნახვა თურქი გენერლის. შევიდა მასთან დიდი თემენით, გონიერი და გერგილიანი. გემუდარებით, გვაჩუქეთ ბიჭი, ჩემო ბატონო, იყავთ შემნდობი. ეს განაჩენი სულთნის ნებაა, მე აღმსრულები ვარ ქვეშევრღომი. — ვიცი, სულთანი არის კეთილი და ჩვენი თხოვნა აცნობეთ სტამბოლს! იქნებ მოალბოს გენერლის გული და ხელზე იგი მას უყოფს ამბორს. ვერ დააოკა სული გენერლის, გარეთ გავარდა გულგაჩეზილი. — ვნახოთ აჭარა სანამ შეგრჩებათ! გამოაგორა სიტყვა მეზივით.

7

ცხადია თუ სიზმარია?!
თავის სატრფოს ის წერს წერილს:
ტურფავ, ჩემო სიცოცხლეო,
გესალმები გულით წრფელით.
გენაცვალე, ჩემს გულში ხარ,
ისე, როგორც წმინდა ხატი.
მე უშენოდ ვერ ვიცოცხლებ,
შენ გიგონებ მუდამ ნატვრით.
ო, რამდენი სათქმელი მაქვს,
რომ გიგონებ, ტირილს ვიწყებ,
მენატრება ის დღე ტკბილი,
მე და შენ რომ ჯვარს დავიწერთ! —
წერილს ატანს სიმონ ჯაყელს,
ჯაყელი კი სატრფოს მისცემს,



თითქოს ხედავს... გოგო ტირის, და იფიცებს მის გულს, მის ცრემლს.

8

სახრჩობელა — ტარაღავი, ოსმალურად ასე ჰქვია, მკვიდრნი ჩემი მამულისა მრისხანებით მიმოქრიან. ჰა, შევქეთიც მოჰყავთ, მოჰყავთ, ქალი, კაცი მისდევს უკან, არ ჩქარობენ, ნელინელად ამოყელეს გრძელი შუკა. ის რა არის, ის რა არის, თოკი არის გასანთლული?! მოჰყავთ შევქეთ ანანიძე, სევდიანი, გათანგული. შეაჩერეს მაღალ სვეტთან, რომელს ჰქვია ტარაღაჯი... პირზე ფერი გაკრთომია, ჩამოშლია ჭაბუკს ვარჯი. მიეახლა ვიღაც ხოჯა, და უბედურს ასე ურჩევს: – თქვი, რომ შეცდი, მუსლიმანო, შენ ასეთ დროს რა გაურჩებს?!. ქართველი ვარ, და გულს ჩემსას ვერაფერი ვეღარ შეცვლის, გინდ მაჩუქონ, რაც ხელმწიფეს განძად უდევს ოქრო-ვერცხლი!.. ჰა, ლეილა მოელანდა, ის შორიდან მანდილს უქნევს, ბიჭი გზნებით სატრფოს უხმობს: — ერთი კოცნა მისაჩუქრე! ქალი ნაზი აიმედებს: — არ იღარღო, მოვალ შენთან! მოირბინა... მოირბინა... და ღიმილით მის წინ შედგა, ყელი ყელსა გადაეჭდო... ჯალათმა რომ შეუტია,



სიყვარულით დამტკბარ ჭაბუკს არაფერი შეუტყვია...
და ამბობენ: როს შეიტყო მიჯნურმაო ეს ამბავი, გადიკარგა სახლიდან და მამამ შესმრა მთა და ბარი. მაგრამ ვერსად ვერ იპოვეს, გაჰქრა ისე, როგორც კვამლი, მამაც, დედაც გულს იხოკავს, ვაპოვნინოთ იქნებ კვალი!

30626360

აგერ ჩემი მუზეუმი, განა ხშირად არ შევალ მე?! დიახ, შევალ და კედელზე მე ერთს სურათს თვალს შევავლებ. ეს ის არის, შევქეთია, მამულს თავი რომ შესწირა, მისი გვარი და სახელი აჭარაში ახლა ბრწყინავს... და ლეილა მაგონდება, მისი სატრფო – ის სულმნათი, როგორ მინდა, ვაჟთან ერთად იყოს მისი მზის სურათიც. ორთა შორის წილი ეღოს მათ მეჯვარეს — სიმონ ჯაყელს, მე კი ვწერდე წიგნს მათ ბედზე, და საყვარელ მუზებს გავყვე.





265333063063390 3393300

6000 0°06080°085°300°5

დიახ, გაზაფხულის იმ სურნელოვან ღამით იოსებ ქობულაძის ხუმრობით ნათქვამი სიტყვები წინასწარმეტყველური აღმოჩნდა და წლების შემდეგ სამსონ ალავიძის ორმოქმედებიანი და ოცდაოთხმოქმედპირიანი ჰეროიკული კომედია "ჩემი მეგობარი სილევანი" მართლაც დაიდგა დრამატურგების ქალაქის თეატრში, მაგრამ ამ დადგმას იმდენი ღირსსახსოვარი მოვლენა უძღოდა წინ, რომ დავიწყების ბურუსიდან მათ გამომზეურებას ამ მოთხრობის ავტორზე უფრო მკლავმოუღლელი მწერლის ენერგია დასჭირდება. ამიტომ, მკითხველების თანხმობით, მე მხოლოდ რამდენიმე არაჩვეულებრივ ეპიზოდს გავიხსენებ სამსონ ალავიძის მოწამებრივი ცხოვრების ისტორიიდან.

სიტყვა "მოწამებრივი" მე შემთხვევით არ მითქვამს. ცხოვრება, რასაკვირველია, რთულია, წუთისოფლის გზა სიმღერით ვის გაუვლია, მაინცდამაინც სამსონ ალავიძეს რომ გაევლო, მაგრამ სხვებთან შედარებით,
პატივცემულ სამსონს ტკბილზე მეტი მწარე ჰქონდა შესმული, თუმცა,
"ო, რა გემრიელიაო", მაინც გაიძახოდა, რადგან საკუთარი ნიჭის იმედი
ჰქონდა და მომავალს ოპტიმისტურად შეპვურებდა, ობივქტური თუ ვიქნებით, იმედთან ერთად უიმედობაც იყო, სიხარულიც და სინანულიც. ყველაფერი, ბოლოსდაბოლოს, ერთი კეთილი საქმით დაგვირგვინდა. თქვენ,
ალბათ, მიხვდით, ამ სიკეთეში სამსონ ალავიძის კომედიის დაბადებას
ვგულისხმობ ადგილობრივი თეატრის სცენაზე, რაც აგრეთვე ქალაქში
მეხუთე დრამატურგის დაბაღებას ნიშნავდა.

ყველაფერი ეს, როგორც გითხარით, წლების იქით მოხდა, აქეთ კი ისევ სამსონის სიყრმეს უნდა დავუბრუნდეთ, კერძოდ, თხრობა იმ დაუ-ვიწყარი საღამოდან უნდა გავაგრძელოთ, როდესაც დრამატურგების ქა-ლაქში ვოლდემარ შარაშიძის ისტორიული პიესა "1812 წელი" დაიდგა.

ვოლდემარ შარაშიძე იმ რთულ ეპოქაში არა თუ პატარა ქალაქის, არამედ მთელი დასავლეთ საქართველოს მასშტაბითაც პირველ და ერთ-აღერთ დრამატურგად ითვლებოდა, რადგან ლიტერატურის ამ ურთულეს დარგში მომუშავე სხვა პიროვნებები ჰორიზონტზე კი არა, ჰორიზონტს იქითაც არ ჩანდნენ, სწორედ ამიტომ პირველობისა და ერთაღერთობის

გაგრძელება. იხ. "ჭოროხი" №, № 2, 3.

nemeracenae

სიმბოლური გვირგვინი მხოლოდ და მხოლოდ ბატონი ვოლდემარის დადელება ბულ შუბლს აკეთილშობილებდა. მისი პიესები, მშობლიური თეატრის გარდა, შავი ზღვის აუზის სხვადასხვა ქალაქშიც იძენდა სცენურ სიცო-ცხლეს, რამდენიმე საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხთა ენებზეც იყო თარ-კმნილი და მაყურებელთა ერთსულოვან მოწონებას იმსახურებდა.

გმნილი და მაყურებელთა ერთსულოვან მოწონებას იმსახურებდა. ვოლდემარ შარაშიძის ყველა პიესის ჩამოთვლა ჩვენ კი არა, ალბათ, ავტორსაც გაუჭირდებოდა. ამიტომ მხოლოდ იმ უცილობელი ფაქტის. აღნუსხვით დავკმაყოფილდეთ, რომ ამ პიესებიდან მეტად მნიშვნელოვანი და მოწონებული სახალხო დრამა "1812 წელი" იყო. საერთოდ, ბატონი ვოლდემარი ისტორიას თანამედროვეობაზე უკეთ იცნობდა, ყოველ შემთხ-ვევაში, ერუდირებული მემატიანის რეპუტაციით სარგებლობდა და იმ წინადმდეგობით აღსავსე დროშიც კი ვერც ერთი ავის მსურველი ვერ უკიჟინებდა, კოსმოპოლიტი ხარ, ან კიდევ წარსულის აპოლოგეტიო. მისთვის წარსული მხოლოდ და მხოლოდ აწმყოს გაგრძელება იყო და ისტორიის მამოძრავებელ ძალას მხოლოდ და მხოლოდ ხალხი წარმოადგენდა. აკი ამიტომაც ღაარქვა თავის "1812 წელს" სახალხო დრამა.

როგორც სათაურიდან მიხვდებით, ეს დრამა პირველი სამამულო ომის დაუვიწყარ ეპოპეას აცოცხლებდა. მთავარი მოქმედი პირი, რასაკვირველია, ხალხი იყო, და ისიც რასაკვირველია, ამ ხალხთან ერთად, სამშობლოს საღიღებლად სიცოცხლეს არ ზოგავდა ქართველი გენერალი პეტრე ბაგრატიონი. მასთან ერთად სცენაზე იმომში მონაწილე თითქმის ყველა მხედართმთავარი გამოდიოდა, მაგრამ ისტორიულ პიროვნებათა ამ დიდებულ გალერეაში გამორჩეული აღგილი მაინც ბაგრატიონს ეჭირა. ეს არამარტო ღრამატურგის ნებით, არამედ მსახიობ იოსებ ქობულაძის ნიჭიერი თამაშითაც იყო განპირობებული, თუმცა სიტყვა "თამაში" უძლურია იმის გადმოსაცემად, რასაც დიდებული იოსები სცენაზე აკეთებდა. არათუ ღარბაზში მსხდომი მაყურებლები, არამედ ღრამის მთავარი მონაწილენიც, ნაპოლეონიცა და კუტუზოვიც, ისე პირდაღებული მისჩერებოდნენ ბაგრატიონს, რომ საკუთარი რეპლიკებიც ავიწყდებოდათ. მეტსაც გეტყვით, გენერლის ღაჭრის ეპიზოღში, როდესაც იოსებ ქობულაძის ტალანტი მეტეორივით აელვარდა, მაყურებელთა ოვაციას თავისი მქუხარე ტაშით არათუ კუტუზოვი, ნაპოლეონიც შეუეროდა. ეს ტაში, ცხადია, პიესის მიხეღვით არ იყო გათვალისწინებული, მაგრამ უხერხულობა არავის უგრძვნია, პირიქით, ბევრმა იგი დამღგმელი რეჟისორის, შალვა ჩინჩალამის, ღრმაღ გააზრებულ მიზანსცენად მიიჩნია.

ოთხმოქმედებიანი სახალხო დრამა ზუსტად ოთხ საათს გაგრძელდა, მაგრამ ხალხით გაჭედილ დარბაზს ერთი მაყურებელიც არ დაჰკლებია. პი-რიქით, მეორე მოქმედების შემდეგ კარები გახსნეს და უბილეთოდ დარ-ჩენილი საზოგადოება თეატრში შემოუშვეს. დაახლოებით ისეთი ამბავი

მოხდა, რაც ერთ დროს სტადიონზე ხღებოდა, როდესაც ხალხი ექ ავტუქე მანქანის მოსაგებად კი არა, ფეხბურთის სანახავად დადიოდა. სტადიონისაგან განსხვავებით, თეატრში არც წესრიგს არღვევდა ვინმე და არც სპექტაკლის მონაწილეებს აგინებდა. ტაში და ოვაციები, რასაკვირველია იყო, "ბრავოს" შემახილებიც, მაგრამ მოზეიმე დარბაზში მაინც საოცარი წესრიგი და ჰარმონია სუფევდა.

მოსახდენი მაინც ფინალში მოხდა, როდესაც ბოროდინოს ველი ყვავილებით დაიფარა და მძიმედ დაჭრილი ბაგრატიონი "გაფრინდი, შავოზ შერცხალოს" სიმღერით გააცილეს სცენიდან. ბევრი დარწმუნებული იყო, გენერალს სამკურნალოდ საქართველოში წაიყვანენო, მაგრამ დრამატურგის ჩანაფიქრით, ბაგრატიონს არათუ წინაპართა სამშობლოში წასვლა, არამედ სიკვდილიც არ ეწერა, რადგან ხალხის ხსოვნაში იგი უკვდავი უნდა დარჩენილიყო.

როგორც ასეთ დროს ამბობენ, ფარდა ნელ-ნელა დაეშვა. მიჭირს იმის აღწერა, რაც მაშინ დრამატურგების ქალაქის თეატრში ზდებოდა. ამი-ტომ ყველაფერი თქვენ ჩემს დაუხმარებლად უნდა წარმოიდგინოთ. ჩვენი მხრით მხოლოდ ერთს დავუმატებთ: ასეთ წუთებში შეგეძლოთ გერწმუ-ნათ, რომ თეატრი ნამდვილად ტაძარი იყო და მაყურებელი — ამ ტაძარ-ში სალოცავად მოსული ხალხი. ჭეშძარიტალ დიდ არს ძალა ხელოვნე-ბისა!

ფარდა ზუსტად ათჯერ ასწიეს და ჩამოუშვეს. პირველ აწევაზე მხოლოდ მასში მონაწილე მსახიობები დარჩნენ სცენაზე და, დარბაზთან ერთად, მქუხარე ტაშით იოსებ ქობულაძე გამოიცვანეს. მეორე ფარდაზე დამდგმელი რეჟისორი შალვა ჩინჩალაძე გამოჩნდა, იგი იმ ეპოქისათვისაც
კი არაშესაფერისად იყო გამხდარი და ჩესუჩის კიტელი ნათხოვარივით
ეკიდა მხრებზე. რეჟისორს მხატვარი ფილიპე ანტონოვი გამოჰყვა, როშელიც შეშინებული სულ მაღლა იყურებოდა, ამდენი ტაშით ჭერი არ ჩამოინგრეს, თავზე არ დამეცეს და მტრები არ გავახაროო. რა სათქმელია,
მაგრამ მტრები ფილიპეს კი არა, იოსებ ქობულაძესაც ჰყავდა თეატრში.

ფარდა იხსნებოდა და იხურებოდა, მაგრამ დრამატურგი ვოლდემარ

იარაშიძე მაინც აგვიანებდა გამოსვლას. მაყურებელი კი დაჟინებით მოი
თხოვდა, ავტორი და ავტორიო! მეცხრე აწევაზე, როგორც იქნა, ავტორიც
გამოჩნდა. იგი საშუალო ტანისა და საშუალო ასაკის თავქოჩორა სიმპა
თიური კაცი გახლდათ. მარცხენა ხელში ტროსტი ეჭირა, თუმცა რეჟი
სორის გალახვას არ აპირებდა, და მარჯვენაში — პაპიროსმოუკიდებული
მუნდშტუკი. დარბაზი ტაშისცემით გუგუნებდა, მაგრამ ყველაზე გამორჩე
ულად მაინც სამსონ ალავიძე იკლავდა თავს. ჯერ ერთი, პიესა ძალიან
მოეწონა და იმიტომ, მეორეც კიდევ, გულის კუნჭულში იმედი ჰქონდა,
ჩემს თავგამოდებას დრამატურგი უსათუოდ შეამჩნევს და დამიმახსოვრე-

The second second

Andrew Market



პსო, მაგრამ იმ მომენტში ვოლდემარ შარაშიძე, დიდების გარდა,

ფერს ხედავდა.

მართალია, პირველი ცდა წარუმატებელი გამოდგა, მაგრამ იმ ღამით ბატონი ვოლდემარის გაცნობა სამსონ ალავიძემ მაინც მოახერხა. ჩვეუ-ლებისამებრ, დრამატურგს მსახიობების გასასვლელთან დაუდარაჯდა. ვოლდემარ შარაშიძე და იოსებ ქობულაძე ერთად გამოვიდნენ თეატრიდან და ხელკავით ანუ "პოდრუჩკით" გაუყვნენ მთავარ ქუჩას. მათ უკან მიმა-ვალი ხალხის აღტაცებულ შეძახილებზე აღარ შევაჩერებ თქვენს ყურად-ღებას, მხოლოდ იმას დავსძენ, რომ ამ მოზეიმე ხალხში იოსების მახვილ-მა თვალმა კითხვის ნიშანივით მომლოდინე სამსონ ალავიძე შენიშნა დაუმალვე მასთან გაჩნდა.

 სპექტაკლი ხომ მოგეწონა, ყმაწვილო? — ჰკითხა გაღიმებულმა იოსებმა, თუმცა რა კითხვა უნდოდა, როდესაც თავისი შთაბეჭდილება ბიჭს

აშკარად ეხატა სახეზე.

— რასაკვირველია, მომეწონა.
 — საჩქაროდ თავი დაუქნია სამსონმა,
 — მაგრამ ყველაზე უფრო მაინც თქვენ მომეწონეთ, ბატონო იოსებ. თქვე-

ნი ბაგრატიონი შეუდარებელი იყო!

როგორც ჩვენი წინაპრები იტყოღნენ, ყმაწვილის პირით ჭეშმარიტება ღაღაღებდა. უზომოდ გახარებულმა იოსებმა, მღელვარების დასაფარავად, თმები თითებით დაივარცხნა და კმაყოფილებით ჩაილაპარაკა, მაღლობელი ვარ, ჩემო საყვარელო ბიჭუნაო.

— ეს ჩვენ, მაყურებლები, ვართ მადლობელი! — თავი გამოიდეა საყვარელმა ბიჭუნამ, თანაც, რაც მთავარია, მადლობას მრავლობით რიცხვში

იხდიდა.

— მაყურებლის აზრი ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, — იოსებ ქობულაძემ ვარსკვლავებით მოჭედილ ცას ახედა, თითქოს ღმერთებს ელა-პარაკებაო, — ყველაზე უფრო მაინც რომელი ეპიზოდი მოგეწონა, ჩემო სამსონ? (სახელიც არ დავიწყებია და "ჩემო იმანო" არ უთქვამს. საერ-თოდ, იშვიათი მახსოვრობა ჰქონდა, მონოლოგებს ყოველთვის მოკარნახის დაუხმარებლად კითხულობდა).

სამსონ ალავიძემ პაუზა დაიჭირა და როგორც კი ღმერთების მოდარაჯე იოსების მზერა ისევ დედამიწას დაუბრუნდა, სხაპასხუპით მიუგო:

— ყველა ეპიზოდი დიდებულად ჩაატარეთ, მაგრამ განსაკუთრებით შეუდარებელი მაშინ იყავით, როდესაც ჯარისკაცებს შესმახეთ, არცერთი ნაბიჯით არ დაიზიოთ, ჩვენს უკან მოსკოვიაო!

პირველს მსახიობისა და რიგითი მაყურებლის მთელს ამ გულისამაჩუყებელ დიალოგში დრამატურგ ვოლდემარ შარაშიძეს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია, ზურგით მიჰყრდნობოდა აყვავებულ მაგნოლიას და განუყრელი მუნდშტუკით პაპიროსს მადიანად აბოლებდა. ბოლოს, ეტყო-

ბა, ამდენი ლოდინი ვეღარ მოითმინა და თავისი პროტესტი საკმალდესმა-ა მაღლა გამოხატა.

— თქვენ რა, აღარ მორჩებით ერთმანეთის ქება-ღიდებას?... შიმშილით მოვკვდი და ისაა, ხალხი, ალბათ, კარგა ხანია გველოდება ბანკეტზე.

— ოო, ვოლდემარ, ჩემო კეთილო დრამატურგო, — დაუყვავა იოსებმა, — ხალხი ცოტას მოგვიცდის, მანამდე კი ჩემი ნორჩი მეგობარი უნდა გაგაცნო.

სამსონ ალავიძემ მისასალმებლად ორიოდე ნაბიჯი გადადგა წინ, მაგრამ როგორც კი დრამატურგის მუნდშტუკს მიუახლოვდა, თითქოს რევოლვერი ყოფილიყოს, მონუსხულივით შეჩერდა.

— ჰო, მიდი, ნუ გეშინია, მიესალმე ბიძიას! — შეაგულიანა იოსებმა.

 – ბიძია კი არა, ბაბუა არ გინდა! – გაბრაზდა დრამატურგი და ისედაც დაბნეული სამსონი კიდევ უფრო დააბნია.

იოსებ ქობულამე ბიჭს მაინც არ მოეშვა.

— შენ რა, ენა გადაყლაპე?

სამსონ ალავიძემ, როგორც იქნა, გაბედა.

გამარჯობა, ბატონო ვოლდემარ!

გაგიმარჯოს, ჩემო ბატონო! — თავი ცივად დაუქნია ვოლდემარმა.

— რატომ ასე ოფიციალურად? — ეწყინა იოსებ ქობულაძეს, — გთხოვ,

ჩემო კეთილო, შენი ნიჭის თაყვანისმცემელს ხელი გაუწოდო.

დრამატურგმა სამსონს მარჯვენა ისე გაუწოდა, თითებიდან მუნდშტუკი არ მოუცილებია (სინამდვილეში ხელი კი არა, მხოლოდ სამი თითი გაუწოდა).

ჩემი სახელი მანამდე იცოდი თუ დღეს აფიშაზე წაიკითხე? — და-

ინტერესდა ვოლდემარი.

სამსონ ალავიძეს სათქმელი წინასწარ ჰქონდა მომზადებული.

- თქვენი საზელი მე კი არა, მთელმა ქალაქმა იცის, ბატონო ვოლდემარ.
- მარტო ქალაქმა არა, მთელმა რესპუბლაკამ, შეუსწორა იოსებმა და მერე ისევ ღრამატურგს მიუბრუნდა, — რა ჰქვია შენს პიესას, უკრაინაში რომ უნდა ღაიღგას?

"კრავჩენკოს ცრემლები", — შეახსენა ვოლდემარმა, — მაისის დამ-

ლევს კიევში პრემიერა უნდა გაიმართოს.

– ხომ დაესწრები?

— არ ვიცი, ჯერ არ გადამიწყვეტია.

— რას ჰქვია, არ გადაგიწყვეტია, — შეიცხადა იოსებ ქობულაძეშ, —
 აუცილებლად უნდა წახვიდე.

ვოლდემარმა, როგორც იქნა, წარბი გახსნა.

— კარგი, ბატონო, თუ ასე გინდა, წავალ.

— ე, მასე, შე კაცო, — დაუყვავა იოსებმა, — "ბაგრატიონის" დამწერი უფრო გაბედული უნდა იყო.

დრამატურგი არ დაეთანხმა.

გაბედულობა ომშია კარგი. მწერალს მორიდება უფრო შეშვენის,
 მაგრამ ვინ გიფასებს. მაგალითად, მე უენო რომ ვარ, იმიტომ მჩაგრავენ.
 იოსებ ქობულამემ ღიმილი ვერ შეიკავა.

— მაგი არ თქვა შენ! ვოლდემარი და უენო?

ვოლდემარ შარაშიძემ კამათი აღარ გააგრძელა, მაინცდამაინც უენო ვარო, მხოლოდ მუნდშტუკში ჩამწვარი პაპიროსი გადააგდო, ახალს მოუ-კიდა და საგულდაგულოდ გააბოლა. ეს პროცესი დაახლოებით ორ წუთს გაგრძელდა, მაგრამ სამსონ ალავიძეს ორ საათად მოეჩვენა და დროებით ჩამოვარდნილი უხერხული სიჩუმე თავისი წასვლის ნიშნად ჩათვალა.

— ღამე მშვიდობისა, ბატონებო! — ზუსტად ისე წარმოთქვა სამსონმა, როგორც ნაპოლეონი ამბობდა ბოროდინოს ველზე, და თავი მოწიწებით დახარა. ესეც თეატრალური ჟესტი იყო, მაგრამ იმ არაჩვეულებრივ სალამოს ასევე არარვეულებრივ პიროვნებებთან გამომშვიდობება სამსონ ალავიძეს სხვანაირად არ შეეძლო.

ნახვამდის! — უთხრა ვოლდემარმა და ხელის ნაცვლად ისევ თა-

ვისი მუნდშტუკი გაუწოდა.

იოსებ ქობულაძემ წასასვლელად გამზადებული ბიჭი შეაჩერა.

— მოიცა, ჯერ ნუ წახვალ, — უთხრა მან და ვოლდემარს მიუბრუნდა. — უკვდავო დრამატურგო, იცი შენ, ვინ არის ეს ყმაწვილი?

— კონკრეტულად ვინ არის, ვერაფერს გეტყვი, მაგრამ თეატრის მო-

ყვარული რომ ყოფილა, აშკარად ეტყობა.

— ზოგაღაღ სწორია, — უთხრა იოსებმა, — კონკრეტულად კი სამსონ ალავიძე გახლავს და, სხვათა შორის, მომავალი შენი კოლეგაა.


— როგორ თუ ჩემი კოლეგა?

 — როგორ და ჩვეულებრივად. გადაწყვეტილი აქვს დრამატურგი გახდეს.

გაოცებულმა ვოლდემარმა პაპიროსის წევა შეწყვიტა (გაოცებულიც რომ არ ყოფილიყო, ცეცხლი მაინც ჩამქრალი ჰქონდა).

- ღრამატურგობისთვის განა მარტო სურვილი კმარა? იკითხა მან.
 იოსებმა ხელები გაშალა.
- რატომ გაგიკვირდა, ჩემო უკვდავო? აბა, გაიხსენე, შენ, პირადად,რამდენი წლისა იყავი, პიესის წერა რომ დაიწყე?
 - თოთხმეტისა! ვოლდემარის ხმაში სიამაყის ნოტები აჟღერდა.
- სამსონი კიდევ 16 წლისაა... მთელი ორი წლით უფროსი! ამოცანა გვეკითხება, თექვსმეტი წლის ყმაწვილი შეძლებს თუ არა პიესის დაწერას, თუკი თოთხმეტი წლის ბავშვმა შეძლო.

ვოლდემარ შარაშიძე, ცოტა არ იყოს, გაბრაზდა.



აგაშენა ღმერთმა! როგორაა ნათქვამი?.. მიეცი ნიჭსა გზა ფართო...

ახლა ლექსები არ გინდა, ისე მელაპარაკე.

- კარგი, ბატონო, ისე გელაპარაკები... მოკლედ და კონკრეტულად, შეძლებს თუ არა ჩვენი სამსონი პიესის დაწერას?
 - შეუძლებელი არაფერია, მაგრამ...

— არავითარი მაგრამ! აი, შენ ზომ შეძელი?

 მაშინ სხვა დრო იყო, გიბრძანებდნენ და უარის თქმა არ შეიძლებოდა.

— როგორ თუ გიბრძანებდნენ?

— ბრძანება არა, მაგრამ, ვთქვათ, დაგვავალებდნენ, სოფელში უნდა წახვიდე კლუბის ასაშენებლადო, და დედიშენის შვილი იყავი, არ წასუ-ლიყავი!.. მე კიდევ პიესის დაწერა დამავალეს და უარი ვერ ვუთხარი.

— ესე იგი, დაგავალეს და დაწერე?

— ვითომ არ იცოდე, ისე გაიკვირვე!.. თანამედროვე პიესები სჭირდებოდათ, ყველა სცენაზე "ტიმოთეს ლეღვს" ხომ არ დადგამდნენ? იოსებ ქობულამე არ მოეშვა.

— მაინც როგორ შეგატყვეს, პიესის დაწერა რომ შეგეძლო?

მანამდე ლექსებს ვწერდი და მიტინგზე ხმამაღლა ვკითხულობდი.

— აგაშენა ღმერთმა! — შვებით ამოისუნთქა იოსებმა, — სამსონ ალავიძეც პოეტი გახლავს. ათი ლექსი დაბეჭდილი აქვს "ნორჩ ლენინელში".

ორი. — მორცხვად შეუსწორა სამსონმა.

— ორი?.. კარგი, ბატონო, ორი იყოს... მთავარი რაოღენობა კი არა, დაბეჭღვის ფაქტია, როგორ ატყობ, ჩემო ვოლღემარ, — ხომ გახღება ჩვენი სამსონი ღრამატურგი?

ვოლდემარმა მერამდენედ მოუკიდა პაპიროსს.

მთავარია, სურვილი გქონდეს, თორემ დანარჩენი ტექნიკის საქმეა.

— ახლა შენ ხუმრობ, მაგრამ მე სერიოზულად გეკითხები, დაიწყოს თუ არა სამსონმა პიესის წერა? ნიჭიერი ახალგაზრდაა, ოქროს მედლის კანდიდატი, კიდევ ობოლია, მამა ომში დაეღუპა... ოჯახს დახმარება უნდა.

ვოლდემარ შარაშიძემ ბიჭს გამომცდელად შეხედა.

— მაინც რა თემაზე აპირებ ღაწერას?.. ალბათ, თანამეღროვეობა გირჩევნია.

სამსონ ალავიძემ სახეზე ოფლი მოიწმინდა (სიმწრის ოფლი იყო, თორემ იმ გრილ ღამით ჩვეულებრივი ოფლი როგორ გამოუვიდოდა).

— ჰო, შენ გეკითხებიან! — შეახსენა იოსებმა.
 ბიჭმა, როგორც იქნა, გაბედა.

— მე ბატონო, თუკი პიესის დაწერა გავბედე, ისტორიულ თემას ავდონალე რჩევ, უფრო მეხერხება...

იოსებ ქობულაძემ თავი უკმაყოფილოდ გააქნია.

— ისტორიულ პიესას, ვოლდემარ შარაშიძესავით ცნობილი რომ გახდები, მაშინ თუ დაგიდგამს ვინმე... თანამედროვეობა! — აი რა სჭირდება დღეს ჩვენს მაყურებელს. გაიხედე გარშემო — ფაბრიკები, ქარხნები, ჩაის პლანტაციები!.. ერთი სიტყვით, საამურია ცხოვრება.

გააჩნია ვისთვის,
 ჩაილაპარაკა ვოლდემარმა და ტუჩზე თითის მაგივრად ჩამქრალი მუნდშტუკი მიიდო, რაც დაახლოებით იმას ნიშნავდა, ასეთ თემაზე ლაპარაკი უცხო ხალხში საჭირო არ არისო (უცხო, რასაკ-

ვირველია, სამხონი იყო).

ნათქვამი სიტყვა ვის დაუჭერია, იოსებს რომ დაეჭირა, ამიტომ უკან აღარ დაუხევია.

არტისტის საამურ ცხოვრებაზე, ვერაფერს მოგახსენებ, მაგრამ.

დრამატურგზე ბედნიერი კაცი ქვეყანაზე არავინაა.

— კი, ერთი მე ვარ ბედნიერი და მეორე შექსპირი იყო... კაცი არტისტებთან რომ საქმეს დაიჭერ, ბაწარში უნდა უყრიდე თავს.

— კარგი, ჩემო ვოლდემარ, საწყენად კი არ მითქვამს, — დაუყვავა

იოსებმა.

– რა ვიცი, მილიონერი ხარო, დამაბრალე.

— მილიონერი შენ კი არა, მე ვარ, ცაზე რამდენ ვარსკვლავსაც ზედავ, ყველა ჩემია.

ვოლდემარ შარაშიძემ მარცხენა ხელი ჩაიქნია, თუმცა, უფრო სწორი იქნება გვეთქვა, ტროსტიანი ხელი ჩაიქნიაო. (მარჯვენაში კი, როგორც გახსოვთ, განუყრელი მუნდშტუკი ეჭირა).

 — ვარსკვლავებს შევეშვათ, თუ კაცი ხარ, და დედამიწაზე დავბრუნდეთ!

— კეთილი და პატიოსანი, — დაეთანხმა იოსები, — აგერ, ამ ბიჭის ამბავი გადავწყვიტოთ.

— მაინც რომელ ისტორიულ თემაზე აპირებ პიესის დაწერას? —

ჰკითხა ვოლდემარმა სამსონს.

 გიორგი სააკაძის ეპოქა ძალიან მიტაცებს.
 მორცხვად გამოუტყდა მომავალი დრამატურგი.

ვოლღემარ შარაშიძემ გაოცება ვერ დამალა.

— უყურე შენ, თურმე გიორგი სააკამის ცხოვრება იტაცებს!.. იცი, მაინც, ვინ იყო გიორგი სააკამე?

— ღიდი მოურავი! — სწრაფად მიუგო ბიჭმა.

ვოლდემარ შარაშიძემ ხელები მაღლა აღაპყრო.

– ღმერთო, დიდებულო, ეს რა ნიჭიერი ხალხი გვეზრღება!.. ეპითე-

ტები ყველა ზეპირად იცის: დიდი მოურავი, პატარა კახი, თემურ ლენგი... მაგრამ მარტო ეს არ კმარა, ისტორიის ცოდნაა საჭირო.

სამსონ ალავიძეს გუნება წაუხდა, მაგრამ ვოლდემარის შენიშვნა უპა-

სუხოდ მაინც არ დაუტოვებია.

— ისტორიის გარდა, ანტონოვსკაიას რომანიც მაქვს წაკითხული... მაპატიეთ, მაგრამ, ბაგრატიონისაგან განსხვავებით, გიორგი სააკაძე სა-ქართველოს განთავისუფლებისათვის იბრძოდა.

— და ბაზალეთის ომიც იმიტომ გადაიხადა? — ხმას აუწია ვოლდემა-

683.

სამსონ ალავიძემ გამოწვევა მიიღო.

— ბაზალეთში თავადებმა უღალატეს და, აბა, რა უნდა ექნა!.. სხვათ..
 შორის, თავადები ყოველთვის მოღალატეები იყვნენ.

იოსებ ქობულაძემ შეატყო, კამათი ცხარე ფორმას იღებსო, და ოამა

პულობის გასაფანტავად ლექსი გაიხსენა.

ბაზალეთისა ტბის ძირას ოქროს აკვანი არისო და მის გარშემო წყლის ქვეშე უცხო წალკოტი ჰყვავისო.

სხვათა შორის, მაგის დამწერიც თავადი იყო, — შეახსენა ვოლ
 დემარმა, — ალბათ, ტყვიაც იმიტომ ესროლეს.

იოსებ ქობულაძემ აპილპილებულ ვოლდემარს ხელი გადახვია.

- კამათის დრო სად გვაქვს ახლა ჩვენ, აკი თავად ბრძანე, შიმშილით სული მხდებაო.
 - ჰოდა, წავიდეთ, შე კაცო, რას მაჩხუბებ ამ შუაღამისას?

— ჩვენ კი წავალთ, მაგრამ ამ ბიჭმა რა ქნას?

სააკაძეს შეეშვას... მაგ თემაზე მე ვერ ვბედავ პიესის ღაწერას.

— ვთქვათ, სააკაძეს შეეშვა, მაგრამ ვის მიაღგეს?

— როგორ თუ ვის, განა დასაწერი ცოტაა?.. ღღევანღელი ცხოვრება თუ არ აინტერესებს, რევოლუციამდელ წარსულში უამრავი თემაა.

ნასაკირალის აჯანყებაზე ხომ შეიძლება? — გაბედა შეკითხვის და-

სმა სამსონმა.

— როგორ არ შეიძლება, მაგრამ მე რომ შენს აღგილზე ვიყო, ჩემო ბიძიკო, პირღაპირ პიესით არ ღავიწყებ ღრამატურგობას, ჯერ ინსცენირებას მოვკიღებ ხელს.

იოსებ ქობულაძემ ტაში შემოჰკრა.

— დიდებული აზრია! მაინც ვისი ინსცენირება აჯობებს?

— ცოცხალი მწერალი არ ვარგა, შარს მოგდებს, ჰონორარში შეგეზიარება... კლასიკოსებს არავინ სჯობია.

— კონკრეტულად მაინც ვინ?

— თუნდაც ეგნატე ნინოშვილი... თავად ხომ პროლეტარი იყო და იყო, საფრანგეთში წასასვლელი ფული მეგობრებმა შეუგროვეს, კიდევ სულედი გაჭირვებული ხალხის ცხოვრებაზე წერდა... ჰოდა, აირჩიე, რომელიც გინ-და, მისი ნაწარმოები და გადააკეთე პიესად.

სამსონ ალავიძემ ძარღვებში სისხლის საამო ჩქროლა იგრძნო. ეს დროებითი სასოწარკვეთილების შემდეგ სასიცოცხლო ძალების დაბრუნე-

ბას ნიშნავდა.

— "ჯანყი გურიაში" ხომ შეიძლება? — იმედიანად იკითხა მან.შერიგების ნიშნად ვოლდემარ შარაშიძემ ბიჭს მოწყალედ გაუღიმა.

— კი შეიძლება, მაგრამ რომანის ინსცენირება გაგიჭირღება, თანაც უკვე კინოშია გაღაღებული... აი, "გოგია უიშვილი", ჩემი აზრით, უფრო ივარგებს. ღღევანდელ ბედნიერ ცხოვრებას წარსულის სიღუხჭირეს რომ ღაუპირისპირებ, იღეურად ძალიან გამართლებული იქნება, პიესის ღამტ-კიცების ღროს ღაგეხმარება.

— რა დროს დამტკიცებაა, — დაირცხვინა იოსებმა, — მთავარი დაწე-

6000

სამსონ ალავიძე ხომ გახარებული იყო, მაგრამ იოსებ ქობულაძის აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა.

– ღიღებული კაცი ხარ შენ, ჩემო ვოლღემარ, აი, მესმის, ახალგაზ-

რდა კაცის გზაზე დაყენებაც ამას ჰქვია!

იოსებ ქობულაძე კიდევ არაფერი, თქვენ სამსონ ალავიძის მდგომარეობა უნდა გენახათ, სიხარულისაგან ფრთები ჰქონდა გამოსხმული და ცაში ასაფრენად არაფერი აკლდა.

ვოლდემარ შარაშიძემ ვალმოხდილი კაცის კანონიერი სიამაყით მანამდე უყურა ამ გულისამაჩუყებელ სცენას, სანამ მუნდშტუკში პაპიროსი არ ჩაეწვა და ახალს მოუკიდა. მერე იოსებ ქობულაძეს მიუბრუნდა.

– ჩიტის გული გაქვს ზვინივით კაცს. სულ უბრალო რამეზე გადაი-

რევი სიხარულით.

იოსებმა ჩიტისა და ზვინის თაობაზე არაფერი თქვა, მაგრამ წინადადების მეორე ნახევარს არ დაეთანხმა.

— უბრალო რამე არ არის ეს, ჩემო ვოლდემარ, ყმაწვილ კაცს დრა-

მატურგიის პირველი გაკვეთილი რომ აუხსენი.

- მხოლოდ პირველი!.. აწი ყველაფერი მასზეა დამოკიდებული. მთავარია, როგორ ისწავლის.
- მაგაზე, შენ, ჩემო კარგო, არ შემიშინდე... სამსონ ალავიძე რომ ბეჯითი მოსწავლე დადგება, ისე ვარ დარწმუნებული, როგორც ახლა შენ ვოლდემარ შარაშიძე ხარ და "1812 წელი" შენი დაწერილი რომაა...
 - კიდევ რაში ზარ დარწმუნებული?
 - იმაში, რომ სამსონ ალავიძე დრამატურგი დადგება.

- ამინ! თქვა ვოლდემარმა და კოსტუმის სახელოზე და<mark>ყრილ</mark> ფერფლს სული შეუბერა, — რა ვქნათ ახლა, გავათენოთ ქუჩაში ელეტეთებე
- ქუჩაში არა, მაგრამ სუფრაზე კი მოგვიწევს გათენება... ჩემნაირი თირკმლების პატრონი ღვინოს სათოფედ არ უნდა ეკარებოდეს... იცოდე, შენი ხათრით მოვდივარ... სამსონ, ბიძიკო, შენ არ გეპატიჟებით ახლა... ვიცი, ვიცი, ჯერ სკოლა გაქვს დასამთავრებელი, ღვინის სმა შენთვის ადრეა.
- მაგისთვის ჯერ წერაც აღრეაო. ვითომ თავისთვის ჩაილაპარაკა ვოლდემარმა, მაგრამ სამსონის დაცქვეტილ ყურს არაფერი გამოპარვია. სიხარულისაგან აფართხალებული გული გადაუტრიალდა, მაგრამ იოსებმა დროზე დაამშვიდა, ვოლდემარმა ხანდახან მწარე ლაპარაკი იცის, თორემ მაგისთანა კეთილი კაცი ქალაქში მეორე არ დადისო.
- მართლა ხომ არ გეწყინა? გაუღიმა ვოლდემარმა აფორიაქებულ ბიჭს, როგორც შევთანხმდით, "გოგია უიშვილის" ინსცენირებაზე იმუ-შავე, შეეცადე, განსაკუთრებით ხაზი სოციალურ მომენტს გაუსვა.
 - როგორ მომენტსო? ვერ გაიგო სამსონმა.
- გოგია უიშვილის გაჭირვება უნდა წარმოაჩინო უპირველესად. მაყურებელმა ზედმიწევნით უნდა გაიგოს, რამ მიიყვანა იგი თვითმკვლელობამდე.
 - კი, ბატონო.
- სიტყვასიტყვით მოთხრობას ნუ გაყვები, ერთი-ორი პერსონაჟი
 შენც დაუმატე.
 - მერე შეიძლება ეს?.. რაც უნდა იყოს, ეგნატე ნანოშვილია.
- მთავარ გმირებს ნუ დაარქმევ, მეორეხარისხოვან პერსონაჟებად
 გამოიყვანე შიგადაშიგ... ბევრი მაინც ვერაფერს მიხვდება.
 - ყველაფერს ისე გავაკეთებ, როგორც თქვენ მირჩევთ.
- ვოლღემარ შარაშიძეს ბიჭის სიტყვები ესიამოვნა. ეს რა ბეჯითი მოსწავლე მყოლიაო, და კიდევ ერთხელ მამაშვილურად დაარიგა.
- როგორც კი დაამთავრებ, მაშინვე მომიტანე... არა, ცალკეული ეპიზოდებიც შეგიძლია მიჩვენო... ზომ იცი, მე სად ვცხოვრობ?
- ვიცი, მორცხვად გაუღიმა სამსონმა, 25 ოქტომბრის ქუჩაზე, თეთრ სახლში. (აქ სიტყვა "თეთრში" მხოლოდ ფერი უნდა ვიგულისხ-მოთ, თორემ ამერიკის ანალოგიურ სახლთან მას არავითარი კავშირი არა ჰქონდა).
- ამ ქალაქში ყველამ იცის, ვინ სად ცხოვრობს და ვინ ვისი ნათესავია. — ამოიოხრა ვოლდემარმა და ამოოხვრის შემდეგ ბიჭს გამოემშვიდობა, — აბა, კარგად იყავი, კოლეგა!.. ჰო, მართლა, დაახლოებით როდის გამოივლი?

სამსონ ალავიძე არც კი დაფიქრებულა, ისე უპასუხა:

— დაწერის გარდა არაფერი მაკლია, ყველაფერი დაწყობილი მაქვსქოთეე ინსცენირებას, ალბათ, ერთ კვირაში დავამთავრებ.

ერთ კვირაშიო? — გადაირია ვოლდემარი.

უკან დახევა აღარ შეიძლებოდა.

— მეტი დრო ნამღვილად არ დამჭირდება, როგორც კი სახლში მივალ, მაშინვე დავიწყებ წერას...

კიდევ აპირებდა რაღაცის თქმას, მაგრამ ცაში საოცნებოდ აჭრილი

ყმაწვილი იოსებ ქობულაძემ ისევ მიწაზე დააბრუნა.

— ამაღამ სახლში რომ მიხვალ, უნდა დაიძინო, — ურჩია მან, ხოლო წერა მაშინ დაიწყე, როდესაც კარგად გათენდება... ლექსი ხომ გახსოვს? — "მზემ ფანჯარას სხივი სტყორცნა, დილა არის მშვენიერიო"...

ეს ლექსი სამსონმა ზეპირად იცოდა, მაგრამ არაფერი უთქვამს. უხმოდ მისჩერებოდა იოსებსა და ვოლდემარს, ვნახავ, ერთი, კადევ რას მირჩევენო. დიდი ლოდინი არ დასჭირვებია. სიტყვა ახლა ვოლდემარმა აიღო.

მარტო დამინება არ კმარა, ჩემო სამსონ, ღმერთმა კეთილი სიზ-

მრებიც უნდა მოგივლინოს.

ამ სიტყვების შემდეგ პირველი დრამატურგი და პირველი მსახიობი რესტორან "ინტურისტისაკენ" მიმავალ ქუჩას გაუყვნენ. გზადაგზა ერთ-მანეთს ხელებით ელაპარაკებოდნენ რაღაცას (ხელი მარტო იოსებისა იყო, ვოლდემარი მხოლოდ ტროსტს იქნევდა). სამსონს მათი სიტყვები არ ეს-მოდა, მაგრამ პირადად მასზე რომ კამათობდნენ, ეჭვი არ ეპარებოდა. ცზადია, იოსები ცუდს არაფერს იტყოდა, ვოლდემარზე კი მაინცდამაინც არგი შთაბეჭდილება რომ ვერ მოახდინა, აშკარად ეტყობოდა. გუნებაში ასე ფიქრობდა, მივა ახლა ბანკეტზე და, აღვილი შესაძლებელია, მოში-ებულმა მეც გადამყლაპოს, რა დროს მაგის პიესას წერაა, ჯერ პირზე რძე არ შეშრობიაო.

ო, ტკბილმწარედ მოსაგონარო ახალგაზრდობის წლებო. ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობაში როგორ გადააგდებ ხოლმე ყმაწვილი კაცის მიმნდობ გონებას, რა ფიქრსა და სადარდებელს გაუჩენ მას! სულ რამდენიმე წუთის წინ სამსონი თუ უზომოდ გაზარებული იყო, ჯერ რომ არ დაწერილა, იმისთანა პიესას დავწერ და მთელ ქალაქს ავალაპარაკებო, ასევე რამდენიმე წუთის შემდეგ ენით აუწერელმა სასოწარკვეთილებამ შეიპყრო, იმისთანა უნიჭო ვარ, პიესას კი არა, საყვარლის წერილის დაწერაც არ შემიძლიაო.

რადგან საყვარელი ვახსენეთ, ამდენი დახლართული ამბების შემდეგ, ამ ისედაც დახლართულ მოთხრობაში სიყვარულის მოტივიც უნდა წარმოვაჩინოთ და დაღლილ-დაქანცულ მკითხველს სული მოვათქმევინოთ. ამასთან დაკავშირებით, ვიცი, ზოგიერთი სამსონის სიყვარულში ვიქტორია თოხაძეს წარმოიდგენს, მაგრამ მათ იმედი უნდა გავუცრუო... ლამაზი გიდი იმ დროს სხვა რეგიონში ცხოვრობდა და მის არსებობაზე მომავალ დრამატურგს, ცხადია, წარმოდგენა არ ჰქონდა. ბარემ ისიც ვთქვათ, მაშინ გოგოები და ბიჭები ცალ-ცალკე სწავლობდნენ და მიჯნურობაში გამოუცდელი სამსონის არჩევანი ქალაქის მეორე სტომატოლოგიურ პოლიკლინიკაში ნახევარ შტატზე მომუშავე კბილის ექიმზე შეჩერდა. იმ ექ**იმს** სახელად ლილი ერქვა და გარეგნობაც ამ სახელის შესაფერი ჰქონდა. შეიძლება, თქვენ გაგიკვირდეთ, სახელი და გარეგნობა ერთმანეთთან რა კავშირშიაო, მაგრამ ერთი წუთით წარმოიდგინეთ, განა შეიძლება ლამაზ ქალს მინადორა ან კესარია ერქვას? ლილი კი ნამდვილად სათბურში გამოყვანილ უცხო ყვავილს ჩამოჰგავდა და, სხვა სიკეთესთან ერთად, გაუთხოვარიც იყო. ამიტომ ნახევარგანაკვეთიანი ექიმის სავარძელში უფრო მეტი პაციენტები ჯღებოდნენ, ვიდრე მთლიან განაკვეთიანებთან და ერთსულოვნად გაიძახოდნენ, ამისთანა ქალს სამკურნალოდ კბილს კი არა, გულსაც ვანდობთო.

როგორც მოსალოდნელი იყო, ლილის ზეგავლენას სამსონ ალავიძეც ვერ აცდა და მისი ხათრით სამი გამოხრული კბილი ზედიზედ დაიპლომ-ბა. ექიმს, რასაკვირველია, ყმაწვილის ხშირი სტუმრობა შეუმჩნეველი არ დარჩენია, მაგრამ კბილების მოვლის გარდა, მათ შორის სხვა ლაპარაკი არ ყოფილა, ანდა როგორ იქნებოდა, როცა ექიმი პაციენტზე ბარე ექვსი წლით უფროსი იყო და სამსონის კბილა ახალგაზრდები მას დეიდას ეძახდნენ. პირველი ორი კბილის მკურნალობამდე, სამსონი ექიმს, ქალბატონო ლილიო, მიმართავდა, მესამეზე კი ისე გაუთამამდა, რომ მარტო ლილი დაუძახა და ქალიშვილი კინაღამ გადაირია, ლილი შენ სახლში გეყოლებაო, მეორედ რომ გაბედო, იცოდე, ყველა საღ კბილს დაგაძრობო.

გამოუცდელი სამსონი, რასაკვირველია, შეშინდა, აუტკივარი კბილი ძალით რატომ უნდა ავიტკივოო, და დამარცხების ნიშნად სავარძელში ჯდომაზე უარი განაცხადა. დიახ, ცალმხრივი სიყვარული იმ მესამე კბილზე დამთავრდა. დღევანდელი თვალსაწიერიდან ის პირველი გატაცება სამსონ ალავიძეს სასაცილოდ ეჩვენებოდა, მაგრამ ისიც სომ ფაქტია, რომ ტრფობა ასაკს არ უყურებს და იმ ბავშვურმა სითამამემ პატივცემულ სამსონს რამდენიმე შავი ღამე თეთრად გაათენებინა!... ეგ კიდევ არაფერი, პირველი სამიჯნურო ლექსიც სწორედ მაშინ დაწერა: "ლილი, ლილი, ჩემო ლილი, გზედავ ღამით, გზედავ დილით, უშენობით მტკივა კბილი, უშენობით არ მაქვს ძილი" და სხვა ამისთანები, რომელთაც ცხადია, "ნო-რჩი ლენინელი" არ დაუბეჭდავდა.

ყველაფერი ეს "1812 წლის" პრემიერამდე მოხდა. იმ დაუვიწყარი

ფლის შემდეგ კი სამსონ ალავიძემ ლილის მაგივრად დრამატურგია შემშენელე ყვარა და საკუთარ თავს შეჰფიცა, ისეთ პიესას დავწერ, ვოლდემარ შარა-შიძეს ტროსტს ხელიდან გავაგდებინებო. რასაკვირველია, ტრაბახი გამოუვიდა, მაგრამ მაინცადამაინც მკაცრად ნუ შევაფასებთ პატივმოყვარე ახალგაზრდის განზრახვას. ბატონი ვოლდემარი არც ისეთი ემოციური ბუნების კაცი იყო, ასეთი ლაპარაკისათვის ყურადღება რომ მიექცია და ცხოვრების დარჯაკში გამოუვლელი ყმაწვილისათვის რაიმე ეკადრებინა. სამსონ ალავიძე კი არა, უილიამ შექსპირიც რომ გამოჩენილიყო ქალაქში, ვოლდემარ შარაშიძე არათუ ტროსტს, კალამსაც არ გადააგდებდა.

ზემოჩამოთვლილ მიზეზებთან ერთად, იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ განზრახვასა და შესრულებას შორის ღიდი ზღვარი დევს. ამ ქვეყნად ოცნებას ვინ მოუკლავს, უსათუოდ სამსონ ალავიძე რომ მოეკლა. ასე იყო თუ ისე, გვიან ღამით სახლში მისულ ყმაწვილს არც იოსებ ქობულაძის ღარიგება გახსენებია, დაწექი და დაიძინეო, და არც "პაღუშკა" კამფეტით ჩაი დაულევია. სასადილო მაგიდის ნაცვლად საწერ მაგიდას მიუჯდა და პიესაზე სამუშაოდ მოემზადა, დედამ ერთი კი შეუძახა, უვახშმოდ დაწოლა არ გაბედოო, მაგრამ შინაგანად ქალი მაინც კმაყოფილი იყო, გამოცდების მოლოდინში ძილიც ღაავიწყდაო. ის ღამე სამსონმა მართლაც უძილოდ გაათენა, რადგან, "გოგია უიშვილი" ხელმეორედ ვაღაიკითხა, მერე კი საერთო რვეული გადაშალა, კალამი მელანში ამოაწო და...

რაღგან ზემო აბზაცის ბოლოს სამი წერტილი ღავსვით, ზოგიერთი მკითხველი, ალბათ, გაიფიქრებს, მომღევნო აბზაცის ღასაწყისში მოვლენები დარამტულად განვითარღებაო. თქვენ პიესის ღაწერა თქვით, თორემ მელანში კალმის ამოწებას რა უნდა! სამსონ ალავიძის ტანჯვა-წამება, თეორიულად, სწორედ ამ ამოწების შემდეგ უნდა ღაწყებულიყო, მაგრამ ნურას უკაცრავად! თქვენ რომ მოელით, ყველაფერი იმაზე აღვილად წარიმართა. ამის მიზეზი ეგნატე ნინოშვილის რეალისტურ შემოქმედებაში უნდა ვეძიოთ. მწერალი ისე უბრალოდ, ხალხისათვის გასაგები ენით ალაპარაკებდა თავის გმირებს, თითქოს მომავალ დრამატურგებს საქმეს უად-ვილებდა. ვინ იცის, იქნებ ღარწმუნებულიც კი იყო, ჩემს მოთხრობებს პიესად გადაკეთება არ აცღებაო.

ზემოთქმული სიტყვები მხოლოდ ზოგადი ვარაუდია, რაც კონკრეტულად "გოგია უიშვილს" შეეხება, იგი სწორედ პიესასავით იწყება და გახარებულმა სამსონ ალავიძემაც ეს დასაწყისი პირდაპირ გადაიტანა რვეულში:

"მარინე. იი ეკუცია კიდევ ჩამოუყენებიათ სოფელში. დღეს ნაცვალმა ჩამოირბინა და გამოაცხადა: კომლმა თითო თუმანი უნდა შემოიტანოს ეკუციის ხარჯიო: შეშა, თივა, სიმინდი კიდევ სხვაო.



გოგია. კიდევ ეკუცია! ხომ არ გადაირიე, დედაკაცო... კიდევ**ეკუცია**ეე რომ ჩამოგვიყენონ, ფუტი გაგვიცივდა"...

საქმე ძალიან იოლად აეწყო. იწერდა მოთხრობიდან ეგნატე ნინოშვილის ნააზრევს სამსონ ალავიძე და თითქოს მაყურებლებით გაჭედილ დარბაზში იყო, სცენაზე გოგიასაც თვალნათლივ ხედავდა და მის ცოლ მარინესაც, ეს კიდევ არაფერი, უიშვილების ჯარგვალიდან ამოსული კვამლიც უწვავდა თვალებს და ყურში მათი ერთგული ძაღლის, წავიას ომახიანი ყეფაც ესმოდა. საბოლოოდ ამ ყეფამ გაუფუჭა კრიმანჭულივით აწყობილი საქმე, რადგან ვერ გადაწყვიტა, ყოფილიყო თუ არა წავია პიესის უშუალო მონაწილე. შინაური ძაღლის ნახვა, ცხადია, რეჟისორისათვის პრობლემა არ იქნებოდა, მაგრამ როგორ უნდა გამოეყვანა იგი სცენაზე, აი, სად იყო ძაღლის თავი დამარხული. სამსონმა ჯერ გაიფიქრა, ჯარგვალის წინ ჯაჭვით დავაბამ და ვერსად გაიქცევაო, მაგრამ უადგილოდ რომ ყეფა დაეწყო, სპექტაკლი უეჭველად ჩაიშლებოდა. "გაჩუმდი, ძაღლოო", კი ათქმევინებდა გოგიას, მაგრამ დაუჯერებდა ვითომ წავია მის სიტყვებს?.. დიდი ყოყმანის შემდეგ სამსონმა ასეთი რემარკა მოიფიქრა: "შორიდან ისმის წავიას ყეფა". თოფის გავარდნაც და ძაღლის სიკვლილიც კულისებში ჩაიფიქრა, რაც მოქმედების რეალისტურ მსვლელობას პირობითობისაკენ წაიყვანდა და მაყურებელს გოგია უიშვილის ტრაგედიის სრულყოფილად აღქმას გაუძნელებდა. ამიტომ ისევ თავდაპირველ ვარიანტს დაუბრუნდა, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილების მიღება სამერმიოდ გაღაღო: რასაც ვოლდემარ შარაშიძე მირჩევს, ყველაფერს ისე გავაკეთებო, გაიფიქრა გუნებაში.

ბაღლის საკითხი რომ გაღაჭრა, დანარჩენი პრობლემები შედარებით აღვილად მოაგვარა. თითქმის ყველა ახალ სურათში ახალი გმირები შემოიყვანა, ეს პირველი კაზაკი ვარო, ეს კიდევ მეორე ჩაფარიო და ასე შემდევ. არც გოგიას მეზობლები და ნათესავები დავიწყებია, ყველას თავიანთი კუთვნილი ადგილი მიუჩინა. მწერალი რომ ცოცხალი ყოფილიყო, ამდენ სითამამეს, ალბათ, არ დაანებებდა, მაგრამ, ინსცენირებას, მოგეხსენებათ, თავისი კანონები აქვს და სამსონ ალავიძე ამ კანონების გათვალისწინებით მოქმედებდა. ახალ გმირებს, ცხადია, ახალი ტექსტი სჭირდებოდა. სამსონი მათ თავიანთ სათქმელს აძლევდა, ამასთან ცდილობდა, მოთხრობის ავტორის სტილს დიდად არ დასცილებოდა და ნაწარმოების საერთო ქარგიდან არ ამოვარდნილიყო. ერთი სიტყვით, იმ ღამიდან მოყოლებული, მთელი არსებით ჩაეფლო შემოქმედებით პროცესში. ახალი საქმე ისე იტაცებდა, რომ ზოგჯერ ჭამაც ავიწყდებოდა და ხანდახან თავისთვის კიდევაც ჩაილაპარაკებდა, დრამატურგობა არც ისე ძნელი საქმე ყოფილა, ვოლდემარ შარაშიძე რომ მაშინებდაო.

ასეთმა ინტენსიურმა მუშაობამ სულ მალე სასურველი ნაყოფი გამო-

იღო. გეგმით გათვალისწინებული ერთი კვირის ნაცვლად, ინსცენერება ეეკე ბეჯითმა სამსონმა ორ ღღეში დაამთავრა, როგორც კი ბოლო სიტყვას — "ფარდას" წერტილი დაუსვა, გვიანი დროის მიუხედავად (ღამის თერთ-მეტი საათი და ოცდაათი წუთი იყო) მელანშეუმშრალი ნაწერი გაზეთში გაახვია და 25 ოქტომბრის ქუჩაზე მდებარე ვოლდემარ შარაშიძის სახლი-საკენ აჩქარებით გაეშურა.

აღებული ტემპი სამსონს არც კიბეზე შეუჩერებია და, ზატოვნად რომ ვთქვათ, ხუთი სართული ერთი სულის ამოთქმით აირბინა. აქოში-ნებულმა ზარი იმდენხანს რეკა, სანამ სუნთქვა არ დაუწყნარდა, მაგრამ კარის გაღებას მაინც არავინ აპირებდა. ბატონი ვოლდემარი, ალბათ, უკრა-ინაში წასულა თავისი პიესის პრემიერაზეო, დაასკვნა გულდაწყვეტილმა სტუმარმა და დაღმართ-დაღმართ მიმავალ გზას ფეხათრეული ჩაუყვა. მეოთხე სართულზე რომ ჩავიდა, კარის გაღების ზმა შემოესმა და იმ გაღებული კარიდან მჭახე შეძაზილი გამოვარდა.

— ვინ ჯიბგირი ხარ, ამ შუაღამეზე დაძინებას რომ არ მანებებ?! შემახილი კი არა, თოფის გასროლა იყო, რადგან სამსონ ალავიძე ნატყვიარივით მუზლებში ჩაიკეცა.

— ჰო, შენ გეკითხებიან, რომელი ჯიბგირი ხარ-მეთქი! ღამეულმა სტუმარმა, როგორც იქნა, ხმა ამოიღო.

- ჯიბგირი კი არა, მე სამსონი ვარ.
- 306 balber60?
- ალავიძე... დამწყები დრამატურგი.
- ამ განმარტების შემდეგ კარი ფართოდ გაიღო და სადარბაზოს ნათურის შუქზე ზოლიან პიჟამაში გამოწყობილი ვოლდემარ შარაშიძის ჩასუქებული ფიგურა გამოჩნდა.
 - ბოდიში. უცებ ვერ გიცანი... შენ ის ხარ, ხომ?
- კი, ის ვარ, იოსებ ქობულაძემ რომ გაგაცნოთ ჩემი თავი პრემიერის შემღეგ.
 — ამ ლაპარაკით სტუმარი მეოთხედან ისევ მეხუთე სართულზე ავიდა.
- შემოდი, ჩემო სამსონ, სახლში, მიიპატიჟა ვოლღემარმა,—მშვიდობა ხომაა?
- კი, მშვიღობაა... მე "გოგია უიშვილის" ინსცენირება მოგიტ<mark>ანეთ</mark> წასაკითხაღ.
 - ასე უცებ როგორ დაწერე?
 - უცებ რატომ?.. ორი დღე გავიდა.
 - და შენც ორ დღეში მოასწარი დაწერა?
 - მოვასწარი და ახლა თქვენ მინდა გიჩვენოთ.
 - ამ შუაღამისას!? ვოლდემარმა კარი საგულდაგულოდ ჩარაზა და

სამსონს კაბინეტში შეუძღვა, — შენ აგერ, სავარძელში ჩაჯექი, მე კიდეგ. ამ ტახტიდან გიყურებ.

 გაგაღვიძეთ, ხომ? — დაგვიანებით, მაგრამ მაინც მიუბოდიშა სტუმარმა, — არ ვიცოდი, თუ ასე ადრე დაწვებოდით...

— თორმეტი საათი აღრეა, ვითომ? — გაოცებულ ვოლდემარს ისღა დარჩენოდა, თავისი განუყრელი მუნდშტუკი საფერფლიდან აეღო და პაპი-როსის წევას შედგომოდა. სამსონ ალავიძე კი ამ დროს კედელზე ჩამოკიდებულ სურათებს დიდი გულისყურით ათვალიერებდა. ფოტოებზე აღბეჭლილი იყო ვოლდემარ შარაშიძის ცხოვრება და შემოქმედება: ბავშვობა, დრამატურგიული დებიუტი, მოსკოვის ლიტერატურული კურსები, შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან, მაქსიმ გორკი და ვოლდემარ შარაშიძე, მოგზაურობა სხვადასხვა კუთხეში და ბოლოს შემოქმედებითი მოღვაწეობა მშობლიურ ქალაქში. ცალკე კედელზე ვოლდემარ შარაშიძის სცენური გმირები იყვნენ გამოფენილი, რომელთა შორის გამორჩეული ადგილი იოსებ ქობულაძის ბაგრატიონს ეკავა. აქვე ნაირფერ აფიშებსაც ნახავდით ქართულ, რუსულ და საბჭოთა კავშირის ხალხთა კიდევ სხვა რამდენიმე ენაზე. არც იყო გასაკვირი. ნომერ პირველი დრამატურგის პიესები მაშინ ჩვენი ქვეყნის მრავალ ქალაქში იდგმებოდა.

სამსონ ალავიძემ აღტაცება ვერ დამალა.

— ბატონო ვოლდემარ, ნუთუ ამდენ თეატრში გაიმართა თქვენი პრეშიერა?

ვოლდემარმა თავი ამაყად ასწია და ნამძინარევი მზერა ბროლის ჭაღს მიაპყრო.

— რასაც ხედავ, მხოლოდ ნაწილია, ყველა აფიშა რომ გავაკრა, კედლები არ მეყოფა. — თქვა მან.

დიდების შარავანდედით გაცისკროვნებული ვოლდემარის სახეს სამსონ ალავიძე ანთებული თვალებით მისჩერებოდა. თან ფრიად ეამაყებოდა მასთან სტუმრობა და თან ცოტათი შურდა კიდევაც. სხვანაირად არც
შეიძლებოდა, რადგან ცხოვრებაში გამოუსვლელი ცმაწვილის წინ, ტყავის
საეარძელში, ცოცხალი კლასიკოსი იჯდა, რომელსაც თურმე, თავის დროზე, მაქსიმ გორკიც პირადად იცნობდა. ვოლდემარ შარაშიძის მდიდრულად მორთული კაბინეტი, აფიშები, ფოტოები და საერთოდ ყველაფერი
ის, რაც ნომერ პირველი დრამატურგის სახელთან იყო დაკავშირებული,
სამსონ ალავიძეზე მომნუსხველ შთაბეჭდილებას ახდენდა, ყოველ შემთხვევაში, ლაპარაკის ხალისი დაეკარგა და გაოცებისაგან მხოლოდ თვალებს ახამხამებდა ჩვეულებრივზე უფრო ინტენსიურად, თან კიდევ გაზეთში საგულდაგულოდ გახვეული პიესა ერთი ხელიდან მეორეში გადაჰქონდა.

რაღგან სტუმარი ხმას არ იღებდა, ვოლდემარმა შეახსენა, გისმენ ჩელერებე

მო კეთილოო.

— მე, როგორც უკვე გითხარით, პიესა მოგიტანეთ... მართალია, სამუშაო გეგმით გათვალისწინებულზე აღრე შევასრულე, მაგრამ ამას, ჩემი
რწმენით, ხარისხზე გავლენა არ მოუხდენია... კიდევ ერთხელ ბოდიშს გიხდით ნაგვიანევი სტუმრობისათვის, მაგრამ სახვალიოდ საქმის გადადება
მე არ შემეძლო.

ვოლდემარ შარაშიძემ ღრმა ნაფაზი დაარტყა და სურნელოვანი კვა-

მლი ნება-ნება ჭერისაკენ გაგზავნა.

— მაშასადამე, შენ ამბობ სხვანაირად მოქცევა არ შემეძლოო? — მასპინმელმა სავარმელი უფრო ახლოს მისწია სტუმართან. — ისე, კაცმა რომ თქვას, როცა რწმენა გაქვს, ასეთი მიზანსწრაფული მოქმედება მისასალმებელია. ბიბლია გვასწავლის, ნეტარ არიან მორწმუნენიო... დაიცა, პირი ნუ დააღე, საღვთო წიგნი ანუ ბიბლია შენ კი არა, მეც არ წამიცთხავს, მხოლოდ ცხონებული ბებიაჩემისაგან გამიგონია რაღაც-რაღაცები და ახლა მის ნათქვამს ვიმეორებ.

ბიჭი ისევ დადუმდა, ვოლდემარი კი წამოდგა და ფართო კაბინეტში სიარული, ანუ როგორც კლასიკოსები იტყოდნენ, ბოლთის ცემა დაიწყო.

- საკვირველია მაინც, ორ დღეში პიესის დაწერა როგორ მოახერხე? — პირველი დრამატურგი ისევ ძველ პრობლემას დაუბრუნდა და ტახტზე საცოდავად მოკუნტულ სტუმარს თავზე დაადგა. სამსონი იმწამსვე წამოდგა.
- რა ვქნა, ბატონო, მოვახერხე და ამით ხომ არ დამიშავებია რამე?.. მოთხრობაში დიალოგები ბლომად იყო და საქმე იმან გამიადვილა.
- კეთილი, რაკი მოახერხე, სასაყვედურო არაფერი მაქვს, ოღონდ ახლა დავსხდეთ და ერთმანეთს კარგად მოვუსმინოთ... ჯერ შენი რიგია, მიდი, აბა, დაიწყე.

სამსონ ალავიძემ დაიწყო.

— "გოგია უიშვილი". ინსცენირება ოთხ მოქმედებად და თორმეტ სურათად. მოქმედი პირნი...

პირნი არ გინდა, ისედაც გამოჩნდებიან კითხვის დროს.

ბიჭმა პირველი გვერდი გადაფურცლა და მეორე წაიკითხა.

— "მოქმედება პირველი, სურათი პირველი. გოგია უიშვილის ჯარგვალთან ახალი წლის წინა დღეს სხედან გოგია, მისი ცოლი მარინე და მათი მაღლი წავია"...

ვოლდემარმა თავი უკმაყოფილოდ გააქნია.

— ძაღლი აღამიანის მეგობარი კია, მაგრამ სცენაზე მისი გამოყვანა როგორ შეიძლება!

– მეც მასე ვფიქრობდი, – გაეხარდა სამსონ ალავიმეს, – მაღლს

წავშლი და მის ნაცვლად ჯორკოზე უიშვილების პატარა გოგონას დავსვამ.

— გოგონა, სახლში რომ მიხვალ, მაშინ დასვი, ახლა კითხვა გააგრ-

მელე!

ბატონი ვოლდემარის ხმაში ბრძანება გაისმა და სამსონ ალავიძეს

სხვა რა გზა ჰქონდა, კითხვა უნდა გაეგრძელებინა.

მოქმედება ზუსტად მოთხრობის მიხედვით ვითარდებოდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სიტუაციის გამძაფრების მიზნით, ინსცენირებაში ხანდახან ახალი პერსონაჟებიც შემოდიოდნენ. ისინი მტკიცე პროტესტს გამოთქვამდნენ სოფლად არსებული უსამართლობის წინააღმდეგ და გოგია უიშვილს შეიარაღებული აჯანყებისაკენ მოუწოდებდნენ. ჯერ სცენაზე პირველი გლეხი გამონდებოდა და დამსწრეთ გოგია უიშვილის სახლ-კარის აღწერილობას აცნობდა: "ოღრო-ჩოღრო ფიცრის ტახტზე ეწყო ჭილოფი, ძველი ჭუჭყიანი ლეიბი, აგრეთვე საბანი და ბალიში, მუთაქის მაგივრად კი ხის ძირკვი იდო". როგორც კი ამ სიტყვებს დაამთავრებდა, საუბარში მეორე გლები ჩაერეოდა და, პირველისაგან განსხვავებით, სათქმელს გაცილებით ხმამაღლა ამბობდა: "განა ეს ცხოვრება იყო? — რასაკვირველია, არა! გოგია უიშვილს თოხის მაგივრად ხელში თოფი უნდა აედო და უსამართლობას შებრძოლებოდა"…

თოფს მერე სად იშოვიდა? — დაინტერესდა ვოლდემარი.

— მოთხრობაში წერია, სიმამრმა ათხოვაო, — აუხსნა სამსონმა და განაგრძო, — "ამასობაში კალანდა თენდებოდა. ხაჭაპურები ცხვებოდა, მსუქანი ღორი და ქათმები უნდა დაეკლათ".

ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ ვოლდემარ შარაშიძეს გუნება ერთბაშად შეეცვალა, ანერვიულებულმა სტუმარს ხელი მოჰკიდა და კითხვა

შეაწყვეტინა.

– ჩემო კეთილო, ინსცენირება ინსცენირებაა, მაგრამ ამღენი ფანტა ზია მაინც არ შეიძლება!

— რა ფანტაზია? — დაიბნა სამსონ ალავიძე.

— აი, ის, ხაჭაპურებიო... მსუქანი ღორიო, ქათმებიო!.. საიღან გამოიგონე?

— მე არაფერი გამომიგონებია, მოთხრობაში ზუსტად ასე წერია.

- ახლა ვოლღემარის გაოცების ჯერი დადგა.

— ნუთუ გაჭირვებულ კაცს საკალანდოდ ამდენი ხორაგი ჰქონდა?.. "გოგია უიშვილი" ბავშვობაში წავიკითხე და ახლა კარგად არ მახსოვს.

— ეს კიდევ არაფერი, ბატონო ვოლდემარ... ეგზეკუციის შემდეგ, მარინემ თურმე ქათმები გაბურტყლა, სამიოდე საჭაპური გამოაცზო, წმინდა თაფლის სანთელი ჩამოქნა, ერთი დოქი ადესის ღვინო გადმოიღო ჭურიდან. ვოლდემარ შარაშიძემ ურწმუნო თომასავით ხელი აიქნია.

— კაი, კაცო, არ გადამრიო!.. ისე, შენი არ ვიცი და, მე პირზე ნერწყვი მომაღგა. — მასპინძელმა ისევ ღრმა ნაფაზი დაარტყა და ფიქრებში ჩაიძირა.

სამსონ ალავიძე გუმანით მიხვდა, რომ პირველი დრამატურგის ჩაფიქრება მას სასიკეთოს არაფერს მოუტანდა. ერთი სული ჰქონდა, მასპინძელი როდის შემეკითხება რამესო, მაგრამ ბოლოს იძულებული შეიქნა, კითხვა თვითონ დაესვა.

რა ვქნა, ბატონო ვოლდემარ, გავაგრძელო, თუ?..

ვოლდემარ შარაშიძემ პაპიროსგარჭობილი მუნდშტუკი სამსონ ალავიძეს თოფის ლულასავით მიუშვირა.

მაშასადამე, ქათმები, ხაჭაპურები, მოქაფული აღესა...

მოქაფული არ წერია.

 სულ ერთია, აღესა მოქაფულიც კარგია და მოუქაფავიც... ჰო, კიდევ გამოვიგონოთ რამე, მაგალითად, ინღოურები, სულუგუნი...

თითქოს სილა გააწნესო, სამსონ ალავიმეს მარცხენა ლოყა აეწვა.

— მე, ბატონო, არაფერი გამომიგონებია, ეგნატე ნინოშვილს უწერია ასე და რა უნდა მექნა?.. ისე, არც მარტო სასმელ-საჭმელია გადამწყვეტი.

— სწორედ რომ გადამწყვეტია, ბაზისი განსაზღვრავს ზედნაშენს! მკაფიოდ ჩამოაყალიბა ვოლდემარმა ცნობილი დებულება, შემდეგ ერთხანს იყუჩა და დაუმატა, — ესე იგი, ჩვენებურად რომ ვთქვათ, ყველაფერი კუჭიდან იწყება.

სამსონ ალავიძე ამ განმარტებას არ დაეთანხმა.

— გოგია უიშვილმა შეურაცხყოფა ვერ აიტანა და იმიტომ გამოუშალა თოფს ფეხი.

— როდის იყო, ბიჭო, გამძღარი კაცი თავს იკლავდა? ჩვენ მშიერმწყურვალი ხალხი უნდა გამოვიყვანოთ სცენაზე და დღევანდელ თაობას იმ ბნელი წარსულის უტყუარი სურათი დავანახვოთ.

სამსონ ალავიძემ საერთო რვეული ისევ გაზეთში გაახვია და წამოდგა.

 თქვენი დიდი მადლობელი ვარ, ბატონო ვოლდემარ, მაგრამ, ვატყობ, ჩემგან დრამატურგი არ დადგება.

ვოლდემარი წამოდგა და კარისაკენ მიმავალი ბიჭი შეაჩერა.

— თუ დამიჯერებ, წარსული ამბების ინსცენირებას თავი დაანებე და პიესა თანამედროვეობის აქტუალურ საკითხებზე დაწერე... ვატყობ, შენისთანა ფანტაზიის კაცს ორიგინალური პიესა უფრო გამოუვა.

წინანდელისაგან განსხვავებით, ეს უფრო მამაშვილური თხოვნა იყო, ვიდრე ბრძანება, სამსონ ალავიძეს უმალვე გული მოუბრუნდა და მასპი-ნძელს თავი მორჩილად დაუკრა.

OMPOSTED IN

- კეთილი, ბატონო ვოლდემარ, დღეის ამას იქით თანამედროვერბა ზე ვცდი კალამს.
- ცდა ბედის მონახევრეაო, ჩემო სამსონ, მასპინძელმა სტუმარს კარი გაუღო და კიბეებზე ჩამავალს კიდევ ერთი რჩევა გაატანა, იცო-დე, არ აჩქარდე. ქაღალდს მელნის შეშრობა აცალე და ისე მომიტანე... ჩემი სახლის კარი შენთვის ყოველთვის ღია იქნება, გინდ შუაღამეზე მესტუმრე და გინდა განთიადზე!..

— გმადლობთ, ბატონო ვოლდემარ! — ამოსმახა ქვემოდან სამსონმა ძოაჯირთან ქანდაკებასავით მდგარ ნომერ პირველ დრამატურგს.

"F95M33333 68330 6M3360 03F0."

როდესაც სამსონ ალავიძე ვოლდემარ შარაშიძის ბინიდან გამოვიდა, დაახლოებით ღამის სამი საათი იქნებოდა. ასეთი გვიანი ღროის გამო, ცხალია, ქუჩაში იგი ნაცნობს კი არა, უცნობსაც ვერ ნახავდა, რომ თეთრ სახლში თავისი ღამეული სტუმრობის შთაბეჭდილებები გაეზიარებინა. ამიტომ თავჩაქინდრული მიუყვებოდა გზას. თუმცა თავი მაღლაც რომ აეწია, სასიკეთოს მაინც ვერაფერს დაინახავდა, რადგან არც მთვარე ანათებდა, არც ვარსკვლავები ციმციმებდნენ, ცა ერთიანად საავდრო ღრუბლებს დაეფარა და სამსონ ალავიძის თავშიც ამ ღრუბლებივით შავი ფიქრები ტრიალებდნენ, დრო ტყუილუბრალოდ რატომ დავკარგე და გამოცღებზე დასახარჯავი ენერგია ინსცენირებას რატომ შევალიეო. ერთი გაფიქრება ისიც გაიფიქრა, ყველაფერში იოსებ ქობულაძეა დამნაშავე, რადგან კალმის ხელში აღება იმან გამაბედვინაო, მაგრამ სულ მალე დაასკვნა, რომ დიდ მსახიობს მხოლოდ კეთილი მიზანი ამოძრავებდა და ობლად დარჩენილი ღარიბი ბიჭის დახმარება გულით ეწადა. საწყენი კია, მაგრამ იმ ფაქტს ვერსად გაექცევი, რომ სამსონ ალავიძემ ბატონ იოსებს იმედი ვერ გაუმართლა და "გოგია უიშვილის" ტრაგედია თანამედროვეობის მოთხოვნათა დონეზე ვერ წარმოაჩინა. ყველაფერი გამოუცდელობის ბრალია. ისე, კაცმა რომ თქვას, არც ვოლდემარ შარაშიძე უნდა იყოს მთლად მართალი, დაიჩემა, ინსცენირებაში სოციალური უსამართლობა გამოკვეთილი არ არისო. აბა, სამსონს რა უნდა ექნა, მოთხრობაში როგორც ეწერა, ამბავი ზუსტად ისე გადაიტანა ქაღალდზე, მაგრამ ვოლდემარმა წყალი გადაუწურა, დრამატურგიის კანონები სხვაა და პროზის კიდევ სხვაო. ეს მარცხი სამსონ ალავიძეს მომავალში ჭკუის სასწავლებლად გამოადგება. პიესას დაწერს კი არა, თეატრისაკენ საერთოდ არ გაიხედავს, მისი დაუღლელი კალამი აწ და მარადის მხოლოდ და მხოლოდ. პოეზიის მუზას მოემსახურება.

ზემოაღწერილი სიტუაციის შემდეგ, ადვილი წარმოსადგენია, რო-

გორ გაატარებდა გათენებამდე დარჩენილ დროს სახლში მისული სამსონ ალავიძე. ერთი დაძინება ვითომ დაიძინა, იმას თუ ძილი ჰქვიოდა! დიახეროთა შავი სიზმრები ნახა, ვითომ მისი ინსცენირება იდგმებოდა, მაგრამ პრე-მიერაზე არ უშვებდნენ. ამაოდ უმტკიცებდა ყველას, დრამატურგი ვარ და თეატრში უბილეთოდ უნდა შემიშვათო... მერე კიდევ, გოგია უიშვილმა თოფი რომ გატენა, საკუთარი თავის მოკელის ნაცვლად, ტყვია სამსონ ალავიძეს ესროლა, ამისთანა ინსცენირების პატრონი ქვეყანაზე არ უნდა დადიოდესო.

ასეთი ტანჯვა-წვალების მიუხედავად, გათენებისთანავე სამსონმა მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო, მართალია, პირველი ცდა მარცხით და-მთავრდა, მაგრამ დრამატურგიას მაინც ვერ ვუღალატებო, რადგან ინსცე-ნირებაში ხელი მომეცარა, რადაც უნდა დამიჯდეს, ორიგინალური პიესა უნდა დავწერო და თანაც, ვოლდემარ შარაშიძის დარიგების კვალობაზე,

ეს პიესა თანამედროვეობას უნდა მივუძღვნაო.

თანამედროვეობა, მოგეზსენებათ, ძალზე ფართო მცნებაა. იმ ხანებში სამსონ ალავიძის მშობლიურ ქალაქში და ქალაქის გარეთაც ისეთი ამბები ხღებოდა, დამწყებს კი არა, ვოლდემარივით ცნობილ დრამატურგსაც გაუჭირდებოდა მათი აღწერა. აი, ზოგიერთი მათგანი: გაიჭრა სამგორის მაგისტრალური არხი და თბილისთან ახლოს ზღვა დააგუბეს: რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ პირველი ფოლადი გამოადნო, ქუთაისში ქართული ავტომობილი ჩამოვიდა კონვეიერიდან და ბოლოს, ანდრო ჟორდანიამ "ა" კლასში თბილისის "სპარტაკის" ფეხბურთელთა გუნდი გადაიყვანა. ერთი სიტყვით, რა გინდა, სულო და გულო, შენ ოღონდ თემა აგერია და ყველაფერი თავისით დაიწერებოდა, მაგრამ სწორედ თემის ამ სიმრავლემ ჩააგდო სამსონ ალავიძე საგონებელში. ბევრი ფიქრის შემლეგ მისი არჩევანი არა სოციალურ-ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ სფეროზე შეჩერდა, რასაც თავისი გასამართლებელი მიზეზი ჰქონდა. ახლავე მოგახსენებთ.

იმ ხანად დრამატურგების ქალაქის ცხოვრება დიდად განსაცვიფრებელი მოვლენებით იყო დამუხტული. ფაბრიკა-ქარხნებში, სამეცნიერო
დაწესებულებებსა თუ სკოლებში ყოველდღიურად იმართებოდა ხალხმრავალი კრებები და მიტინგები, რომელთა მონაწილენი ქალაქის მაშინდელ
ხელმძღვანელობას კუთხურ პატრიოტიზმში დებდნენ ბრალს და სამარცხვინო ბომზე აკრავდნენ. ყველაზე მეტი რისხვა, როგორც მოსალოდნელი
იყო, პირველ კაცს, გიორგი ქეცბაიას, დაატყდა: გარშემო მხოლოდ თავისი კუთხის წარმომადგენლები შემოიკრიბა და სხვა რეგიონებში დაბა-

დებულ ხალხს სათოფედ არ იკარებსო.

ერთი ასეთი მამხილებელი კრება სამსონ ალავიძის სკოლაშიც ჩატა-

რდა. კრებაზე საგანგებოდ მიმაგრებულმა მომხსენებელმა გიორგი ქედბალი იას წინააღმდეგ ისეთი ბრალდება წამოაყენა, რომ მის გაგონებაზე არათუ მოსწავლეებს, მასწავლებლებსაც შიშით გული გადაუტრიალდათ.

სათქმელი იმ კაცმა შორიდან დაიწყო, დამსწრეთ ჯერ "დედაენაში" ნასწავლი ლექსი გაახსენა: "ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და სამეგ-რელო, ყველა ჩემი სამშობლოა, საყვარელი საქართველოო". შემდეგ ზო-გადად ილაპარაკა კუთხურობის მავნე სენზე და მის წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლის აუცილებლობაზე. როდესაც კონკრეტულ საკითხზე გადავიდა, მოხსენება გვერდზე გადადო და საქაღალდედან შავარშიაშემოვლებული ფურცელი ამოიღო. ეს ფურცელი მან ჯერ დამსწრეთ უჩვენა და მერე სა-გულდაგულოდ დაყენებული მბრბანებლური ხმით შემდეგი აუწყა:

"ხალხის მტერმა ქეცბაიამ აღიარა, რომ ყოველი თვის პირველ ხუთშაბათს გადიოდა ზღვისპირა პარკში და, მთავარი ხეივნის ბოლოს, კატარღების მისადგომთან, ხვდებოდა ერთ-ერთი იმპერიალისტური სახელმწიფოს წყალქვეშა ნავს, რომელსაც გადასცემდა საიდუმლო ცნობებს ქალაქის სამრეწველო პოტენციალის და სამხედრო ობიექტების განლაგების

შესახებ..."

დარბაზში ჩურჩული ატყდა, რომელიც შემდეგ ჩოჩქოლში გადაიზარდა. მომხსენებელმა შავარშიაშემოვლებული ფურცელი ისევ საქაღალდეში შეინახა და ხალხს წესრიგისაკენ მოუწოდა. ახმაურებული დარბაზი მაინც არ გაჩერებულა.

— როგორ, კაცო, ის უწმინღური მართლა ხვღებოდა იმპერიალისტების წყალქვეშა ნავს?! — იყვირა სამხედროს მასწავლებელმა ღომენტი შერაზაღაშვილმა და მედლებით გაჭედილ მკერდზე მუშტი დაიბრაგუნა, ღალატია ეს და მეტი არაფერი!

სწორედ რომ ღალატია, — თავი დაუქნია მომხსენებლმა, — თანაც
 ერთ-ორჯერ კი არა, სისტემატურად ხვდებოდა, მე ხომ მისი ხელმოწე-

რილი ჩვენება წაგიკითხეთ.

_ აფსუს, მე პატიოსანი კაცი მეგონა, თურმე გარეწარი ყოფილა!

_ სწორედ ამიტომ გვმართებს სიფხიზლე და კიდევ ერთხელ სიფხი-

ზლე, მტერი და მოყვარე ერთმანეთისაგან უნდა გავარჩიოთ.

— მე როგორ გავარჩიო, ხუთი წელი ქალაქის თავი იყო და არავის ეჭვი არ შეპარვია მის პატიოსნებაში. — თითქოს თავისთვის ჩაილაპარა-კა ბიოლოგიის მასწავლებელმა ქეთევან ბარამიძემ, მაგრამ მომხსენებლის მახვილ ყურს ერთი სიტყვაც არ გამოპარვია.

— რა ბრძანეთ? — მუქარით იკითხა მან.

არაფერი. მე...

დაბნეულ მასწავლებელს მომხსენებელმა ტრიბუნიდან თითი დაუქნია.

თქვენ ლაყბობთ და გირჩევო ენას კბილი დააჭიროთ!

nemercence of the second of th

სწორედ რომ დროული გაფრთხილება იყო. არათუ ქეთევან ბარამთალისისის

ძე, აზუზუნებული დარბაზიც ერთბაშად დაცხრა.

— კიდევ ვის სურს, ამხანაგებო, საკუთარი აზრის გამოთქმა? — მომხსენებელმა დარბაზს თვალი გადაავლო, მაგრამ ვისაც კი შეხედა, ყველამ
თავი ჩალუნა. დირექტორი დიომიდე ცხოიძე, ცხადია, გამოსვლაზე უარს
ვერ იტყოდა და მანაც აღშფოთებით დაგმო ქეცბაიას საქციელი. მის შემდეგ სიტყვა სკოლის დარაჯს, ისიდორე დათიკაშვილს, მისცეს. — მისი
კუთხის შვილი რომ არ ვიყავი, იმიტომ, არ გამახარაო,—თვალები გადაატრიალა ისიდორემ—სამი წელია ბინის რიგში ვარ და ბინა კი არა, ერთი
გამონაცვალი ოთახიც არ მაღირსაო.

გამოსვლები თითქოს ამით უნდა შეწყვეტილიყო, მაგრამ მომხსენებე-ლმა დაიჩემა, პედაგოგიური და მომსახურე პერსონალი არ კმარა, სიტყვა მოსწავლეთა წარმომადგენელმაც უნდა თქვასო. მსურველი არავინ აღმო-ჩნდა და დირექტორმა სამსონ ალავიძე წამოაყენა, ოქროს მედლის კანდი-

დატი შენ ხარ და კეთილი ინებე, ტრიბუნაზე მობრძანდიო.

სამსონი, რასაკვირველია, დაიბნა.

- აბა, მე რა უნდა ვთქვა? საწყლად შეხედა მან დიომიდე ცხოიძეს, მაგრამ შეკითხვა მის მაგივრად მომხსენებელმა დაუსვა.
 - პირადად შენ გმობ თუ არა ქეცბაიას საქციელს?
 - მნელი დასაჯერებელი კია ყველაფერი ეს, მაგრამ...
- არავითარი მაგრამ! შენ გეკითხებიან, გმობ თუ არა ხალხის მტრის საქციელს?

სამსონ ალავიძეს სახეზე ზაფრანის ფერი დაედო.

იმპერიალისტური სახელმწიფოებისათვის ცნობების გადაცემა, რა საკვირველია, დასაგმობია, — ჩაილაპარაკა მან.

მომზსენებელი მაინც არ მოეშვა.

- აი, პირაღაღ შენ რაიმე საეჭვო თუ შეგინიშნავს ქეცბაიას საქციელში?
- რა უნდა შემენიშნა, ხანდახან სკოლაში თუ დავინახავდი, როდესაც შვილებს მოაკითხავდა.
 - შენ მის შვილებთან მეგობრობდი?
- არ ვმეგობრობდი, რადგან უფროსი ჩემზე ერთი კლასით წინ არის, უმცროსი კი ერთი კლასით უკან.

მომხსენებელმა ისევ დარბაზს გადახედა.

ქეცბაიას შვილები დღეს კრებას ესწრებიან? — იკითხა მან და
 დირექტორმა სწრაფად მიუგო, არა, არ ესწრებიანო.

მომხსენებელმა ბლოკნოტში რაღაც ჩაინიშნა და კვლავ შეშინებულ სამსონს მიუბრუნდა.

– გაიხსენე, კიდევ სად გინახავს ქეცბაია.

- ზღვისპირა პარკში მინახავს, ბავშვები იქ ფეხბურთს ვთამაშობდით და სანაპიროსაკენ მიმავალ ქეცბაიას ხშირად უკითხავს, კმაყოფილი ზართ თუ არა სტადიონითო.
 - და შენც თავს უქნევდი, კმაყოფილი ვარო?
- ის სტადიონი ხომ მისი განკარგულებით გაგვიკეთეს, მანამდი ქუჩაში ასფალტზე ვიმტვრევდით ფეხებს...

მომხსენებელმა მაგიდაზე მუშტი დაარტყა.

— დაჯექი, შენ ბეცი ყოფილხარ და მეტი არაფერი!.. სტადიონი თვალის ასახვევად გაგიკეთათ, რომ სხვა არაფერი დაგენახათ... სანაპირო-ზე დადიოდაო, ხომ მაინც აღიარე?.. რომ დაინტერესებულიყავი, თუ რა-ტომ დადიოდა, მაშინ სულ სხვა საუბარი გვექნებოდა... აი, რა სავალა-ლო შედეგი შეიძლება მოჰყვეს სიფხიზლის მოდუნებას.

მომხსენებლის მუქარა სამსონ ალავიძეს გულში ლახვრად დაესო: ამდენ ხალხში სასაცილოდ ამიგდო, ბეცი და შეუგნებელი ყოფილხარო, ეს კიდევ არაფერი, რაც ყველაზე შემაშფოთებელია, ოქროს მედლის კანდიდატის პატრიოტიზმში ეჭვი შეიტანა, რადგან ზღვის პირას მოსეირნე გიორგი ქეცბაიას ფარული განზრახვა ვერ გამოიცნო. ერთი სიტყვით, თავი მოსჭრეს და სამსონ ალავიძესაც სხვა გზა არ დარჩენია, გარდა იმისა, რომ საკუთარი სიმართლე კალმით დაამტკიცოს... პიესის დასაწერად ამაზე უკეთეს თანამედროვე თემას ვერასოდეს ნახავს. სათაურიც ერთი ამოსუნთქვით მოიფიქრა — "წყალქვეშა ნავი ნომერი იქსი". მთავარი, თურმე, სათაურის მიგნება ყოფილა, პიესის დაწერა კი "გოგია უიშვილივით" არ გასჭირვებია. სიუჟეტური ქარგა სკოლაში მოსმენილი მოხსენების მიხეღვით ააგო. მთავარ მოქმედ პირად გიორგი ქეცბაიას პროტოტიპი გამოიყვანა, რომელსაც ჟორა ყოლბაია უწოდა. როგორც სინამდვილეში ხღებოდა, პიესაშიც იგი ყოველ ხუთშაბათს ზღვისპირა პარკში გადიოდა, რომ ერთ-ერთი იმპერიალისტური სახელმწიფოს წყალქვეშა ნავს შეხვედროდა. ფინალში მამაცი მესაზღვრეები ჟორა ყოლბაიას მაშინ აკავებდნენ, როდესაც წყალქვეშა ნავის კაპიტანს (რასაკვირველია, მას შავი სათვალე ეკეთა) საიღუმლო ღოკუმენტებს გაღასცემდა. პიესა მესაზღვრე რაზმის უფროსის რეპლიკით მთავრდებოდა, "ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელიაო".

ზოგიერთ შემოქმედებით პროცესს ტანჯვა-წვალებასთან აიგივებენ.
სამსონ ალავიძისათვის ის ბედნიერება იყო. ყველაფერი მსუბუქად და
ძალდაუტანებლად გამოდიოდა. ეპიზოდები კრიალოსანივით შეეკრა ერთიმეორეს, დაღლა არც კი უგრძვნია, თავგამოდებით წერდა და აშალაშინებდა, როდესაც სათქმელი დაამთავრა, საკუთარი ნამოღვაწარი კიდევ
ერთბელ გადაიკითბა და ფრიად კმაყოფილიც დარჩა, პიესის წერა ნამდ-

ვილად შემძლებია და ვოლდემარ შარაშიძესავით სულ მალე ქვეყანას ავალაპარაკებო.

"წყალქვეშა ნავი ნომერი იქსი", შეპირებისამებრ, ნომერ პირველი დრამატურგისათვის უნდა მიეტანა წასაკითხად, მაგრამ ბატონი ვოლდე-მარი იმ მომენტში უკრაინის დედაქალაქში იმყოფებოდა თავისი ახალი პიესის, "კრავჩენკოს ცრემლების", პრემიერაზე და იქიდან როდის დაბ-რუნდებოდა, იოსებ ქობულაძემაც არ იცოდა.

ფურებჩამოყრილი ავტორის სულიერ დეპრესიას იოსების მგრძნობიარე გული როგორ გაუძლებდა! შენ მაგაზე არ იდარდო, უთხრა ყმაწვილს და დრამატურგების ქალაქის თეატრის რიგით რეჟისორთან, შალვა ჩინჩალაძესთან, მიიყვანა, ბევრი ვინმე დაგიყენებია გზაზე და მაგ ჭაღარას გაფიცებ, სამსონსაც ცოტა დაეხმარეო.

— მაინც როგორ უნდა დავეხმარო, — გაიცინა ჩინჩალაძემ, — ყანის

გასამარგვლავად წავყვე?

— ყანა არა, მაგრამ პიესა აქვს დაწერილი და ის გაუმარგლე. სთხოვა იოსებმა.

ჩინჩალაძემ სამსონს ჯიქურად შეხედა.

- რამდენი წლისა ხარ, ბიჭი, შენ?

"ბიჭი" სამსონმა შეურაცხყოფად მიიღო და ყურის ბიბილოები გაუწითლდა.

— ჰო, შენ გეკითხებიან! — არ მოეშვა რეჟისორი.

განაწყენებულ სამსონს პირდაპირ პასუხი მაინც არ გაუცია.

— სკოლას გაისად ვამთავრებ, — თქვა მან და მზერა თეატრის წინ დაფრენილ მტედებზე გადაიტანა. თითქოს პირველად ხედავდა მსახიობე-ბის მიერ განებივრებულ ამ მსუნაგ ფრინველებს.

არც ისე პატარა ყოფილხარ, — გაიღიმა შალვამ, — პიესის წერა,ალბათ, საბავშვო ბაღში დაიწყე...

ბიჭი ხომ ისედაც ნაწყენი იყო და ახლა იოსებ ქობულაძეც გაბრაზდა.

— ნუ იცი, შალვა, ასეთი ლაპარაკი!.. სამსონი ძალიან ზრდილი და ჭკვიანი ყმაწვილი გახლავს... სხვათა შორის, დრამატურგობა ჩემი რჩევით დაიწყო. ჯერ "გოგია უიშვილის" ინსცენირებაზე იმუშავა, ახლა კიდევ ორიგინალური პიესა დაწერა თანამედროვეობის აქტუალურ საკითხზე.

შალვა ჩინჩალაძემ არც თავისი საყვარელი მსახიობი დაინდო.

- ესე იგი, ყმაწვილი კაცი შენ დაგიღუპავს.
- როგორ თუ დამიღუპავს!.. შეცბა იოსები, პირიქით! სულ მალე ჩვენს ქალაქში პირველი დრამატურგი ვოლდემარ შარაშიძე კი არა, სამსონ ალავიძე იქნება.

- შენ პირს შაქარი! თავი დაუქნია ჩინჩალაძემ და მერე ისეთავის კვლავ ბიჭისაკენ მიაბრუნა.
 - _ მაშასადამე, გოგია უიშვილიდან თანამედროვეობაზე გაღახვედი?
 - დიახ, ბატონო.
 - რა თემას ეხება შენი პიესა?
 - კუთხურობის წინააღმდეგ ბრძოლას ეხება.
 - და მთავარი გმირი გიორგი ქეცბაიაა, ხომ?
 - დიახ, მაგრამ თქვენ როგორ მიხვლით?
- მაგას რა მიხვედრა უნდა!.. ხელი ჩაიქნია ჩინჩალაძემ მომეცი, აბა, შენი პიესა, სახლში წავიღებ და ნასადილევს წავიკითხავ, თუ არ დამეძინა... კარგი ახლა, ინდაურივით ნუ იფხორები, ვხუმრობ, შე კაცო, და ვერ უნდა მიხვდე?

სამსონ ალავიძემ აკანკალებული ხელით რეჟისორს პიესა გაუწოდა.

— ოო, სათაური შესანიშნავად მოგიფიქრებია, — მოუწონა შალვამ, — "წყალქვეშა ნავი ნომერი იქსი".. ეს რომელი წყალქვეშა ნავია, გიორ- გი ქეცბაია რომ იმპერიალისტებს საიღუმლო ცნობებს გაღასცემდა?

დამწყებ დრამატურგს თვალები გაოცებისაგან გაუფართოვდა.

სწორედ ის წყალქვეშა ნავია, მაგრამ...

"მაგრამს" უნდა შევეშვათ, — უთხრა რეჟისორმა, — ჩემი ხნის კა-

ცმა წყალშიც რა ხღება, ისიც იცის.

შალვა ჩინჩალაძე დრამატურგების ქალაქის თეატრში დაარსების დღიდან მოღვაწეობდა. ხანგრძლივი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე იმდენი პიესა დაედგა, ყველას ვერც კი ჩამოგითვლიდათ. ზოგი კარგი სპექტაკლი იყო, ზოგიც ცუდი, მაგრამ მაინც ნიჭიერი რეჟისორის სახელი ჰქონდა გავარღნილი და არცთუ უსაფუძვლოდაც. სხვათა შორის, "ოიდიპოს მეფეც" მისი დადგმული იყო, ოღონდ არჩიბალდ ჩსატარაშვილთან ერთად. სახელი და დიდება სწორედ ამ სპექტაკლმა მოუტანა ორიკეს. ძალა ერთობაშიაო და, "ოიდიპოსის" მერე "ჰამლეტიც" დადგეს ერთობლივად, მაგრამ ვაი ამისთანა დადგმას!.. არჩიძალდ ჩხატარაშვილზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ მარცხი შალვა ჩინჩალაძემ ვაჟკაცურად გადაიტანა. ხუმრობდა კიდევაც, "ოიდიპოსისთვის" ყველა ჩხატარაშვილს აქებდა, მე არვის გავხსენებივარ, სამაგიეროდ, "ჰამლეტისთვის" პერსონალურად მარტო მე მაგინესო.

აი, ასეთ კაცს მიჰქონდა იმ ღღეს წასაკითხად სამსონ ალავიძის ულტრათანამედროვე პიესა და, როგორც მოსალოდნელი იყო, დამწყებ დრამატურგს გული სასიკეთოს არაფერს ეუბნებოდა. წინასწარ არავითარი
ნაბიჯის გადადგმა არ შეეძლო, ცხადია, ვერც თავს შეაბრალებდა რეჟისორს, ობოლი ვარ და მაინცდამაინც მკაცრი კრიტიკოსი ნუ იქნებითო.

მოკრძალებულმა სამსონმა ჩინჩალაძეს მხოლოდ ერთი შეკითხვის მიცემალებულე გაუბედა, პიესის წასაკითხად რამდენი დღე დაგჭირდებათო.

- პიესას გააჩნია, შექსპირს, მაგალითად, ერთ ღამეში ვკითხულობ,
 უთხრა ჩინჩალაძემ და რვეულები გადაშალა, არც მეტი, არც ნაკ-ლები, ორასი გვერდი ყოფილა!.. ამის ნახევარიც რომ დაგეწერა, მგონი, არაფერი დაშავდებოდა.
- მაინც როდის მოგაკითხოს ამ კაცმა? ჰკითხა შალვას იოსებ ქობულამემ.
- დაახლოებით ერთ კვირაში გამოიაროს... კარგად აუხსენი, მე სადაც ვცხოვრობ: კიროვის ქუჩაზე ყველაზე ძველი სახლი რომ დგას, წიგნის მაღაზიის გვერდით, სწორედ ისაა ჩემი სახლი. სხვათა შორის, ადრე ეს მაღაზია მამაჩემს, ტროფიმეს, ეკუთვნოდა. ქართულ წიგნებს ქალაქში მხოლოდ მამაჩემი ჰყიდდა... სამსონისთანა ბეჯით მოსწავლეებს
 კი უფასოდ ურიგებდა, ოღონდ ერთი პირობით: კარგად უნდა წაეკითხათ
 და მერე ტროფიმე ჩინჩალაძისათვის შინაარსი მოეყოლათ.
 - მალიან კეთილი კაცი ყოფილა. თქვა სამსონმა.
- მამაჩემი კი, მაგრამ მისი სიკეთე მე არ გამომყოლია. ჩინჩალამემ თვალები ეშმაკურად მოწკურა, — ამიტომ დამწყები დრამატურგები განსაკუთრებით უნდა მიფრთხილდნენ.

რეჟისორისა და დრამატურგის საუბარში ისევ მსახიობი ჩაერია.

- გეყოფა, შალვა, ეს ახალგაზრდა კაცი ნუ გადამირიე.
- ახალგაზრდა მეც ვიყავი და პიესებს მეც ვწერდი, მაგრამ არავისთვის მიჩვენებია... ჰო, წავედი ახლა მე და პატივცემულ სამსონს დღეის
 ზწორს ვუცდი ოჯახში.

შალვა ჩინჩალაძე ჩქარი ნაბიჯით გაუყვა ქუჩას. სამსონი და იოსები მანამდე გაჰყურებდნენ, სანამ მისი გამხდარი ტანი მოსახვევში არ გაუჩი-ნარდა. მერე იოსებიც დაემშვიდობა სამსონს და ფიქრებთან მარტოდმა-რტო დატოვა, თუმცა რა ფიქრი უნდოდა, სამსონ ალავიძე დარწმუნებუ-ლი იყო, მის პიესაზე ჩინჩალაძე სასიკეთოს არაფერს იტყოდა.

კვირის თავზე მართლაც ყველაფერი იმგვარად მოხდა. კარები გაუღეს თუ არა, სამსონ ალავიძემ რეჟისორს სახეზე უმალვე შეატყო, რომ მისი "წყალქვეშა ნავი" მეჩეჩზე იყო დამჯდარი და სცენაზე ამოსვლას ვერასოდეს ეღირსებოდა.

კარგა სანს სიტყვას არც სტუმარი ამბობდა და არც მასპინძელი. ბოლოს დუმილი ისევ აფორიაქებულმა სამსონმა დაარღვია.

- წაიკითხეთ, ხომ?
- კი, წავიკითხე, თავი დაუქნია ჩინჩალამემ.
- ეტყობა, არ მოგეწონათ.
- სწორად შეგიტყვიათ, არ მომეწონა.

სამსონ ალავიძეს სახლში წასვლის მეტი არაფერი დარჩენოდა, ამიტომ პიესა აიღო და სწრაფად წამოდგა.

შალვა ჩინჩალაძემ სტუმარს ხელი მოჰკიდა.

 — დაჯექი მაგ სკამზე, ასე აღვილად ვერ გაგიშვებ, ჯერ უნდა ვილაპარაკოთ.

დამწყებმა დრამატურგმა სევდიანად ამოიოხრა.

- სალაპარაკო რა გვაქვს, ისედაც გასაგებია ყველაფერი.
- შენთვის კი, მაგრამ ჩემთვის ბევრი რამ გაუგებარია.
- კერმოდ?
- კერძოდ არა, ჯერ ზოგადად ვიკითხოთ, ეს პიესა რატომ დაწერე?
- როგორ თუ რატომ? მღელვარებისაგან სტუმარს პირი გაუშრა,
 თანამედროვე თემატიკა მირჩიეს და მეც ეს საკითხი ვამჯობინე.
 - რა საკითხი?
 - აი, კუთხურობის პრობლემა.
- კუთხურ გამოვლინებებს, რასაკვირველია, ყოველთვის უნდა ვებრძოლოთ, მაგრამ შენ როგორ ფიქრობ, ამ სახით და ასეთ დონეზე ჩვენთან ეს პრობლემა მართლა არსებობს? — ჩინჩალაძე თითოეულ სიტყვას ძალზე მკაფიოდ წარმოთქვამდა, მაგრამ ანერვიულებულმა სამსონმა გაიფიქრა, ალბათ, კარგად ვერ გავიგონეო, და შეკითხვას შეკითხვითვე უპასუხა.

— რა ბრძანეთ, ბატონო შალვა?

— კუთხურობის პრობლემა ჩვენთან მართლა არსებობს თუ მოგონილია-მთექი?

სამსონის გაოცება ახლა შიშმა შეცვალა.

- ასეთ თემაზე ხუმრობა როგორ გეკაღრებათ! უსაყვეღურა მან მასპინძელს და მზერა ღია ფანჯარას მიაპყრო, საიღანაც ქუჩის ხმაური შემოდიოდა. აღვილი შესაძლებელი იყო, ოთახში ნათქვამი გამვლელებს მოესმინათ. ერთი სიტყვით, შალვა ჩინჩალაძემ ყველაფერი იაზრა, ფანჯარა
 დახურა და სტუმარს ისევ წინ დაუჯდა.
- შენ, ჩემო სამსონ, ახალგაზრდა კაცი ხარ, მინდა დავიჯერო, ჯერ კიღევ პატიოსნება არ დაგიკარგავს...
- ჯერ კიდევო?.. ეს როგორ გავიგოთ? აღელვებული სამსონი სკამიდან წამოიწია, მაგრამ რეჟისორმა ისევ დასვა..
- ცხოვრება წინაა, კაცი ყველაფერს მოესწრება... იცოდე, მეტი არ შემაწყვეტინო!.. ახლა ვინც ყველაზე მეტად გიყვარს, იმას გაფიცებ, სიმართლე მითხარი, კუთხურობის მიმდევართა ჯგუფის არსებობა მართლა გწამს?
 - კი მწამს! რიხიანაღ უპასუხა სამსონმა, გულში კი მაინც შიშმა

გაურბინა, ეს შალვა ჩინჩალაძე სულ სხვანაირი ვინმე ყოფილა, ქეცბაიას ული გაუფში ჩემს ჩათრევას ხომ არ აპირებსო.

მასპინძელმა სტუმარს ახალი შეკითხვა დაუსვა.

_ შენ როგორ გგონია, ქეცბაია ხალხის მტერი და იმპერიალისტე-

ბის აგენტია?

— როგორ თუ მგონია! — იყვირა სამსონ ალავიძემ, — ღახურულ წერილში ხომ ყველაფერი დაწვრილებით წერია. სხვათა შორის, სკოლაშიაც განვიხილეთ ეს წერილი და ერთსულოვნად მოვიწონეთ.

— შენ რომელ სკოლაში სწავლობ? — დაინტერესდა ჩინჩალაბე.

_ პირველ ვაჟთაში.

— ქეცბაიას შვილებიც, ვიცი, პირველ ვაჟთაში სწავლობენ. ისინიც ესწრებოდნენ მაგ წერილის კითხვას და ტაში დაუკრეს?

სამსონმა გაოფლილი შუბლი მოიწმინდა.

არა, ისინი არ ესწრებოდნენ.

რეჟისორმა შვებით ამოისუნთქა.

— მაღლობა ღმერთს, რომ არ ესწრებოდნენ და მამა არ დაგმეს! ჩინჩალაძე ისევ სტუმარს მიუბრუნდა, — ესე იგი, გიორგი ქეცბაია ყოველ კვირას უცხოეთის წყალქვეშა ნავს ხვდებოდა, არა?

— ბატონო შალვა, გთხოვთ, ამ თემაზე მეტს ნუღარ შემეკითხებით... ვატყობ, ჩემზე ცუღი შთაბეჭდილება შეგექმნათ... ისღა დამრჩენია, პიესა

წავიღო და წავიდე.

მასპინმელმა გრაფინიდან წყალი დაასხა და ჭიქა სტუმარს მიაწოდა.

- შენ ჯერ ეს წყალი დალიე და ცოტა დაწყნარდი, ხოლო როცა დაწყნარდები, ჩემს შეკითხვას ისევ გაგიმეორებ, — მამა-შვილურად გთხოვ ამიხსნა, განა შეიძლება, ჩვენი ქალაქის პარკში, კატარღების მისადგომთან, ზღვიდან წყალქვეშა ნავი ამოვიდეს და არვინ შენიშნოს?
 - ქეცბაიამ ხომ აღიარა, ვხვდებოდიო?
 - როცა ძალას დაგატანენ, უარესიც შეგიძლია აღიარო.

სამსონ ალავიძემ მაინც არ დაიჯერა.

— დახურულ წერილში სხვანაირად წერია.

შალვა ჩინჩალაძემ თავი უკმაყოფილოდ გააქნია.

 — რაკი ფანჯრები დავხურეთ, ახლა მე და შენ ის წერილიც დავხუროთ და უფრო გულახდილად ვილაპარაკოთ.

— ვილაპარაკოთ, ბატონო, ოღონდ პიესის გარშემო. — შეეხვეწა

სტუმარი.

 სწორედ რომ პიესას უნდა დაეუკავშიროთ ჩვენი საუბარი, ოღონდ ჯერ ერთს კიდევ შეგეკითხები.

სამსონ ალავიძემ ისევ ოფლი მოიწმინდა და თავი ჩაღუნა.

— ესე იგი, არც მენდობი და არც ჩემი ნათქვამი გჯერა, — სინანუ-

ლით ჩაილაპარაკა რეჟისორმა, — გულში, ალბათ, ფიქრობ, სემართლე რომ წამომცდეს, ეს კაცი უეჭველად დამასმენსო...

ისედაც აწითლებულ ბიჭს სახე ახლა ჭარხალივით გაუხდა.

— ბატონო შალვა, არ გეკადრებათ ასეთი ლაპარაკი!.. თქვენისთანა

ინტელიგენტი კაცი როგორ შეიძლება დამსმენი იყოს.

— ჩემისთანა ინტელიგენტის ამბავს მე ნუ მასწავლი!.. როგორ ახლა, გიორგი ქეცბაია თუ უცხოეთის აგენტი აღმოჩნდა, მეც ხომ შეიძლება ჯა-შუში ვიყო?.. ერთ ამბავს მაინც მოგიყვები და დასკვნა შენ თვითონ გამოიტანე... აგერ ახლა მოხდა ყველაფერი, გიორგი ქეცბაიას დაჭერამდე. ვოლდემარ შარაშიძის "1812 წელი" რომ დავდგით თეატრში, სწორედ იმ დღეებში. ხომ ნახე შენ ის სპექტაკლი?

როგორ თუ არ ვნაზე! — გულწრფელად გაიკვირვა სამსონმა, —

დიდებული ბაგრატიონი იყო ბატონი იოსები.

შალვა ჩინჩალაძემ, თანხმობის ნიშნად, ბიჭს თავი დაუქნია და განაგრძო:

— ჰოდა, იმას გეუბნებოდი, პრემიერიდან ერთი კეირის შემდეგ საზეიმო სზდომა იყო თეატრში და პრეზიდიუმის გაფორმება მე დამავალეს,
ესე იგი, განკარგულება უნდა გამეცა, მაგიდები სად დაედგათ, ტრიბუნა
კიდევ სად, ვისი სურათები ჩამოეკიდათ სცენაზე და რა ლოზუნგები გაეკრათ. საქმე მიანცდამაინც ბევრი არ იყო, მაგრამ პასუხისმგებლობას ნუ
იკითხავ!.. ხელმძღვანელების სურათების დახატვა გიგლა კინკლიაშვილს
დავავალე, გვყავს ერთი ფინაჩი მხატვარი თეატრში, დიდი ინტრიგანი და
გაფუჭებული კაცი, ჩემზე დაბოღმილი იყო, სპექტაკლებს არ მაფორმებინებსო... ვიღაცის წელი აქვს თორემ მაგის გაჩერება თეატრში როგორ შეიძლება!.. ჰოდა, მომიტანა მაგ კინკლიაშვილმა, შენ ხარ ჩემი ბატონი,
ესკიზები. შევხედე თუ არა, კინაღამ გადავირიე, არცერთი ხელმძღვანელი თავისთავს არ ჰგავდა, ყოველ შემთხვევაში, იმ პორტრეტებისაგან ძალიან განსხვავდებოდნენ, გაზეთებში რომ ბეჭდავდნენ.

- ვინაა. კაცო, ესენი?! — გაბრაზებულმა ვუყვირე კინკლიაშვილს.

— როგორ თუ ვინააო! — აქეთ არ შემომედავა ის გათახსირებული,— ჩვენ ხელმძღვანელებს როდის შემდეგ ვერა სცნობო?

_ ვინც შენ ღაზატე, იმათ მართლა ვერა ვცნობ-მეთქი! — მივაზალე

პირში და ესკიზები გადავუგდე.

_ კარგი, აბაო, _ დამემუქრა გიგლა-მხატვარი, _ ვინ ვის იცნობს,

მაგას სულ მალე გავარკვევო. — ესკიზები წაიღო და წავიდა.

სიმართლე გითხრა, მაშინ დიდი მნიშვნელობა არ მიმინიჭებია მისი მუქარისათვის, დიდი-დიდი დირექტორთან მიჩივლებს-მეთქი. დირექტორი, რასაკვირველია, ხელახლა დაახატვინებდა და ყველაფერი ამით დამთავრდებოდა. მართალი რომ ვიყავი იმიტომ არ შემეშინდა მისი მუქა-

რის... თურმე, სულ ტყუილად ვიმშვიდებდი თავს. კინკლიაშვილი ინტრი/ განი რომ იყო, ადრე ხომ გითხარი, მაგრამ მთლად თუ გაიწყვეტდა შუულებლის ბარღვს, როგორ წარმოვიდგენდი! დირექციაში კი არა, უფრო დიდ დაწესებულებაში გაქცეულა. აი, იქ, სანაპირო ქუჩაზე რომ მდებარეობს და მის გვერდით ზოგიერთებს გავლა რომ ეშინია. ერთი სიტყვით, დამა-სმინა იმ არაკაცმა, მენშევიკის შვილმა, შალვა ჩინჩალაძემ, ჩვენი ხელმ-ძღვანელობა უდიერად მოიხსენიაო.

— როგორ თუ მენშევიკის შვილმაო?

— ვითომ მამაჩემი ტრიფომე ყოფილა მენშევიკი... კიდევ თურმე მთე-ლი თეატრის გასაგონად მითქვამს, მაგისთანა ხელმძღვანელებს მე არ ვი-ცნობ და არც მომავალში მინდა ვიცნობდე-მეთქი... ეს ყველაფერი მერე გამოირკვა, მანამდე კი ბაიბურში არა ვარ. მივედი საღამოს ჩვეულებრი-ვად სახლში და ცოლი კიბეებზე შემომეგება, არიქა, გიორგი ქეცბაია გე-ძახის, როგორც კი გამოჩნდეს, საჩქაროდ ჩემთან მოვიდესო.

მოღი და ნუ შეგაშინებს ასეთი სიტყვების მოსმენა, მაგრამ ვითომ

მაინც ვიხუმრე.

— რა იყო, ქალო, საღილიც არ ჭამოსო, ასე დაიბარა?

ცოლი ფირალების სოფლიდან მყავს, საჭამიასერი ზომ გაგიგონია ჩოხატაურის რაიონში? აი, სწორედ იქედანაა... არც კი დაფიქრებულა, პასუხი ისე მესროლა.

სადილზე არაფერი უთქვამს, მაგრამ ვახშმად აუცილებლად ვპატი-

ჟებო, გამაფრთხილა.

თავი ისევ ყოჩაღად მიჭირავს, მაგრამ ხმა რატომღაც გამებზარა.

მშვიდობა ზომაა, თუ იცი? — ვკითხე მე.
 ცოლმა ვითომ ჩემი შეშფოთება ვერ შენიშნა.

— მშვიდობაა თუ ომია, მაგას ქეცბაიასთან რომ მიხვალ, მაშინ გაარკვევ

გიორგი ქეცბაიას კარგად ვიცნობდი. ჩემს არცერთ პრემიერას არ აცდენდა. "1812 წელი" გულითადად მომილოცა, კიდევ ბევრი ასეთი სპექტაკლი დაგედგასო. მას შემდეგ ერთი კვირაც არ გასულა და ასე უცებ რა უნდა მომხდარიყო, იქნებ რაიმე უნდა დამავალოს, მაგრამ დღისით ხომ შეეძლო თეატრში დარეკვა?.. ეტყობა, რაღაც სერიოზულია. თორემ ასე გვიან უფროსი როგორ დამიბარებდა.

ამდენი ფიქრის დრო სად იყო. საჩქაროდ დანიშნულების ადგილისაქენ გავწიე. ის ადგილი ჩემი სახლიდან სულ ახლოს იყო, რაღაც ორას
მეტრზე. მისაღებში ხალხი ბევრი უცდიდა, მაგრამ მდივანს ჩემი სახელი
და გვარი რომ მოვახსენე, ურიგოდ შემიშვეს. კაბინეტში შევედი თუ არა,
გულმა მიაზრა, ცუდად იყო ჩემი საქმე. ქეცბაიამ წარბშეჭმუხნილმა შე-

მომხედა, არც მომსალმებია და არც სკამი შეუთავაზებია. რა გეშველება ახლა, შალვა ჩინჩალაძევ!

- ზრდილობის გულისათვის სალამი მაინც გავბედე.

— გამარჯობა, ბატონო გიორგი, როგორ გიკითხოთ, ხომ კარგად ბრძანდებით?

_ მე არა მიშავსო, _ თვალი თვალში გამიყარა მან, _ ოღონღ მალი-

ან მაინტერესებს, პირადად თქვენ როგორ ბრძანდებით?

— ისე, საშუალოდ, როგორც ჩემი ზნის კაცს შეეფერება. — თავი მოვითავმდაბლე მე.

ქეცბაია სავარძლიდან წამოდგა და გვერდით დამიდგა.

თქვენი ხნის კაცს მეტი დაფიქრება მართებს, სანამ რაიმეს იტყოდეს! — მკაცრად მითხრა მან.

მივხვდი, რაშიც იყო საქმე, მაგრამ მაინც შორიდან მოვუარე.

— მაინც რა ვთქვი ასეთი, ბატონო?

- არ იცით, ხომ? ქეცბაიამ კიტელის ჯიბიდან წითელი ფანქარი ამოიღო და მაგიდაზე ნერვიულად დააკაკუნა. გაგონილი მქონდა, წითელი ფანქრით განცხადებაზე ყოველთვის ცუდ რეზოლუციას აწერდა: "უარი ეთქვას", "მოიხსნას", "გაირიცხოს" და ასე შემდეგ. მართალია, მაგიდაზე ჩემს საწინააღმდეგო განცხადებას ვერსად ვხედავდი, მაგრამ წითელი ფანქრის კაკუნი მაინც განაჩენივით ჩამესმა ყურში. ამ კაკუნის შემდეგ, ალბათ, მეტყვის, მავნებელი ხარო, და დაღუპულია ჩემი საქმე, სახლშიც არ გამიშვებენ ცოლ-შვილთან გამოსამშვიდობებლად. ვიცოდი, ქეცბაია ტყუთებრალოდ ვინმეს ცუდ სიტყვას არ აკადრებდა, მაგრამ თუკი კაცს ეტუფოდა, ჯიბგირი ხარო, ეს კაცი ნამდვილად ჯიბგირი იყო.
- ყველაფერი დაწვრილებით უნდა მომიყვეთ, რაც მოხდა, შემახსენა ქეცბაიამ.

დაწვრილებით კი არა, მოკლედ თქმა არ შემიძლია, რადგან პირი გამიშრა და ქეცბაიას მაგივრად თურმე გრაფინს მივჩერებივარ. (მაშინ უფროსებს ჩვეულებრივი გრაფინი ედგათ კაბინეტში და, სხვათა შორის, არც
მაცივარი ჰქონდათ). გიორგი ქეცბაიამ წყალი დამისხა და ჭიქა მომიჩოჩა,
თან დამიყვავა, ნუ ღელავთ, სული მოითქვით და მერე ყველაფერი ზუსტად გაიხსენეთ, არცერთი სიტყვა არ გამოგრჩეთ, მაინტერესებს, ჩვენს
ხელმძღვანელობაზე ასეთი რა თქვითო.

- არაფერი მითქვამს, ბატონო-მეთქი.
 მოვისაწყლე თავი.
- როგორ თუ არაფერი!.. ჩვენი ხელმძღვანელები ვის გვანანო, არ გითქვამს შენ? – ქეცბაიამ თვალებით გამბურღა.
- ეს სიტყვები ხელმძღვანელობაზე კი არა, კინკლიაშვილის დახა ტულ ესკიზებზე ვთქვი! ვიყვირე სასოწარკვეთილმა, თქვენ რომ სა-

ownsesenwe creenene

კუთარი თვალით ნახოთ, ადვილად დარწმუნდებით ჩემს სიმართლეში.

— რატომაც არ ვნახავო, — დამეთანხმა გიორგი ქეცბაია, მერე ზარი დარეკა და მდივანს უბრძანა, საჩქაროდ კინკლიაშვილი თავის ესკიზები-ანად აქ მომიყვანეო.

კარგა ხანს ორივენი ვღუმდით, მერე ქეცბაიამ მკითხა, თეატრში სხვა რა არის ახალიო.

- ამაზე ახალი რა უნდა იყოს-მეთქი. ვითომ ვიხუმრე, მაგრამ არ გაუცინია.
- მამაშენს, ტროფიმეს, ქალაქში წიგნის მაღაზია თუ ჰქონდაო? მკითხა მოულოდნელად და მეც თავი დავუქნიე, კი ჰქონდა-მეთქი.
- და შიგ ნოე ჟორდანიას წიგნებით ვაჭრობდა, ხომ? ქეცბაიამ მაგიდაზე ისევ წითელი ფანქარი დააკაკუნა.

წყალი ახლა მე თვითონ დავისხი და მოვსვი.

— ნოე ჟორდანიას კი არა, შოთა რუსთაველის, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის წიგნებს ჰყიდდა მამაჩემი ტროფიმე, ღარიბებს თანაც უფასოდ ურიგებდა...

ქეცბაიამ დაკვირვებით შემხედა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

ამასობაში გიგლა კინკლიაშვილიც შემოიყვანეს. მე რომ კაბინეტში დამინახა, შეცბა, მაგრამ ვითომ იხტიბარი არ გაიტეხა.

- ამ კაცს თუ იცნობ შენო? წითელი ფანქარი მომიშვირა ქეცბაიამ.
- როგორ არ ვიცნობო, შემომიბღვირა კინკლიაშვილმა, რეჟისორი შალვა ჩინჩალაძეაო, ჩვენი ხელმძღვანელობის პორტრეტების ესკიზები ვუჩვენე და ზედაც არ დაუხედია, ისე მომაყარა სახეში, ესენი ვინ არიანო!
 - აბა, მაჩვენე ის ესკიზები.
 უთხრა ქეცბაიამ.

კინკლიაშვილმა საქაღალდედან ერთი პორტრეტი ამოიღო და მაგიდაზე დადო.

ქეცბაიამ უყურა, უყურა და ბოლოს თავისი გაოცება ვერ დამალა..

- ვინაა, კაცო ეს! იყვირა მან ღა ერთბაშაღ მე მხრებიღან ღიდი ლოღი მომეხსნა.
- რა ბრძანეთ? შეცბა კინკლიაშვილი, ნუთუ ვერ იცანით ეს ვინ არის...
- სწორედ ის არ არის, ვის დახატვასაც აპირებდი! სხვა ესკიზი მიჩვენე.

(でいしいしんかでの O36035)



853067R0 303563

როგორ ციმციმით
ბრწყინავდა დნეპრი!
წყალში ვარდივით
ემინა მთვარეს,
და მაგონებდა
მე მთვარის ფერი
უმანკო ცრემლში
ჩამირულ თვალებს.

ირგვლივ ყვაოდა მიდამო ვრცელი,

ოღნავად ქროდა ნიავი ნელი, მე ვდუმდი,

ვდუმდი,

ო, გეფიცები; ვერ მეთქვა შენთვის

ჩემი სათქმელი.

მახსოვს,

გრძნეული ცისფერი ალი, დარდი სათუთი,

რაღაც მდიდრული,

ჭაბუკის გულში ვით გაზაფხული

მოულოდნელად გამოკვირტული.

ჯარისკაცს განა ბედი ვინ მისცა.

ბრმოლაშიც

თან სღევს სადარღებელი,

ნეტავ გენახა:

მტერს როგორ ვცემდი,

შენი მანდილის შუქის მლანდველი. სადა ხარ ახლა,
ჩემო თოლიავ?
რომ თაყვანი ვცე
შორეულ ალერსს,
ვინ იცის,
იქნებ გაგიყოლია
დნეპრის ტალღებში
ჩაძირულ მთვარემ.

6363606 30636

სანგრის პირას ვბურთაობდი, თურმე ბედი მცდიდა, ჩემს ბავშვობას როდი ვთმობდი, ირგვლივ ტყვია ცრიდა. მტრის ტანკები რომ იძროდა, ვინ მიუგდო ყური, მწარე ფიქრში იცინოდა ჩემი მეთაური. არც არავის გაულანძღავს ჩემი გაჭრა ველად, ჯერ თამაშით გაუმაძღარს ჩამისაფრდა ელვა. ცეცხლთან ჰქონდა ამგვარ ზრახვას

თურმე დასასრული და მახსენებს ის დრო ახლა, ჩემს ბავშვობის სურვილს.

6525 656?

ქარი რაღ ტირის ნეტავი, ან რა დარდს მიმხელს ამაღამ, სადა ხარ, შვილო, მითხარი, სადა ხარ, შვილო, სადა ხარ?



იქნება მწვანე კორდი ხარ, დუმილის თანაზიარი, მწვანე ბალახად მოდიხარ, ნამის ცრემლებით მზირალი. ვერ მილოცნია სალოცი, სიტყვა ვერ მითქვამს სათქმელი, სამოცი წლის ვარ, სამოცი
ერთად მიქრება სანთელი.
ქარი რად ტირის ნეტავი,
ან რა დარდს მიმხელს ამაღამ,
სადა ხარ, შვილო, მითხარი, —
სადა ხარ, შვილო სადა ხარ?

agarent ragsau იანვრის სუსხში იოდის სუნი უფრო მძიმდება, ალბათ განგებამ განსაცდელი ასე ინება: ვწევარ დანის ქვეშ, ბედიღბალი ან გამიღიმებს, ანდა დაბანგულს სამუდამოდ ჩამეძინება. საშინელია წინათგრძნობა რაღაც ცთუნება: შიში წყეული, ქვეყანაზე არ დაბრუნების. — ოჰ, ეს თქვენა ხართ?! ექთანის ხმა მესმის საამოდ, თუმც იღიმება მეჩვენება მწუხრის საღამოდ. მცნობდა თუ არა, გადარჩენა სიცოცხლის სურდა და სუყველაფერს

ზოგჯერ მართლაც იღბალი ჰქვია. დღეს რელიქვიის მსგავსად ვხედავ ჩემს მაგიდაზე ორმოცდაერთის მოგონებად დარჩენილ ტყვიას.

— "ოჰ, ეს თქვენა ხართ?!"
 ექთანის ხმას ვისმენ საამოდ,
 თუმც მის ღიმილში
 კვლავაც მოჩანს მწუხრის საღამო.





MT 3166 36@Md1...

3063050 656050

როცა ქედის რაიონული ცენტრიდან აქარის ზეგანს გადახედავ, სიამაყით ივსები... მართლაც წარმტაცი და მომაკადოებელია ტყეებით შემოსილი, ღვიძლი ძმებივით ერთ-მანეთს ჩახვეულ-ჩახუტებული ცადაზიდული მთები. კაცმა რომ თქვას, ამ მთებიდან იწყება ჩვენი სამშობლოც. თითოეული ქვის ნატეხი, ხიდის ნანგრევი და ციხის კედელი თვალნათლივ ღაღადებს ჩვენს წარსულს, ისტორიას, გმირობას, შემართებას, ტკივილს, სიხარულს, რომ აქ გაჩნდა და გამრავლდა ჩვენი მოდგმა, აქედან წამოვიდანათელიც და წკვარამი სიბნელეც.

როგორ არ აგაღელვებს ერთმანეთს მიწყობილი ოდა-სახლები, ძველთაძველი სოფლები: ვაშლოვანი, სხალთა, ვაიო, ორცვა, ზვარე, აგარა, ზენდიდი, მერისი, დანდალო... აქედან მოჩანს ამაყი გოდერძი, გვანცას მთის ქათქათა ყელი, ქედმოუხრელი ხიხანი...

დაბლა ციცაბო, შავი, ჟანგმოკიდებული კედლები აჭარისწყალს ტალღების ჭვანგებით გაუხრავს და გზა გაუკვალავს. ამ ბობოქარი მდინარის შემხედვარე კაცს უნებლიეთაგონდება პოეტ მამია ვარშანიძის სტრიქონები:

> აქარისწყალი ზვიად მთებს ჩახვეულ-ჩაჩქერებული, მორბის, მოშხუის, კლდეებთან შებმას და შეხლას ჩვეული, და მის კრიალა სარკეში ცა არის ჩაჩერებული, ზოგან ქაფს იყრის, მრისხანებს, ზოგან მგლოვარე ჩანგია, ლოკავს და ლოკავს შმაგივით ლოდებს ხავსიან-ჟანგიანს.

სწორედ ამ აბობოქრებულ მთების უბეში შეუნახავს ჩვენს წინაპარს ქართველობა, ლოდებზე ამოუკვეთავს ქართული ანბანი, სხალთის ტაძარში სანთელი აუნთია და ხატის წინ მუხლებდაჩოქილი მამულის სიყვარულით ღაღადებდა.

რამდენჯერ ეს მხარე სისხლს და ცრემლს მოურწყავს, რა არ ახსოვს ამ მრავალტანჯულ მთებს, მაგრამ ქართველ კაცს კერაზე ცეცხლი არ ჩაუქრია, მამა-პაპათა ფუძე არ გაუცივებია. ვაზი გაუშენებია, ხეხილი დაურგავს, არხი გაუყვანია, მიწა ოფლით დაულბია, ბეღელი ქირნახულით გაუვსია და კვალი ბოლომდე გაუტანია.

ახლა ამ მიდამოს რომ ჩაუვლი, გულს ცისნამივით დაეპკურება პოეტის სიტყვები:

სკობს აღარ გქონდეს სულაც სამშობლო ანდა არ იყოს ასე ლამაზი!

სწორედ ამ მშვენიერი მთების ერთ პატარა სოფელ მერისში დაიბადა ჩემი წიგნისგმირი დავით (დაუთ) ასამბაძე, კაცი, რომელიც სიცოცხლეშივე ხალხმა შეიყვარა და რომლის პატიოსანი, ნამუსიანი სახელით დიდხანს შეგვიძლია ვიამაყოთ.

თვრამეტი წლის ახლადულვაშაქოჩრილ ახალგაზრდა დავით ასამბაძეს უკვე დამ-

თავრებული ჰქონდა სოფლის სკოლა და ქედის რაიონის ფოსტაში დამტარებლად მუშაობდა.

ერთხელ გაზეთებით სავსე ჩანთა რომ მოჰქონდა, გზად მურად აბულაძე შეხვდა. აბულაძემ შეათვალიერა ფოსტალიონის ზორბა ტანი, ბრიალა თვალები, მოხუცმა იცნო ბიჭი, გააჩერა და ჰკითხა: შენ ოსმანას ბიჭი ხარ?

- Jo, dodos.
- დაუთაი, არა?
- posb!
- მერე აი დევივით კაცი გაზეთებს რომ ატრიალებ სოფლიდან-სოფელში, შეიძლება აგი?

— აბა, რა ვქნა. რაღაცა ხომ უნდა ვაკეთო?

— ფოსტალიონად ცოდვა ხარ შენ. შენისთანა ვაჟკაცები დღეს ქვეყანას სხვაგან უფრო გამოადგება. — ბერიკაცმა კეფა შეიფხანა, ოსმანას ბიჭს კიდევ უფრო საფუძვლიანად დააკვირდა. — ცოდვა ხარ ფოსტალიონად.

— აბა, რა ვაკეთო? — გაიმეორა შეკითხვა დავითმა.

მურად აბულაძემ ერთხელ კიდევ მოჭუტა ისედაც ვიწრო თვალები, ფოსტალიონს მხრებიდან ჩანთა ჩამოხსნა, ქვაზე დადო და თვითონაც ჩამოჭდა.

- მილიციაში გინდა მუშაობა?
- მილიციაში? დაიბნა დავითი და მურად აბულაძეს ნაღვლიანად ახედა.
- პო, რად მოიწყინე?. ჩემი მეგობარია უფროსი, უარს ვერ მეტყვის, წადი, დაფიქრდი, აწონ-დაწონე, თუ ჭკუაში დაგიჯდება, მოველაპარაკები, კაცი გამოხვალ.
 - არ მიმიღებენ.
 - შენისთანა ვაუკაცებს სანთლით ეძებენ. დამიჭერე. სწავლა გინდა, ისწავლი.
 - -- მამაჩემმა რომ არ გამიშვას?
- მე ეეტუვი. ოსმან ასამბაძე გონიერი კაცია, ჩვენ ერთად ვიბრძოდით საბჭოთა ზელისუფლების დამყარებისათვის. იგი წინააღმდეგი არ წავა. მაგ გაზეთებს სხვაც მიიტანს სოფელში, ხვალ პასუხი მინდა! — თქვა და წავიდა.

მთელი ღაშე დავითს თვალი არ მოუხუჭავს. დილით ჩანთას ხელი წამოავლო და ფოსტაში წავიდა. შეპირებულივით მურად აბულაძე ისევ შეხვდა იმ ვიწრო მოსახვევში.

- რა ქენი? გადაწყვიტე? გული რას გეუბნება? ჰკითხა.
- მიმიღებენ? მოკლედ მოჭრა დავითმა.
- კი. კი მიგიღებენ. შენ ამ საქმისათვის ხარ დაბადებული, აი, ნახავ, კაცი გამოხვალ.

მურად აბულაძე დინქი, გონებანათელი კაცი იყო, უყვარდა ახალგაზრდობა, ეძებდა ნიჭიერ, შრომისმოყვარე და პატიოსან ხალხს. მას ერთი შეხედვით მოეწონა დავითი. ამ ახალგაზრდა კაცის ქანმრთელ სხეულში და სულში იწინასწარმეტყველა ჩეკისტისათვის დამახასიათებელი უნარი, ნებისყოფა, მონდომება, ძალა და მაღალი მორალური სიწმინდე.

დავითი ნელა მიჰყვებოდა აბულაძეს და სულ ფიქრობდა: "შევძლებ? ვაითუ შევარცხვინე ეს კეთილი ადამიანი. არა, უნდა შევძლო. ვნახოთ, იქნებ არც მიმიღონ." ამ ფიქრებით იგი მიადგა ქედის რაიონის მილიციის განყოფილების კარებს. კაბინეტში შესვლისთანავე მურადმა ღიმილით უთხრა უფროსს:

— აი, ეს უმაწვილია მე რომ გთხოვე, ზექერიავ.

ზექერიამ დავით აბულაძეს შეხედა, ხელი ჩამოართვა, მოეწონა ახოვანი და ლამაზი შესახედაობის ახალგაზრდა კაცი. დავითი ღელავდა, ხმას არ იღებდა, მილიციის უფროსის ჩაცმულობას აკვირდებოდა, მოეწონა, თავად ოცნებობდა გამხდარიყო ნამდვილი ჩეკისტი, ხალხის ჭეშმარიტი მსახური, ფიქრებში ჩაძირული დავითი უფროსის ხმამ ზღვიდან ნაპირზე გამორიყა.

- რამდენი წლის ხარ?
- თვრამეტის!
- კომკავშირელი?
- coab!
- წერა-კითხვა იცი?
- ვიცი. სოფლის სკოლა დავამთავრე.
- კეთილი!

"იქვე განცხადება დამაწერინა. ორი თუ სამი "ანკეტა" შემავსებინა, ჩემს ნაწერს თვალი გააყოლა, მერე რაღაცები შეასწორა, ქაღალდები მაგიდის ყუთში შეინახა, წამოდგა და ხელი გამომიწოდა: — მომილოცავს! შენ უკვე ჩვენი მუშაკი ხარ. საბჭოეთის მილიციელი, გისურვებ წარმატებებს! — ეს იყო და ეს, მაგრამ ჩემთვის დაუვიწყარი. აქედან დაიწყო ჩემი, როგორც ჩეკისტის, ცსოვრება და შემოქმედება". — იგონებდა დავით ასამბაძე.

დავით ასამბაძე მართლაც სრულიად ახალგაზრდა ეზიარა ჩეკისტის ძნელ პროფესიას, ჯერ კიდევ გამოუცდელი ყმაწვილი მშობელი ხალხის სამსახურში ჩადგა.

მაშინ სხვა დრო იყო. ყველაფერი თავიდან იწყებოდა: ამ მრავალწამებულ ხევში ნელა იკიდებდა ფეხს ახალი ცხოვრება, ბევრს არცკი ესმოდა კარგად მისი სიკეთე, არც ამდენი ინფორმაციის წყარო იყო და არც ამდენი განათლებული ხალხი. არ იყო განკურნებული სამასწლიანი ტყვეობის მძიმე ჭრილობები. ძველ ადათ-ჩვევებით აღზ-რდილი ხალხის ერთი ხელის დაკვრით სიბნელიდან მზის სინათლეზე გამოყვანა ადვილი საქმე როდი გახლდათ.

საბედნიეროდ დიდი დრო არ დასქირებია ახლებურად გარღაქმნას. მიუვალ სოფლებშიც კი შეაღწია სოციალისტური წყობილების ნათელმა შუქურამ, ხალხი, ქალიც და კაციც, სწავლას დაეწაფა, იყო შეცდომებიც, მაგრამ მალე ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგა.

სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობა ხალხის წინაშე ათასგვარ საკითხს აყენებდა, ამიტომ ცხოვრებამ მრავალი თავსატეხი გააჩინა. მათი ცოდნა და სწორად გატარება არც თუ ისე იოლი საქმე იყო.

ახალგაზრდა დავითი დაეწაფა წიგნებს, უფრო დაუახლოვდა ხალხს, ჩაწვდა სულში მას და ითვისებდა ყოველივე იმ კარგს, რაც გამოადგებოდა. მოგვიანებით იგი იტყვის: "თუ ცხოვრებას არ იცნობ, წიგნის ცოდნა ვერაფერს გიშველისო".

შესაშური ენერგია და უნარი გამოავლინა, ღამეებს თეთრად ათენებდა, კითხულობდა ყველაფერს, რაზეც ხელი მიუწვდებოდა, მაგრამ ყველაზე კარგად დავითმა
ცხოვრების კანონები იცოდა. უბრალო ხალხის წიაღიდან გამოსული კაცი, ბოლომდე
დარჩა მისი ერთგული. ქვეყნის, ხალხის სამსახურში სიტყვა არ გაუტეხია, ფიცი არ
შეურცხვენია, ჯილდოდ იყო ხალხის სამსახური, ტაში — პატიოსება , სახელი —
უბრალოება. მიზანი — მტერზე გამარჯვება, — ოცნება — ნამუსიანი სიცოცხლე.

დავით ასამბაძე მალე დაწინაურდა. აი, როგორ ახასიათებდა მას ჟურნალისტი კოტე მელაშვილი: "მას უბრალოდ დაუთას ეძახდნენ. იგი ბრგე ვაჟკაცი იყო, ბეჭებგანიერი, მკლავმაგარი, კოხტად დაყენებული ულვაშები ჰქონდა, მაგრამ მარტოოდენ გარეგნობით როდი იქცევდა ყურადღებას დაუთა. იგი გამოირჩეოდა თავმდაბლობით,
კაცთმოყვარეობით, პირდაპირობით და მხნეობით. იშვიათად ნახავდით მოწყენილს,
რანაირ მძიმე მდგომარეობაშიც არ ყოფილიყო. არ უყვარდა პირმოთნეობა, თუ ვინმეს

რაიმეს დაპირდებოდა, სიცოცხლის ფასადაც რომ დაჭდომოდა, უკან არ დაიხევდა და დანაპირებს მაინც შეუსრულებდა".

თუ როგორ ასრულებდა დანაპირებ სიტყვას დავით ასამბაძე, ისევ იმ ჟურნალისტს ექე

დავესესხოთ:

"1943 წელს, როცა ქობულეთის მილიციის უფროსად მუშაობდა, პარტიულმა ხელმძღვანელობამ დაავალა ბათუმ-ქობულეთის გზის შესაკეთებლად სოფელ გელაურის
მოსახლეობა ჩაქვის სადგურთან გამოეყვანა. მაშინ ეს გზა მოასფალტებული არ იყო.
სოფელში ერთი მოხუცი გარდაცვლილიყო და მის დასაფლავებას უნდა დასწრებოდნენ გლეხები. დავითმა მათ სთხოვა, წამომყევით გზაზე სამუშაოდ და პირობას გაძლევთ, როცა დასაფლავების დრო მოაწევს, უკანვე გადმოგიყვანთ სოფელშიო.

ჩაქვში ორმოცდაათამდე კაცი გაჰყვა დავითს. კარგად იმუშავეს. მოახლოვდა მოხუცის დასაფლავების დროც. პირობას შესრულება უნდოდა, დატრიალდა დაუთა, აქეთ ეცა, იქით ეცა, მაგრამ ავტომანქანა ვერსად იშოვა. შეწუხდა... უცებ დაინახა რკინიგზის სადგურთან ჩიხში ჩაყენებული ორთქლმავალი, რომელსაც რამდენიმე ლია

ვაგონი ჰქონდა მიბმული. მყისვე სადგურის უფროსთან გაჩნდა.

- რატომ დგას ჩიხში ორთქლმავალი?!

— ისვენებს, ბატონო დავით, — ხუმრობით უთხრა სადგურის უფროსმა.

მაგრამ დაუთა ხუმრობის გუნებაზე როდი იყო.

- ngn an anto 3069
- ვიცი, მილიციის უფროსი ბრძანდებით.
- ჰოდა, აი ის ორთქლმავალი გამოიყვანეთ, ქობულეთში ხალხი უნდა გავაგზავნო!
 - არ გვაქვს უფლება.
- ორთქლმავლის უქმად გაჩერების უფლება გაქვთ და ადამიანების გადაყვანის უფლება არა?
 - ხელმძღვანელობა დამსკის, მატარებელი გრაფიკის გარეშე როგორ გავუშვა?
 - ხელმძღვანელობის წინაშე მე ვაგებ პასუხს!

დავითის მტკიცე მოთხოვნამ გასჭრა, გლეხები ქობულეთში მატარებლით გადაიყვანეს.

უჩივლეს დავითს რკინიგზის სამმართველოს უფროსთან და საყვედურიც გამოუცხადეს, არ სწყენია: "საყვედური სწორად მომცეს და მეც სწორად მოვიქეციო, გლეხებთან პირი რომ არ შევირცხვინეო". — თქვა მან...

აი, კიდევ რას სწერს ცნობილი ქართველი მწერალი ილია რურუა დავითზე: "ვის უნდა ჰკითხო აჭარაში ამ კაცზე, რომ სახე არ გაებადროს:

-- ო, ჩვენი დაუთა!

გვარით იშვიათად ახსენებენ, თუმცა ძველისძველი, სახელოვანი ქართული გვარის კაცია. ამ გვარის ხალხს ისევ მრავალჭირნახულ აჭარაში თუ შევხვდებით.

დაუთას წინაპრები მესხეთის სპასალარებს უმშვენებდნენ გვერდს თურქებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში. თვითონ დაუთი უბრალო პროფესიის კაცია, მისი. დღე და მოსწრება მილიციაში გაატარა.

თავისთავს უსწავლელს ეძახის, მისი ბიბლიოთეკა კი ბევრ მწიგნობარს შეშურდება. მე თვითონ მინახავს ამ ბიბლიოთეკის თაროებზე უნიკალური წიგნები, ზოგიერთი მათგანი ნიკო მარის სამახსოვრო წარწერითაც.

რას მიქვია უსწავლელი, თუ ბუნებას ადამიანისათვის კაცური, მადლიანი გული ჩაუდგამს!"

ამ წიგნზე მუშაობის დროს ბევრი დოკუმენტური მასალა წავიკითხე, გავესაუბრე.

დავით ასამბაძის მეგობრებს, მასთან დაახლოებულ პირებს, კოლეგებს, ვეტერანებს, ხელქვეითებს, უფროსებს და ყველა ერთხმად ამტკიცებს: იგი, როგორც ჩექისტი, მის
შა დიდბუნოვნებამ ჩამოაყალიბა. დავითი ადამიანში უპირველესად ადამიანს ხედავდა, ცდილობდა, როგორმე მასში მავნე ჩვევები მარტო კანონის სიმკაცრით კი არა, თუ შესაძლებელი იყო, კეთილი სიტყვით, რჩევა-დარიგებით, ადამიანური მოპყრობით აღმოეფხვრა. მისი მოწოდება იყო, კაცი როგორმე ამოეყვანა შავი ქაობიდან, სწორ გზაზე გაეყვანა და ცხოვრების შუაგულში დაესაქმებინა. ამიტომ ეძახდა ხალხი დავით აღმზრდელს და არა დამსკელს, ამიტომ ენდობოდნენ მის პიროვნებას, სიტყვას, მაგრამ თუ კეთილი ნებით არაფერი გამოვიდოდა, იგი მკაცრი იყო. დავითს ხშირად უყვარდა თქმა: "კაცი ვერასდროს ბედნიერად ვერ იგრძნობს თავს, თუ მისი ცხოვრება და საქმიანობა სიყვარულით არ არის გაჟღენთილი". მას სასტიკად ეზიზღებოდა ქედმაღალი, ყოყოჩი, თავხედი, მახინკი სულის ადამიანი. იგი თავად არასოდეს ყოფილა პატივშოყვარე, შურიანი, ეჭვიანი, მისი კაცობის საზომი უბრალოება იყო.

ქედმაღალს პირდაპირ მიახლიდა:

— შენ ხალხის სამსახურში ვერ გამოდგები. მუშაობდე ჩეკაში, ეს მძიმე ტვირთია, მისი ტარება ყველას არ შეუძლია, ჩვენ რჩეულები გვინდა და არა ქედმაღლები...

დავით ასამბაძე სიტყვის კაცი იყო. ჩვენ ვნახავთ ქვემოთ, როგორ უფრთხილდება იგი სიტყვას და როგორ მოითხოვს სხვებისგან ერთხელ თქმულის პატიოსნად შესრულებას.

— ჩვენი პროფესიის ხალხისათვის, — იტყოდა დავითი, — სიტყვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. — გაიხსენებდა აკაკის სიბრძნეს, "ხმალზე უფრო ძლიერად ჭრის პატარა და რბილი ენა", და დაუმატებდა: ჩვენი მთავარი იარაღია არა მაუზერი, არამედ, "პატარა და რბილი ენა". და მართლაც, სიცოცხლის ბოლომდე დარჩა მართალი და პატიოსანი სიტყვის კაცი.

იგი სასტიკი იყო იმათ მიმართ, ვინც კაცს აბუჩად იგდებდა, დავითი შეურაცხყოფას დანაშაულად თვლიდა. — უხეში ქცევით შორს ვერ წავალთ, იმასაც დავკარგავთ,
რაც ვიცით და რაც გაგვაჩნია. ამიტომაც იყო, რომ სიტყვის გატეხას არავის აპატიებდა. რასაც იტყვი, უნდა ასრულებდე კიდეც. ამიტომ სანამ პირზე სიტყვა მოგადგებოდეს, კარგად აწონ-გაზომე, ხშირად უთქმელობა სქობია უგულოდ თქმულს. უპირო
კაცთან იგი საქმეს არ დაიკავებდა.

— არ მომატყუო! — იტყოდა და სულს ამოაყოლებდა, ამხელა კაცს, ეშინოდა ტყუილის, მართალი და ნამუსიანი სიტყვა ყველა წამალს ერჩივნა.

ყველაზე კრიტიკულ მომენტში დავითი მაინც დიდსულოვან კაცად რჩებოდა, მას არ შეეძლო თავის გატოლება სულმდაბალ ხალხთან, ყოველ ღონეს ხმარობდა, კანონის ძალით კი არა, ადამიანური სითბოთი და შეგნებით გაეღვიძებინა ადამიანში სიკეთის მარცვალი. ამის დასტურად გამოდგება ერთი ეპიზოდი ილია რურუას წიგნიდან:

"მოგეხსენებათ, ომისა და განსაცდელის ჟამს ყველა კუთხეში გამოერევა თითოოროლა მშიშარა.

ერთი ასეთი აღმოჩნდა იმ რაიონში, სადაც დაუთა მილიციის განყოფილებას განაგებდა.

დასაბმელი გახდა დაუთა: ისრაფილ ჭინქარაძის, ასლან ბაჭელიძის და ხუსეინ ბეჟანიძის გამზრდელი კუთხე როგორ შემირცხვინა, ჩემი ხელით ჩავაძაღლებო! უთხრეს, ეს არ გინდა, იქნებ ქკუაზე მოვიდესო. მაგრამ არა! გატყიურდა ბიჭი, თავის დანაშაულს დღე დღეზე ამძიმებდა.

მაშინ დაუთას დასტური მიცეს — იმოქმედეო... როგორც ასეთ დროს იტყვიან

ზოლმე, დაუთამ შეიმუშავა "ოპერატიული გეგმა" და საქმეს რომ უნდა შედგომოდა, წერილი მიიღო:

"დაუთავ! გავიგე შენ აგიღია ფიშტო და მდევ... დავრიგდეთ... დურსუნასთან ჩა-

მოდი დავახშმებაზე".

დაუთა წავიდა.

არც არავისთან უთქვამს, არც ვინმე გაიყოლია. დაბნეულმა დურსუნმა შინ შეიპატიჟა, მაგრამ დაუთამ ეზოში მოცდა ირჩია: — კარგს იზამ, თუ პირს დამაბანინებთო.

იარალი ხეზე ჩამოკიდა და ხელები თუნგს შეუშვირა. ამ დროს იგრძნო, რომ ზურ-

გიდან უახლოვდებოდნენ.

"იარაღი!" — გაუელვა თავში, მაგრამ შეჩერდა, არ ისურვა პირდაპირ სროლაზე

მიმდგარიყო საქმე.

თითქოს არც არაფერიაო, მშვიდად იმშრალებდა სახეს, თან თავის ჩრდილს აკვირდებოდა, ჩრდილი კერ უსაშველოდ გაიბერა, შემდეგ ორად გაიყო და დაუთის წინ თავით ფეხებამდე იარაღში ჩამკდარი ახალგაზრდა დაესო.

— "გამარგობა" ტყეში დატოვე, ჭო?

- დაუთავ! თვალებთან ერთად რევოლვერის ცივმა ელვარებამ გამოანათა.
- დადე, ქოვ! შენი ჟანგიანი ფიშტო არ გეგონოს... გაგივარდება... შენთვის მდომებოდა, ხეზე არ ჩამოვკიდებდი.
 - სიტუვა მაქვს.
 - onjan!
 - წავიდეთ, აბა! არაფერი შეიმჩნია დაუთამ.

უსიტყვოდ, გვერდი-გვერდ მიდიოდნენ, ერთი უიარაღოდ და უქამროდ დარჩენილი, მეორე შეიარაღებული და რევოლვერმომარჭვებული.

ღელეზე ჩასასვლელ ვიწრო ბილიკს მიადგნენ.

დაუთას გონება საოცრად დაეძაბა რაიმე გამოსავალის ძებნაში, თუმცა გარეგნულად წინანდებურად მშვიდად გამოიყურებოდა. ნელი ნაბიჭით მიდიოდა, რომ დრო
მოეგო. იცოდა, უკან მოხედვა ან ზედმეტი მოძრაობა და ტყვია გახვრეტდა. — ცდილობდა უმნიშვნელო ჩქამიც არ გამოპარვოდა, უკან მომავალს თითქოს ხედავდა კიდეც.

წლობით დაგეშილი ალღო უტყუარი გამოდგა. მარკვენა მკლავის აქნევა, მობრუნება და რევოლვერის გავარდნა ერთი იქნა. ტყვიამ ზედ საფეთქელთან გაიზუზუნა.
შემდეგი ტყვიისა უკვე აღარ ეშინოდა. ღონიერი თითების მარწუხებში მოქცეული დამნაშავის მკლავთან ერთად რევოლვერის ტუჩიც თანდათან განზე იღრიცებოდა. დაუთამ ახლა მარცხენა ხელი კისერში მოდო ბოროტმოქმედს და გადმოიღო. ოოივე რიყეზე გაგორდა. ხან ერთი ექცეოდა ზევით, ხან მეორე. ბოლოს დაუთამ იმძლავრა, მკერდზე დააკდა და მანამ არ მოეშვა, სანამ ღვედივით არ მოაქცია.

ახლა დურსუნის ეზოსაკენ დამნაშავე მიდიოდა წინ, თავჩაღუნული და იარაღაყრი-ლი. უკან კი ტანსაცმელამოგანგლული, გამარჭვებული დაუთა მიაბიჭებდა.

— ქალ-ბაღანას ეზოში ნუ ჩამოუშვებ, — უთხრა მასპინძელს დაუთამ და ჩვეულ გულახდილობით დაუმატა: — მგელივით მომშივდა, ძიავ.

დამნაშავეს წვერმოშვებული სახე უფრო ჩაჟანგებოდა და ბაგე უთრთოდა.

— ხომ არაფერი მოგტეხე, ჭოვ? ხელები ჩამოიღე და ოთურ ხალიჩაზე!

დამნაშავე მოსავათებული დაეშვა მოლზე.

დურსუნმა ქადი და ერბოკვერცხი ჩამოუტანა და თუნგით წყალზე წავიდა.

— არ გშია, ჭოვ? — და პასუხისათვის არ დაუცდია, საჭმელი გაუწოდა.

დამნაშავემ ცალი თვალით გამოიხედა, შებანქგლული ნიკაპი შეიფხანა და გამოართვა... რაიონის ცენტრამდე სულ ფეხით იარეს, პატიმარი პირდაპირ კაბინეტში შეიყვანა. — დაჯექი, ჭო! მაქ არა. ბუმბულის სკამი კარგი ხალხისაა... აქა, ჰო!..

e central prene

ცოტა ხნის შემდეგ ტელეფონს დაწვდა.

— დაუთა ვარ, ამხანაგო კომისარო! ყველაფერი რიგზეა... თვითონ მოვიდა თავისი ფეხით. დიახ, სწორედ იმაზე მოგახსენებდით... იარაღიც ჩამაბარა".

მისთვის უცხო გახლდათ ტრაბახი, დამსახურებული თუ დაუმსახურებელი ქება, მისთვის მთავარი იყო მოვალეობა, კანონის დაცვა და არა ტაში, თავის გამოჩენა, მე ვარ თუ ვარო... ერთხელ ქედაში მუშაობის დროს მილიციის უფროსის სამუშაო ოთახ-ში მორიგე შემოვიდა, მაგრამ სათქმელს ვერ ბედავდა.

- რაშია საქმე? ჰკითხა დავითმა.
- ღვინით გალეშილი ახალგაზრდა მოიყვანეს, ყველას გვაგინებს და გვემუქრება,
- საკანში! მოკლედ მოჭრა უფროსმა.

მორიგე დუმდა. უფროსმა მკაცრად შეხედა და ბრძანება გაიმეორა:

- შენ რა, ვერ გაიგე, რაც გითხრეს? მიაბრძანე კუტუსკაში!
- -- ასამბაძეა ბატონო.
- რაო? გადაირია უფროსი. რა პასუხია აგი. შეაგდე ახლავე!

მორიგემ მთვრალი ბიჭი ბნელ ოთახში შეაგდო და კარიც მაგრად ჩაკეტა.

დილით თვალი რომ გაახილა, უცებ ვერ მოეგო გონს: ნეტავ სად ვიმყოფებიო, ვიწრო სარკმელიდან ძლივს შემოდიოდა სინათლე. იქვე, ხის ნარზე, ვიღაცა მაგრად ხვრინავდა. ნუთუ დამიჭირეს? ყველაფერი მაინც ცუდი სიზმარი ეგონა. წამოვარდა, მაგრად ჩარაზულ რკინის კარებს რომ მიაწყდა, შიშით უკან დაიხია და შემზარავი ღრიალი მორთო. მორიგემ ვიწრო ფანქარა ოდნავ ასწია და ჰკითხა:

- რა გაყვირებს, რა გინდა?
- -- გამიშვი!
- რაო? გაეცინა მორიგეს წუხელ კინაღამ დაგვხოცე, მუშტი-კრივი გაგვიმართე, აქაურობა აოკელი, ცუდი სმა გცოდნია, ძიავ, შენ წყალი უნდა დალიო მხოლოდ. — და ჩამოსწია ფანკარა.

პატიმარი ისევ ეცა ფანჯარას, მუშტები მაგრად დაუბრახუნა. მკერდში სიცარიელე იგრძნო, ყველაფერი აწუხებდა. — გული, თავი, მაგრამ ყველაზე უფრო ვიღაცის ში-ში ჰქონდა:

მორიგემ ისევ გააღო ფანჭარა და ერთხელ ამოჩემებული "რა გინდა" გაიმეორა.

- გამიშვი, სანამ ბიძაჩემი გაიგებდეს. მომკლავს, მაგი ისე შეუბრალებელია.
- ბიძაშენმა ყველაფერი იცის. მისი ბრძანებით ხარ შენ აქ.
- რაო, რა თქვი? გადაირია პატიმარი და ცივ ნარზე მიესვენა, მომკლავს, მომკლავს! — ყვიროდა და ქვითინებდა.

თავი რომ ასწია, კარებში დავით ასამბაძის დიდი ტანი დაინახა და გაქვავდა.

- რატომ ხარ აქ შენ? ცივად ჰკითხა.
- დავთვერი, ტაიავ, მაპატიო უნდა.
- ისე როგორ დათვერი, რომ გონება მთლად დაკარგე. კაციშვილს აღარ ჰგავდი... პატიმარმა თავი დანარა.
- ღვინო შენ უნდა დალიო და არა ღვინომ შენ!? გაგიგონია?
- მეტს არ ვიზამ, დავაშავე.
- პო და წმინდე ახლა მტვერი.
- ნუ მიზამ მაგას, ქვეყანა გაიცინებს, ღვიძლი ნათესავი ვარ.
- ამიტომ უფრო დაგსჭი! და კარი გაიხურა.

რამდენიმე დღე ამუშავა იმ "არასასიამოვნო დაწესებულებაში", ფიცი დაადებინა

და მერე გაუშვა სახლში.

დავითი დანაშაულს არავის აპატიებდა, მისთვის სულერთი იყო შინაური თუ გარეული, მოგვიანებით ის ახალგაზრდა კაი კაცი დადგა, დაამთავრა უმაღლესი, ხალხის
სამსახურში ჩადგა, დავითი ხშირად მოაგონებდა: გახსოვს, მტვერი რომ გაწმენდინე?
ამიტომაც ღირსეული კაცი გამოდიო. აბა ღვინოს რომ გადაჰყოლოდი, რა იქნებოდი
ახლა?. — ლოთი, უქნარა, — და სიცილით დაჰკრავდა მხარზე დიდ ტორებს.

ვის არ გაუგონია აქარაში დავით ასამბაძის სახელი. ბევრი მასზე საინტერესო ეპიზოდებსაც ჰყვება, ვისთანაც უმუშავია, ყველა ამაყობს მისით, დავითი ხალხს არ

ავიწქდება, ცოცხლობს და მომავალშიც იცოცხლებს.

იგი ორგანოში სამუშაოდ მოვიდა როგორც ნამდვილი კაცი, პირწმინდა, ასევე მხურვალე გულით ხალხის უმწიკვლო სამსახურს შეალია მთელი სიცოცხლე, მისი სულის მოწოდება გახლდათ სიკეთე, ადამიანის გადარჩენა, აღზრდა და არა დასკა. უბრალო გლეხიკაცის კერაზე გაზრდილმა დავითმა ხუთი თითივით იცოდა პატიოსანი შრომის ფასი, ყველას, დიდს თუ პატარას, მართალს თუ მტყუანს, კეთილსა თუ ბო-როტს სულში წვდებოდა.

- ჩვენი დაუთა!
- დაუთამ დამარიგა!
- დაუთამ მთხოვა!

— დაუთას ვერ ვუღალატებ! — ამბობდა ხალხი. ერთადერთი "ნაკლი" უპირო კაცთან შეურიგებლობა იყო. დანაშაულს არ გაპატიებდა. დავითი ჩეკაში პირდაპირ სახლიდან მოვიდა. მას არ ჰქონია უმაღლესი იურიდიული განათლება, არც სახელგან-თქმული იურისტების ლექცია მოუსმენია, ხშირად იცოდა თქმა, "უსწავლელი კაცი ვარო". მაგრამ ამ უსწავლელ კაცში თავმოყრილი იყო გამორჩეული ჩეკისტის მოხერ-ხება, პირდაპირობა, შემართება, ნათელი ჭკუა და გამჭრიახი გონება. იგი დაბადებული იყო ამ საქმისათვის.

დავითი მოგვიანებით დაეწაფა წიგნებს, იქიდან წამოიღო მთავარი, რაც ყოველდლიურ მოქმედებაში ქირდებოდა, გამოიყენა, შეისისხლხორცა, გულთან მიიტანა,
მაგრამ იგი მაინც პრაქტიკოსი გახლდათ, ხალხთან სიახლოვე უყვარდა, მისაბაძ მაგალითს ხალხის ცხოვრებაში ხედავდა, აკვირდებოდა, სწავლობდა, ცდილობდა, კარგადგაეგო, რაც მის ირგვლივ ხდებოდა. არ ცდილობდა კაცის გაფუჭებას, ხშირად იტყოდა:
— კაცის დაჭერას რა უნდა, მთავარია მისგან კაი მამულიშვილი, პატიოსანი,

მშრომელი მოქალაქე აღზარდო.

დიდი სამამულო ომის გამოცხადების პირველ დღესვე, ვისაც კი შეეძლო იარაღის ტარება, ყველას ფრონტისაკენ მიუწევდა გული, მხოლოდ ლაჩარი და მშიშარა ეძებდა მყუდრო თავშესაფარს.

ამ დროს დავით ასამბაძე უკვე სახელმოხვექილი ჩეკისტი იყო, მასაც მკერდში მებრძოლი კაცის გული უცემდა, ბრძოლა და გმირობა სწყუროდა, სწორედ ამ სურვი-ლით შეაღო აქარის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის კაბინეტის კარი და მორიდებით განცხადება დაუდო მაგიდაზე.

- რაა მაგი, დავით? ჰკითხა კომისარმა.
- ფრონტზე მინდა წავიდე! მორიდებით მოახსენა და მოსაუბრეს სახე აარიდა.
- hom, ho ofgo?!
- ფრონტზე მინდა წავიდე! გაიმეორა დავითმა.
- აქ რა, ფრონტი არ არის?! ჰკითხა კომისარმა შენ ფიქრობ, ზურგში უფრო ადვილია ომი?

დავითმა ლია ფანჭრიდან ზღვას გადახედა.

- იქ რას უყურებ. მე შემომხედე!
- გამიშვი უფროსო, გული მეძახის იქ, ბრძოლა მწყურია.



- დაქექი!—სკამზე მიუთითა კომისარმა და ასამბაძეს თვალებში მკაცრად ჩახედა:

 მერე აქ ვინ იბრძოლებს, ყველა რომ წავიდეს ფრონტზე? შენ იცი ომის ქეშმარიტება? ფრონტი და ზურგი— ორთავე ძლიერი და გაუტეხელი უნდა იყოს. ფრონტს
 თუ ზურგი არ ამაგრებს, ომს როგორ მოიგებ? აქაც შეიძლება გმირობის ჩადენა. ქვეყანას ფაშისტები უტევენ, შენ კი "პოსტს" ტოვებ. ახლავე წადი. დისციპლინა, წესრიგი და მაღალი მორალური სიწმინდე დაიცავი, არც ერთი დანაშაული, არც ერთი წესრიგის დარღვევა, პირადად აგებ პასუხს, გესმის? პირადად!
 - <u>—</u> მესმის!
 - ჰო, ასე! აბა, შენ იცი!

კომისარმა დავითი გამოაცილა. ასამბაძე კარებს რომ მოეფარა, თავისთვის ღიმილით ჩაილაპარაკა: ასეთი კიდევ რამდენიმე კაცი რომ მუავდეს, ჩემს ბედს ძაღლიც არ დაჰყეფსო. მერე ღია ფანქრიდან ქუჩაში გადაიხედა, დავით ასამბაძე დაღვრემილი, ხასიათგაფუჭებული მიუყვებოდა ქუჩას, მალე ხალხში ჩაიკარგა.

სახლში რომ დაბრუნდა, დავითმა ცოლს შესჩივლა:

— საქმეა ახლა აგი, ქვეყანა ინგრევა და მე აქ ვიყო. როგორ, მე, დაუთა ასამბაძე, ერთ ფაშისტს ვერ გავაცივებ? რა კაცი ვარ ახლა მე, ქვეყანას რომ უჭირს და ვერ
გამოვადექი, ხალხის მრცხვენია, ყველა წავიდა ფრონტზე და დევივით კაცმა ვიღაც ვიგინდარებს ვსდიო კვალში? შურა, შენ მაინც მითხარი, მართალია კომისარი?

შურამ მეუღლეს ღიმილით შეხედა, ხელსაქმეს დროებით მიანება თავი და უპასუხა: — მართალია, დაუთ, შენი უფროსი, ვიცოდი, რომ უარს გეტყოდა, შენისთანა ხალხი აქაც საჭიროა, ფრონტის წარმატებები ზურგიდან იწყება.

- შენც დამიწყე ახლა ლექცია, ზურგი და ზურგიო! აყვირდა დაუთი.
- ალბათ ასეა საჭირო, და ისევ გაიღიმა შურამ. მგონი უფროსი მართალია.
 - ქალო, შენ ვის მხარეზე ხარ?
 - შენ მხარეზე ვარ მე, დაუთ, შენს მხარეზე.
- ჰოდა, დამიგერე. ფრონტზე ვარ საქირო მე ახლა. ჩემი ადგილი იქ არის, სადაც უდანაშაულო ხალხის სისხლი იღვრება. ბავშვებს შეხედა, უფრო აენთო და ხმამალოა ყველას გასაგონად თქვა: იქ, ფრონტზეა ჩემი ადგილი, ერთ ფაშისტს მაინც გავაცივებ და ამით ათასზე მეტ ბავშვს გადავარჩენ... ყველაფერს ვილონებ რომ ფრონტზე წავიდე. ოთახში ვეღარ დაეტია, სული შეეხუთა, ეზოში გამოვიდა, მთებს გახედა, გაეღიმა, მოწმენდილ ცაზე შავი ღრუბლის ნაგლეგიც არ ჩანდა. დავითი ისევ ფიქრებში ჩაიძირა, ისე მოენისლა სახე, თვალები აუწყლიანდა: ასე შეიძლება განა? მტერი ამ მთებს მართმევს, ამ ცას მეცილება და სახლში ვიგდე? სად გაგონილა, რომელ დროში.
 - გულმოსული ეზოში დადიოდა.

მეორე დღეს ისევ გამოცხადდა უფროსთან, მაგრამ ამჭერადაც ცივი უარით გამოისტუმრეს, მერე სხვებმაც დაარიგეს და დაემორჩილა ბედს. მოგვიანებით უთქვამს:
ორი ჯარისკაცის საქმე ავიკიდე მხრებზეო. იმ ძნელბედობის ჟამს დავით ასამბაძე აჭარის ერთ-ერთი რაიონის მილიციის უფროსად მუშაობდა.

ომი მძვინვარებდა. ფაშისტური გერმანია წინ მოიწევდა, ქვეყანა სისხლისაგან იცლებოდა, რჩეული ბიჭები პიტლერულ ყაჩაღებს ებრძოდნენ. არნახული გმირობა და მამაცობა ყველას აღაფრთოვანებდა, ბევრმა მშობლიურ ქვეყანას თავი შესწიტა დაუნულე საძმო საფლავში სამარადისო უკვდავება ჰპოვა.

მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ფრონტს, სამშობლოს დაცვის ვაჟკაცურ მოვალეობას გაურბოდნენ, არ ეყოთ გამბედაობა. აქა-იქ გაჩნდნენ ფრონტიდან გამოქ-ცეული დეზერტირები, ზოგი ომს წაგებულად თვლიდა და თავს არიდებდა ბრძოლაში წასვლას.

დავითმა ზეპირად იცოდა მათი სამყოფელი, თავისი გამჭრიახი გონებით ამოუცნია მათი განზრახვა, დაუჭირავს ისინი. რამდენჯერ მარტოდმარტო მისულა ამ ხელაღებულ ხალხთან, რამდენი ხიფათი გადაუტანია, მაგრამ მიზანს მიუღწევია.

ერთხელ შუახნის სანდომიანი ქალი შემოვიდა მილიციის უფროსის სამუშაო კაბინეტში. ეტყობოდა, ქალს ბევრი ეტირა, სანამ ამ ნაბიჯს გადადგამდა, სხვა გამოსავალი რომ ვერ მონახა, უფროსთან მოვიდა.

დავითმა ნამტირალევ ქალს შეხედა, მერე ქაღალდებით სავსე ყუთი იქით მისწია და მოსულს ჰკითხა:

- რაშია საქმე, ქალბატონო?
- უფროსო, ვიღუპები. ატირდა ქალი.
- დაგექი! გისმენ?
- ჩემს ქალიშვილს ფროტიდან გამოქცეული კაცი გადაეკიდა. მოსვენებას არ- აძ-ლევს, ცოლად წამომყევიო. ეს საქმეა? ტყეში გავატანო ანგელოზივით ქალიშვილი იმ ოხერს და ქვეყნის მოღალატეს?

დავით ასამბაძემ ჩვეული სიდინკით მოუსმინა. ჩაფიქრდა. ვიწრო ფანკრიდან გარეთ გაისედა, წვიმდა. შეწუსებული დედა განაგრძობდა ლაპარაკს, იმ არაკაცს წყევლიდა და კანკალებდა.

დავითი ამ დროს დაჭერის გეგმას აწყობდა.

- —. ხშირად მოდის ის კაცი თქვენთან ოგახში? ჰკითხა.
- კვირაში ორგერ მაინც.
- რა დროს, დღისით თუ ღამით?
- --- ხან გვიან ღამით, ხან უთენია დილით.
- sh ganbou?
- არა. თუ მილიციაში დამასმენთ, სახლ-კარს გადაგიწვავთო, გვემუქრება, მაინც მოვედი თქვენთან, დედა ვარ, სჯობს სახლ-კარი გადამიწვას... ქალიშვილს ვერ დავთ-მობ ცოცხალი თავით. უნდა დამეხმაროთ, თქვენი იმედი აქვს უველას, მეც მიპატრო-ნეთ, დედა ვარ მშობელი.
 - ეს ჩემი მოვალეობაა. მოკლედ თქვა უფროსმა და წამოდგა.

ქალი სიხარულით აენთო.

დავითმა ერთხელ კიდევ გაიხედა ღია ფანქარაში, გარეთ ისევ წვიმდა. ქალს მიუახლოვდა და ჩუმად ჰკითხა:

- მარტო მოდის თუ ახლავს ვინმე?
- რა ვიცი, უფროსო, გარეთ ვინ ჰყავს. შინ მარტო შემოდის, თვალებს გვიბრიალებს, ქალიშვილი მაგის შიშით მთლად ჩამოდნა...
- კარგი, ნუ ტირი. მაგას მოვუვლით. ახლა წადი და არსად წამოგცდეს, რომ ჩემთან იყავი. გესმის?

მეორე დღეს დეზერტირი ციხეში იჭდა.



მილიციის უფროსის კაბინეტში მორიგე შემოვიდა და მოახსენა.

- შემოვიყვანო?
- შემოიყვანეთ!

ახალგაზრდა კაცი კარებთან შეჩერდა. თავი დახარა. უფროსმა ხელით ანიშნა, ახ-ლოს მოდიო. ბიჭი მაინც იდგა, დავითი ფეხზე რომ წამოდგა, შეეშინდა და უფრო აილეწა.

— რა ქენი, კაცი დაგიმარცხდა?

- დედა შემაგინა. უფროსო, მშობელი დედა და გავარტყი, დარტყმა მარჭვე მომივიდა, ის უბედური საავადმყოფოში წაიყვანეს, მე აქ... — თქვა და დამნაშავე მოწაფესავით გაწითლდა.
 - ასე მარკვე თუ ხარ, ფაშისტებს მოუქნიე მუშტი.
 - მაგასაც ვიზამ თუ გამიშვებთ.

დავითი ახალგაზრდა კაცთან თვითონ მივიდა, ულვაშზე ხელი გადაისვა და დიდრონი თვალები მიანათა:

- რამდენი წლისა ხარ?
- თექვსმეტის!
- მე უფრო მეტის მეგონე. სწავლობ?
- მარტო სწავლა დღეს ვერაფერი საქმეა. კოლმეურნეობაშიც ვმუშაობთ. ომია.
- მამაშენი სადაა?
- ფრონტზე.

მილიციის უფროსმა ხელი მოჰკიდა ახალგაზრდას, სკამი მოუჩოჩა. შენ ამბობ დედა შეგაგინაო, არა?

— ჰო, შემაგინა, ტყუილუბრალოდ, პაპიროსი მომთხოვა, არ ვეწევი-მეთქი და შემაგინა. აბა, არ დამერტყა?

— მაინც ვერ მოგიწონებ საქციელს. ხულიგნობაა მაგი, წესრიგის დარღვევაა, დანაშაულია, იცი ეს შენ?

— ვიცი, მაგრამ დედას ვინც შემაგინებს, მაინც გავლახავ, დედის გინებაც დანაშაულია, და კანონის დარღვევაა.

უფროსს გაეცინა. ბიჭმა რომ ნახა მოღუშულ სახეზე ღიმილის ნაპერწკალი, შეეხვეწა: — გამიშვით, თორემ დედა გადაირევა, ჩემს მეტი არავინაა სახლში.

დავითს მოეწონა ფიცხი, მაგრამ მართალი ქაბუკი, მორიგეს დაუძახა და ჰკითხა:

- ვინ არის გალახული?
- ქურდი და ოხერი.
- გაუშვი სახლში ეს ბიჭი. არ უნდა ჩანდეს ურიგო. წავიდეს, დედასთან!

დავით ასამბაძე კაცს რომ შეხედავდა, ადვილად წაიკითხავდა, ვინ რის მომქმედი იყო, ვინ მტყუანი და მართალი.

ადამიანის თვალებში ამოიკითხავ, ვინ კაცია და ვინ კიდევ არაკაციო, — იტყოდა ხოლმე. მას წინასწარი შეგრძნება, ალღო ჰქონდა, ხოლო მის სიტყვას — მომაჭადოებელი ძალა.

— დაყარე იარაღი, მე ვარ დაუთაი!.. "მე ვარ დაუთაი" — ამ თქმაში იყო ბრძანებაც, ნდობაც და იმედიც. ამ სახელს ყველაზე ხელაღებული ყაჩაღიც კი ენდობოდა. ბევრი გზასაცდენილი ადამიანი გადაურჩენია, ჭკუა დაურიგებია.

დავითის მიზანი არასოდეს ყოფილა კაცის დასჭა, იგი ცდილობდა ადამიანის სულში სიკეთის მარცვალი ჩაეგდო. არ უყვარდა ციხის კედლები და, საერთოდ, პატიმარიც ეცოდებოდა. ერთხელ მილიციის მუშაკებმა სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ახალგაზრდა კანეეე ცი დააკავეს, საბუთები არ აღმოაჩნდა, ჭაბუკმა გაქცევა სცადა, მაგრამ მალე დაიჭი-რეს და მილიციის უფროსს წარუდგინეს. დავითი გადაირია, კინაღამ ყელში წვდა, შეშინებული ახალგაზრდა კედელს აეკრა.

— რა ქენი, ბიჭო, სირცხვილი გვაქამე? ახლავე დაგხვრიტავ, შენ არა ხარ სამხედრო ტრიბუნალის ღირსი, ამ ხელებით დაგახრჩობ, — ყვიროდა იგი, — ფაშისტები
ქვეყანას ანგრევენ, დედებს ძუძუებს აჭრიან, ქალიშვილებს ნამუსს ხდიან, ბავშვებს
ტუვიებით ცხრილავენ, მოსუცებს და ქალებს ხეებზე ჰკიდებენ და შენ შინ გამოიქეცი?
შეგაშინეს ფრიცებმა? შენ ქართველი არა ხარ, შენ არ გყვარებია მშობლიური მიწაწყალი. ყველა შენსავით რომ გამოიქცეს, როგორ ფიქრობ, მკვლელები აქ არ მოვლენ? სახლს არ გადაგიბუგავენ? საფლავებს არ გადაგვიხნავენ? რა ქენი, ბიჭო ეს!
ვის უღალატე, სამშობლოს? ხალხს, დედას? შეარცხვინე ყველაფერი?

დავითი ხმის ჩახლეჩამდე ყვიროდა, მერე ქანცგამოლეული, დივანზე დაეშვა, ჭიქა

წყალი მოსვა. პატიმარი სმას არ იღებდა, ატირებას ცოტა აკლდა.

დავითმა ბიქს შეხედა, იგი ძალზე ახალგაზრდა ჩანდა, ოდნავ გულზე მოეშვა ბოღმა.

— რამდენი წლის ხარ?

— თვრამეტი შემისრულდა.

- შეგვარცხვინე ხომ? ახლა უფრო დაუწია ხმას უფროსმა, შეგვარცხვინე, არა?
 - ნენეი მომენატრა.

ასამბაძე მთლად ჩაიძირა ფიქრებში. "ნენეი მომენატრა" — ეს სიტყვები ცეცხლივით მოეკიდა გულზე. ბიქი გულწრფელად აღიარებდა თავის შეცდომას, მის გამოხედვაში იოტის ოდენა ტყუილი არ ჩანდა, იგი მოღალატეს არ ჰგავდა.

— დაგექი! — უთხრა გარისკაცს.

გიჭი არ დაჭდა, უფროსს შეხედა და ტირილით უთხრა:—დავაშავე და თუ შეგიძლიათ, დამეხმარეთ, გამიშვით, დღესვე წავალ ნაწილში, ერთხელ გავტეხე ჭარისკაცის სიტყვა, მეტს არ ვიზამ, შეგიძლიათ მენდოთ. რა ვქნა, ნენეი მომენატრა.

- 8585?
- მამა არა მყავს. ფინეთის ფრონტზე დაიღუპა. ბოლშევიკი იყო მამაჩემი, აი, ვისი მრცხვენია... და თვალებზე ცრემლები მოადგა.

დაუთმა თვალები მიანათა გარისკაცს. დაიგერა გულიდან წამოსული სიტყვა. ყურმილი აიღო, დარეკა, მაგრამ რატომღაც არ დაელაპარაკა, დაფიქრდა, ყურმილი დადო: პატიმარს მზერა მოარიდა და ისევ აიღო ყურმილი, მაგრამ არც ახლა დაელაპარაკა.

- გენდო? არ მიღალატებ?
- მეტ სიტყვას არ გავტეხ.
- Johan, Focen!

ბიჭს შეხედა, ახლა ნამდვილი ვაჟკაცი იდგა მის წინ. — წადი, ნენეი ნახე და მოუსვი ნაწილში, ისე, რომ კაციშვილმა არ გნახოს!

ბიჭი ტყვიასავით გამოვარდა მილიციის უფროსის კაბინეტიდან.

— ძალად დაკაცებულო ბავშვო! — თქვა დავითმა, ფანქარა მოხურა და სავარძელში ჩაეშვა, თვალები აუწყლიანდა.



68666069 URB 9999

მე მხოლოდ ერთხელ დავიფიცე მზის ჩემი წილი და იმ წუთიდან სხვა ვედრება არ დამცდენია. ვბელტავდი მიწას თუ ქვის კოღვით მიკრთოდა ძილი, თავად ხარ მოწმე, რა ნაგლეჯიც შემომრჩენია, ახლა ვდგავარ და კვლავ ჩემს მზის წილს იმედით ვუმზერ. მჯერა და ვიცი, არ დამმადლი მმას სამოსახლოს. ეჰ, კარგი იყო იმ ბეღკრულ ღღეს მოგესწრო სულზე, როცა ჯერ ვრცელი მამულები მედგა შენს ახლოს. მიყვარს სვანეთი, აფხაზეთი, জ্যন্ত্রত, შატილი, მაინც ლაზიკას ისტორიის ჯურღმულში ვეძებ, ერთი მტკაველი მეყოფოდა კიღევ მანმილი, რომ ასე მწარედ არ მეტირა საკუთარ ბედზე...

მე, მხოლოდ ერთხელ დავიფიცე მზის ჩემი წილი და იმ წუთიდან სხვა ვედრება არ დამცდენია.

6000000

უკვე დაცხრა გიჟმაჟური
წლების ქროლა... ახლა მძინავს,
ქარი ჩემი სარკმლის მინებს
უკვე აღარ აწკარუნებს,
თბილ ბუხართან
მინავლებულ
ნაღვერდალზე
მივიძინე
და გავლილი
გზების ჩრდილში
მივუყვები ჩემს ძველ
ურემს.

09320

თოვლი მოსულა,
ჩავარდნილა
წყალში ყინული...
საით წავიდეთ,
სად გავექცეთ
ახლა სიცივეს?
ტყეები დგანან,
წყაროებმა თვალი მილულეს,
მაგრამ იმედი მაინც ციმციმებს.
ვიცი, რომ მოვა გაზაფხული,
მზე გამიღიმებს.


2365206035



მალე ჩაივლის ეს ქარიშხალიც,
დადგება ისევ ნაზი სიწყნარე,
დაისრული და ნადაისარი,
დავხვდები დილის ცვრიან სისხამებს,
რომ კვლავაც შევხვდე ნასვენი გულით
ახალ ქარიშხლის ახალ სიმძლავრეს.
და ასე მუდამ, ომებით ჩუმით
ცეცხლი და წყალი ერთურთს სინჯავენ.



შენი მდუმარე წუხილის ფასი
შენზე უკეთ ხომ არავინ იცის,
ერთად ჩაგისხა ცხოვრებამ ჯამში
ნექტარიცა და მწარე სამსალაც,
შენ კი მამულში ჩაყრილი ვაზით
კვლავ ბარე მრავალ მტევანს დაწურავ,
გსურს, მაგრამ არვინ გაგაკრა ჯვარზე,
თასს აქამომდე ცლი ვაჟკაცურად.





೧೮೧೦ ಅವಿಅವಿ

asou bouseou vos

(vasaags "B3350 vasaasaana 3360°)

შალვა დადიანი — დიდებული პიროვნება, მწერალი, საზოგადო მოლვაწე, უკანასკნელი მოჰიკანი ძველი თაობის ქართული ინტელიგენციისა,
რომელსაც წილად ხვდა დაემშვენებინა გასული საუკუნე — ახალგაზრდობით, მიმდინარე კი — იშვიათი სიდარბაისლითა და სზივოსანი ჭაღარით.
მას ბუნებამ ყველაფერი უშურველად დაანათლა: მრავალმხრივი ნიჭი, გამორჩეული გარეგნობა, ცხოვრების ყოველდღიური ტვირთის ეპიკურელის
სიბრძნითა და სილაღით ტარების უნარი, განუმეორებელი, "დადიანური"
მისვრა-მოხვრა, რომლის მიბაძვით გადაღება შეუძლებელია.

შეიძლება დარწმუნებულად დავუშვათ, რომ ამ დიდბუნებოვანი, რაინდი კაცის გულს მტრობა და შური საერთოდ არ გაკარებია, მთელი მისი არსება სუნთქავდა კეთილგანწყობილებით, სიკეთის ქმნის წადილითა
და სიყვარულით. იქნებ ამანაც განსაზღვრა მისი სულიერი უბერებლობა,
საყოველთაო პოპულარობა. იგი სრულიად საქართველოს გამორჩეული
შვილი გახლდათ და ამის ღრმა შეგნებით უშურველი ამაგი თუ ყურადღება უბოძებია სამშობლოს ყოველი კუთხე-კუნჭულისათვის, თავისი მირონცხებული ბრწყინვალებით შეუნათებია არა მარტო სალონებსა და დარბაზებში, არამედ სოფლურ ოდა-სახლებშიც.

შალვა დადიანის გულში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა აჭარას—
ისტორიულად დიდად ნაგვემ მხარეს, რომლის კულტურული აღზევების
საქმეში მასაც შეტანილი აქვს ლომის წვლილი. ქართული ზღვისპირეთიც სათანადოდ მიაგებდა. საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც შალვა დადიანის უკანასკნელი იუბილე, რომელიც გულთბილად აღინიშნა მისი ამაგით
თავის დროზე ფუძეგანმტკიცებულ ბათუმის თეატრში.

თავისი სიცოცხლის მწუხრზე გული სულ აქეთკენ მოუწევდა. სიბერეშიც დაუშრეტელ შემოქმედებით განზრახულობათა ხორცშესხმისათვის ბათუმი ნამდვილ სავანედ მიაჩნდა, განსაკუთრებით გვიანი შემოდგომოსოთშა თუ ზამთრის ნაღვლიანი მყუდროებით, აღამიანს ღრმად რომ განაწყობს ნაყოფიერი მუშაობისათვის. საამისოდ "ინტურისტში" ჩამომხდარს, თავი-სი ჩანაფიქრი ჩვენთვის არც დაუმალავს — კიდევ ერთი რომანის გამოგო-რება მაქვს გადაწყვეტილიო. ეს კი "გვირგვილიანების ოჯახი" აღმოჩ-ნდა...

მუშაობაში უნებურად ხელი რომ არ შეგვეშალა, ხშირი ვიზიტებითა და ტელეფონის ზარით არ ვაწუხებდით. უფრო მეტად თავად შეგვეხმიანებოდა ხოლმე, რათა გარესამყაროს ხანგრძლივად არ გამოთიშვოდა. თბილისიდანაც აკითხავდნენ თეატრალური საზოგადოების მუშაკები საქმეებზე, უახლოესი ნაცნობ-მეგობრებიც. მისი ერთ-ერთი უკანასკნელი საზრუნავი ბათუმში თეატრალური საზოგადოების განყოფილების გახსნისათვის
თადარიგის დაჭერაც გახლდათ. თუ, უბრალოდ, გარემოს გამოცვლა და
სულიერი გადახალისება მოუნდებოდა, მისებური ტკბილი ღიმილით გვეტყოდა ხოლმე — სადმე "ველად ხომ არ გავიჭრათო". ჩვენც ხალისით
ვუბამდით მხარს. მის გვერდით ყოფნა ყოველთვის რაღაცით გვამდიდრებდა. შალვა დადიანის გასაოცარი მეხსიერება ხომ უამრავ საინტერესო
ამბებსა და მოგონებებს ინახავდა.

ყურადღებისათვის ყურადღებითვე მიგება სულიერ მოთხოვნილებად ჰქონდა გადაქცეული. ერთხელ, მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმ-ზე ჩამოსული ბათუმელები საგანგებოდ გაგვაფრთხილა წინასწარ — არ დამეფანტოთ, დღეს ყველანი ჩემი სტუმრები ხართო, დღის ბოლოს ყველას მკლავები მოგვხვია და "ინტურისტში" მიგვიპატიჟა, საბანკეტო და-რბაზში დადიანურად გვიმასპინძლა.

ეს შეხვედრა, სამწუხაროდ, უკანასკნელი გამოდგა. მაგრამ არ შემიძ-ლია საგანგებოდ არ გავიხსენო შეხვედრა, რომლის აზრი მხოლოდ ახლა შევიცანი მთელი სისრულით. ბატონმა შალვამ სამსახურში დამირეკა — თუ არ შეწუხდებით, ცოტა ხნით შემომიარეთო... მწოლარე დამხედა—ორი დღეა თავს უგუნებობას ვატყობ, ამიტომ ამ დილით წამოდგომა ველარ გავბედეო. გარეგნულადაც შეფერთხილი ჩანდა, ფერმკრთალი, დამშვიდება დავუწყე — ისეთ ექიმებს დაგასევთ, თბილისში სულ გამოჯანმრთელებულს გაგიშვებთ-მეთქი. ნელ-ნელა გუნება გამოუკეთდა და საუბრის თემაც შევცვალეთ.

ჩემი მზერა უნებურად მიიპყრო საწოლის გვერდით მდგარ ტუმბოზე მიმოფანტულმა ხელნაწერმა ფურცლებმა. არ ვიცი, შენიშნა, არ ვიცი, თავად მოისურვა, მითხრა — ამ დილით მინიატურა დავწერე და ცოტა ხნით ყური მათხოვეო. ხელნაწერი აიღო და უკვე საკმაოდ მისუსტებუ-ლი, მაგრამ მაინც მჟღერი ხმით დაიწყო:

— "ახალი გამოსული ვარ საავადმყოფოდან. ვერ ვარ კარგა**დე სულ**ემეწოლება.

ჩემი საწოლი ახლოს დგას ფანჯარასთან.

ფანჯრის იქით კი, ქვაფენილს გადაღმა, ჩუმად დგას აკაცია.

მრავალშტოიანია იგი, თამამი... ერთი შტო მაინც ისე გათამამებულა, რომ ლამის ბინაში შემოიჭრეს"...

ყურადღებით ვუსმენ, თან ფართო ფანჯრიდან გავცქერი თებერვლის ტყვიისფერი ღრუბლებით დაფარულ ცას, უკაცრიელად ჩაბურულ ზღვის-პირა პარკს გადაუღებლად რომ აცრის თავზე... ის, რაც უკვე მოვისმინე, ეჭვს არ ჰბადებდა, რომ მინიატურა ამ გარემოთი იყო შთაგონებული. იქნებ ამიტომაც გამიკვირდა აკაციის ხსენება... მაინც საიდან გაჩნდა ეს სახე, როცა ირგვლივ მხოლოდ წვიმით ჩაშავებული მაგნოლიის ხეები და ახოვანი ნაძვები იხილებოდა კაეშნის ამშლელად?!.

— "ლამაზია ეს შტო, ლონთქოშ მწვანე ფოთლებით შემკული. სულ ახლოს მოსულან ეს ფოთლები და ჩემი ფანჯრის მინებს ელამუნებიან თითქმის ადამიანისებურად, ხელს მიქნევენ, მემახიან, ზოგიერთი ფოთოლთაგანი მზაკერული ღიმილით თვალებს მიპაჭუნებს.

ჯერ მომეალერსება შტო, მერე უკან იხევს, ჩაიკეცება, თითქოს "რე-

ვერანსს" მიკეთებს.

არ შეიძლება ყურადღება არ მიაქციო, მაგრამ რაკი არაფრით ვეზმაურები, თითქოს ბრაზღება და ხან მარცხნივ და ხან მარჯვნივ ეხეთქება თავის დედის კალთას...

მიყვარხარ, შალვა, მიყვარხარ!შორიდან მეუბნება მერე.

გამოვტეხილვარ, მეც მომხიბლა ამ შტომ საცვიფრელი მოპყრობითა და... მეც შემიყვარდა...

შენ ჩემი უკანასკნელი სიყვარული ხარ, ჩემს ფანჯარასთან მოლაძუნე

ლამაზი ხის შტოვ!.."

ამ სტრიქონების დაწერიდან სულ რაღაც ერთი თვე იყო გასული, შალვა დადიანი რომ გარდაიცვალა. ამიტომ გაზაფხულობით ამწვანებული აკაციის ხე (აკი ბრძანებს—ლონთქოში მწვანე ფოთლები ესხაო) განსაკუთრებულ აზრს იძენს. აღსასრულის მოახლოების წინათგრძნობით აღსავსე მინიატურას სწორედ მისი მეოხებით ღასთამაშებს უკვე მიმქრალი, მაგრამ მაინც შალვასეული ნათელი ღიმილი. აქ მთელი შალვა დადიანია! მართლაც და რაში გამოადგებოდა სიცოცხლის ვნებიანად განმცდელ კაცსლამაზად ასხმული, ამაყი, მაგრამ ყოველთვის მოწყენილი, გულდახურული ნაძვი?!. ამიტომაც გამოიხმო, იქნებ შორეული ბავშვობის მოგონებიდან, პოეტური სახე დაჯღვარკულ-დაგრეხილი, ტანეკლიანი, მაგრამ სიმაგრითა და გამძლეობით მისანდობელი, დამათრობელი სურნელების მფრქვე-

ველი ხისა, რათა წარმართი მორწმუნის მსგავსად, სამუღამოდ ჩამავალი დენ მზისათვის განშორების უკანასკნელი ღიმილიანი სალამი გაეგზავნა...

ამბობენ და დასტურდება კიდეც: ბუნების გაჩენილი ყოველი სულდგ-

მული მეტნაკლებად მრწისო სიკვდილის წინაშე.

გამონაკლისი ვერც აღამიანი იქნება, თუმც იგი ბუნების გვირგვინად იწოდება. მაგრამ მას მომაღლებული აქვს ის, რაც შეუძლებელია გააჩნ-დეთ სხვა მიწიერ არსებებს — უნარი გარღუვალ ხვეღრთან შეგნებული შერიგებისა.

შალვა დადიანის ჯიშისა და მოდგომის ადამიანებს კი იმის მალაც აღმოაჩნდებათ, სიკვდილს სტოიკური შემართებით, პირღიმილიანად გაუს-

წორონ თვალი.

abdbamaab C3JBMA

საქართველოს სახალხო არტისტი მერაბ ხინიკაძე თეატრალურ მოლვაწეთა იმ მცირერიცხოვან ჯგუფს განეკუთვნებოდა, ვის სახელთანაც არის დაკავშირებული ბათუმის თეატრის დაფუძნება.

1932 წელს ბათუმში გასტროლებს მართავდა რუსთაველის სახელობის თეატრი. ყველა სპექტაკლს ესწრებოდა 20 წლის ყმაწვილი მერაბ ხინიკაძე. იგი ისე მოიხიბლა სამსახიობო ხელოვნებით, რომ თეატრის ხელმძღვანელობას თხოვა რაიმე სამუშაოზე მიეღოთ თეატრში. ყმაწვილი წარუდგინეს ს. ახმეტელს, გაიმართა მამაშვილური საუბარი. ს. ახმეტელს
მოეწონა ლამაზი გარეგნობის ახალგაზრდა, მისი მეტყველების კულტურა
და შეპირდა, თეატრში მიგიწვევო. ეს საუბარი გახდა იმის საბაბი, რომ
ს. ახმეტელი მისულიყო აჭარის ხელმძღვანელ ორგანოებში და მოეთხოვა შეერჩიათ სცენისმოყვარე ახალგაზრდები, რომლებიც ჩაირიცხებოდნენ
რუსთაველის თეატრთან არსებულ სტუდიაში და ამ გზით საფუძველი ჩაეყრებოდა ბათუმში თეატრის ჩამოყალიბებას. ასე შეიქმნა ამ სტუდიაში
აჭარის სექცია. ეს სექცია შემდეგში ორჯერ დაკომპლექტდა და კურსდამთავრებულები ბათუმს ეწვივნენ 1937 წელს.

ამ სექციის მსმენელთა მონაწილეობით 1936 წელს რუსთაველის თეატრის სცენაზე განხორციელდა სადიპლომო სპექტაკლი. ეს იყო გ. მდივანის "ბრმა", რომელშიც მთავარ როლს მ. ხინიკაძე ასრულებდა.


წინათ ახალი სპექტაკლის გენერალური რეპეტიცია ტარღებოდა სალამოს, მორიგი წარმოდგენის შემდეგ და იგი გვიან მთავრდებოდა. მე იმ ხანებში ხელოვნების საქმეთა სამმართველოში ემუშაობდი და მოვალე ვიყავი გენერალურ რეპეტიციას დავსწრებოდი, პრემიერის შეფასებაში მონაწილეობა მიმეღო. ბარცხანაში მშობლებთან ვცხოვრობდი და გვიან დამით მიჭირდა შინ დაბრუნება. ეს იცოდა მ. ხინიკაძემ და ღამესი თავის ბინაში მათევინებდა. აქ გავეცანი და დავუახლოვდი მის ოჯახს, ხინიკაძის მეუღლეს ექიმ-სტომატოლოგს ქეთევან ლომაძეს. ქალბატონ ქეთევანს დიდი წვლილი ჰქონდა მ. ხინიკაძის შემოქმედებით წარმატებებში.

ცნობილმა ბათუმელმა მოქანდაკემ ტ. ჭანტურიამ ერთხელ მითხრა, ჩაფიქრებული მაქვს გამოვძერწო აჭარის ცნობილ მოღვაწეთა პორტრეტებიო. მე ვურჩიე მემედ და ჰაიდარ აბაშიძეების, მერაბ ხინიკაძისა და იუსუფ კობალაძის პორტრეტები შეექმნა, რაც მოქანდაკემ გულთან მიიტანა და მაღალი ოსტატობით გამოაქანდაკა მათი სახეები. მ. ხინიკაძის პორტრეტი ერთ-ერთი საუკეთესოა ტ. ჭანტურიას შემოქმედებაში. ასეთივე წარმატებით სარგებლობს აჭარის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის დ. ინაიშვილის მიერ გრაფიკის ტექნიკით შესრულებული ორიგინალურად გააზრებული კომპოზიცია, რომელსაც ავტორმა "როლი და მსახიობი" უწოდა. წინა პლანზე მიმზიდველ ფერებში გამოსახულია მ. ხინიკაძე, მის უკან გამოხატულია ის გმირები, სხვადასხვა სპექტაკლებში დიდი ოსტატობით რომ განასახიერა მსახიობმა ჩვენი თეატრის სცენაზე.

ჩვენი კუთხის კულტურის მოღვაწეთა შორის მ. ხინიკაძე ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვინც ხელოვნების რომელიმე კონკრეტული დარგით არ იფარგლებოდა. იგი დღენიადაგ კითხულობდა მის მდიდარ ბიბლიოთეკაში დაცულ წიგნებს, რომლებშიც გაშუქებულია ძველი, შუა და ახალი საუ-კუნეების ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორიის, თანამედროვეობის

აქტუალური საკითხები.

მ. ხინიკაძეს ღრმად სწამდა, რომ თანამედროვე თეატრი ეპოქის მოწინავე იდეებს უნდა ქადაგებდეს, იბრძოდეს ჰუმანური იდეალების დასამკვიდრებლად, რასაც მაშინ მიაღწევს, როდესაც ცხოვრებისეულ სინამდვილეს რეალისტურად წარმოსახავს, ღრმად ჩაწვდება აღამიანის შინაგან სამყაროს. ეს იდეები ცხოველმყოფელად არის ჩაქსოვილი მსახიობის მიერ შესრულებულ როლებში, რომლებიც დიდხანს ემახსოვრება მაყურებლებს.



amam6333003 336BC3300

ლილი **ჩი**მოვანი

,,311. 6161...

...ვწევარ მაგარ ფიცრულ ტახტზე. საკანი ვიწროა, რკინისფარიანი ფანჯარა — ღახშული, ჰაერი — უსაშველოდ დახუთული. საკანში ტევაზე მეტი პატიმარია: ზოგი თავად არის "ხალხის მტერი", ზოგი "ხალხის მტრის ოჯახის წევრია".

ამათი დაკითხვა თითქმის დამთავრებულია. საკუთარ თავზე შეტად ახლა ჩემზე ფიქრობენ, მე შედარებით ახალი ვარ, გადავყავართ საკნიდან საკანში (დიდხანს არსად მაჩერებენ). აქამდე დაკითხვა ნორმალურად მიმ-დინარეობდა. ახლა მეუბნებიან, რომ რეპრესიებზე გადავლენ: პირველ რი-გში, ფეზზე დაყენებით მემუქრებიან.

 მაინც რამდენ ხანს დამაყენებენ ფეხზე? ეს არც ისე მნელი უნდა იყოს,
 ვაიმედებ თავს.

- ძნელია, ძნელი! თითქოს მიმიხვდაო ნაფიქრალს, მეუბნება მეზობელი პატიმარი, გვარად თარხან-მოურავი. იგი შუახანს გადაცილებული ქალია. მის სანდომიან სახეს ბევრს ვერაფერს აკლებს სამუდამოდ
 დამჩნეული "ნაყვავილარი". დარბაისელია, თავი ყოველთვის დირსებით
 უჭირავს; ამავე დროს, უზომოდ გულისხმიერია და კეთილი. მას აქ რეპრესიები არ გამოუვლია. მისგან ბევრს არაფერს მოითხოვენ ისიც ყოფნის, რომ თარხან-მოურავია. მე მას შვილივით ვუყვარვარ. ვუყვარვარ
 და ვეცოდები.
- იცი, რა გითხრა? ხვალიდან, დაკითხვაზე რომ გამოგიძახებენ, ჩემი დაბალქუსლებიანი ფეხსაცმელები ჩაიცვი. შენი მეტისმეტად მაღალია. თუ მართლა დაგაყენეს ფეხზე, ძალიან გაგიჭირდება.
- ეჰ, ქალბატონო! იქნებ ცოტა ხანს, დასაწყისში გაუჭირდეს, თორემ შემდეგ სულერთია, რა გაცვია, ეხმიანება ერთი, უკვე ყველანაირი ჭირ-გამოვლილი პატიმარი.

II ფრაგმენტი. იხ. "ჭოროხი" № 3.

— ის ცოტა ხანიც საქმეა, — ჯიუტობს მარო დეიდა (მარიამი ერქვა მგონი, თარხან-მოურავის ქალს, ზუსტად არ მახსოვს სახელი) და ფეხსა- ცმელს მაზომებს.

...გვიან ღამით იღება საკნის კარი და ჩვენი რეგვენი ვახტიორი, ერო-

ვნებით ქართველი, როგორც ყოველთვის, რუსულად იძახის:

კტო ნა ჩუ?..

ეს მე ვარ "ნა ჩუ".

გამოვდივარ. მაცვია დეიდა მაროს ფეხსაცმელები. მალე ჩემი გამომძიებელი ამ ფეხსაცმელებს საკანში ჩააგზავნის და ჩემს მაღალქუსლებიან
ტუფლებს ამოატანინებს ვახტიორს... გავა კიდევ ხანი და წვალების სხვა,
უფრო საშინელ ხერხსაც გამოიყენებს, რომლის აღწერით არ მინდა გული დავუმძიმო მკითხველს. შემდეგ სულაც ჩამომეხსნებიან. "დრო და მიდგომა" იცვლება. ახლა პირდაპირ "უცერემონიოდ", განსაკუთრებული "გარჯის" გარეშე უსჯიან და ერეკებიან ხალხს ("ნარჩენებს" და "ნაბოლარებს") გადასახლებაში.

გარეთაც, თურმე, შეღავათი მიეცათ გამუდმებულ შიშსა და რიდში ყოფნით გაწამებულ ადამიანებს: შვილი პასუხს არ აგებსო მშობლის დანაშაულისათვის, არც პატიმრის ნაცნობის ნაცნობს დაიჭერენ აწი უდანა-

შაულოდ.

იხელთა, თურმე, მომენტი ჟურნალ "ნიანგის" რედაქციამ და დაბეჭდა გასაოცარი სატირულ-იუმორისტული ლექსი "საცხა ვინცხა" ("საცხა ვინცხას ვინცხასთან ნაცნობობა ჰქონია" და ა. შ.). თითქოს განსაკუთრებული მალამო დაადესო მკითხველთა დაჭრილ გულს!... ლექსი მოსწონდათ, უხა-როდათ მართალი და თამამი სიტყვის გაგონება, ეშინოდათ ოღონდ, ვაი, თუ არ შერჩესო ეს ჟურნალს. მაგრამ შერჩა, თურმე, მადლობა ღმერთს, რომ იტყვიან, "ხახვივით შერჩა".

ახლაც კი, ამდენი წლის შემდეგ, მინდა მადლობა ვუთხრა (გულში მერამდენედ, მაგრამ ხმამაღლა — პირველად), ჩვენს საყვარელ უშიშარ

"ნიანგს"!

ჩვენამდე მოაღწია ხმამ, უფრო სწორად, კაკუნით საკნიდან საკანში მთელმა ციხემ გაიგო, რომ დაუპატიმრებიან პოდოლსკაია, შინსახკომის შიდაციხის მთავარი სადისტი ქალი, რომელიც იგონებდა გამოძიების დროს პატიმართა წამების არნახულ, არგაგონილ საშუალებებს (განსაკუთრებით მამაკაცებისათვის). გადაწყდა (ამას შეთანხმებაც არ დასჭირვებია), რომელ ხაკანშიაც არ უნდა შემოეყვანათ და რადაც არ უნდა დაგვჯდომოდა, წაგვე-ხრჩო იგი, მაგრამ ერთ საკანში რომ ძლივს გამოგლიჯა დაცვამ პოდოლ-სკაია პატიმრებს, შემდეგ არავისთან შეუყვანიათ. იზოლირებული ჰყავდათ, ალბათ, და, შეიძლება, თეითონაც ადრე მოუღეს ბოლო.

დღეს ჩვენი დერეფნის მორიგე ზედამხედველს "სათვალთვალო" დარ-

ჩა ჩაუკეტავი. მე ეს შევნიშნე, თითით გავწიე ფირფიტა და ოდნავ განზე შევაბრუნე. გამოჩნდა დერეფნის ვიწრო ზოლი. სუნთქვაშეკრული ავეცარი კარებს. წუთიც და, გამოჩნდა მამაკაცი ვახტიორთან ერთად. შავი შარეალ- ხალათი ეცვა. მოაბიჯებდა დაღლილი, მოღუშული, მხრებში ოდნავ მოხ-რილი. მე ის ვიცანი. ვიცანი და თავი ვეღარ შევიკავე — შევიკივლე. ეს იყო ჩვენი სათაყვანო პროფესორი შალვა მიქელაძე.

ვიღაცამ სწრაფად ჩამავლო ხელი და მომაშორა კარებს. მეორე მხრიდან ზედამხედველი მოაწყდა "სათვალთვალოს", ერთხანს იყურა, იყურა, შემდეგ ჩაკეტა და წავიდა ნელი ნაბიჯებით. მე კი, ტახტზე დამხობილი,

ვტიროდი მთელი დღე.

აკი ამბობდნენ ბატონ შალვაზე, ცოცხალი აღარ არისო. ზოგი ამტკიცებდა, შორეულ გადასახლებაშია გადაგზავნილიო. ის კი ჯერ კიდევ აქ ყოფილა. წარმომიდგა კათედრაზე მდგარი, ქრისტე-ღმერთივით სათნო და ლამაზი. როგორ შევწუხდით სტუდენტები, როდესაც მისი დაპატიმრების ამბავი გავიგეთ! გულმოკლული ვიყავით ინსტიტუტის რექტორის, ასევე დიდებული ადამიანისა და სწავლულის, ვაწაძის დაპატიმრების გამო.

ვერაფრით ვერ დავმშვიდდი, ვერ დავაღწიე თავი სულის შემძვრელ მოგონებებს. აე ბათუმში გავიზარდე, აქ ვსწავლობდი, აქ დავამთავრე სამედიცინო ტექნიკუმი, ტექნიკუმი, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და მაშინ არა მარტო პროფესიული, არამედ საერთო, ყოველმზირეი განათლების მძლავრ კერად ითვლებოდა. ამ სასწავლებლის რამდენი ამაგდარია ახლა რეპრესირებული!

მაგონდება ყველასათვის უზომოდ საყვარელი ზაქრო შარაშიძე — ტე-ქნიკუმის დირექტორი (და ლექტორიც). უაღრესად განათლებული, კულ-ტურული, საუკეთესო სპეციალისტი, ლიტერატურის დიდი მეგობარი და ახალგაზრდობის გულის მისანი. დირექტორის მოადგილე და ჰიგიენის ლექტორი გაბო ხორამანსკი; ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავ-ლებელი ლეონიდე ჟღენტი; ჩვენი ტექნიკუმის დამაარსებელი, ბათუმის ჯანგანის გამგე ილია იორაიშვილი, ჩინებული ექიმი და მასწავლებელი ვასო გაბუნია.

ვწერ ამ სტრიქონებს და ვფიქრობ: ამათგან ზოგი არ დაბრუნებულა, ზოგი დაბრუნდა და მიებარა მშობელ მიწას. ყველაფერს რომ თავი დავა-ნებოთ, საქვეყნოდ აღიარებული საერთო-სახალხო ტრადიციის ("არ და-ვიწყება მოყვრისა") მიხედვითაც არ ეკუთვნის გახსენება ამ შესანიშნავ

ხალხს?

ამასთან დაკავშირებით მინდა მივმართო მწერალსა და ექიმს რამაზ სურმანიძეს; თქვენ მაინც რატომ აყოვნებთ შეაშველოთ თქვენი სიტყვა მათ დახსნილ სახელებს? თითოეულის ნაღვაწ-ნაამაგარი და პატიოსანი ცხოვრების ბედუკუდმართი დასასრული ცალკე წიგნი იქნებოდა, თითოე-

ული მათგანი აღამიანობის, ხალხის უანგარო სამსახურისა ღა პროფესიული ოსტატობის ეტალონად გამოდგებოდა...

გამოძიება დამთავრდა. ახლა ორთაჭალის ციხის ერთ საერთო საკანში ვარ. აქ უნდა დაველოდო განაჩენს. საკანი გადატვირთულია, სუნთქვა
ჭირს, მაგრამ თუ შინსახკომის შიდაციხეში "გასეირნება" არ შეიძლებოდა, აქ დილა-საღამოს 15-15 წუთით გავყავართ ჰაერზე. ისე მისუსტებულები ვართ, რომ ზოგჯერ, რიგრიგობით, უარსაც კი ვამბობთ ამ ნანატრ
პროცედურაზე. გვერდით საკანში ჩემი თანაკურსელი და ახლო მეგობარი
ზის. ჩვენ კაკუნით ხშირად ველაპარაკებით ერთმანეთს (შემდეგში სხვა
მეგობრებსა და თანამოაზრეებსაც შევსვდები).

აქ კი საკანში ჩემთან ერთადაა ახალგაზრდა, მაგრამ ცნობილი მსახიობი ქალი ბუჟუჟა შავიშვილი. სულ იგონებს თავის საყვარელ თეატრს, აღმერთებს სანდრო ახმეტელს, წყევლის ზოგიერთ ინტრიგან ხელოვანს, ზოგს სულგაყიდულად მიიჩნევს და ხსენების ღირსადაც არ თვლის.

აქ შევხვდი ნათესავის — პროფესორ-მედიკოსის ნიკოლოზ (კოლია) გეგეჭკორის მეუღლეს კატუშას, რომლის ყველაზე დიდი სადარდებელი გარეთ მარტოდ დარჩენილი ერთადერთი ავადმყოფი შვილია. კატუშას მაზლიც დაჭერილია — სახელგანთქმული ინჟინერი გრიშა გეგეჭკორი, კოლხეთის ჭაობის დაშრობის "ეპოპეის" გმირი. არცერთი მმა არ დაბრუნებულა ცოცხალი, რეაბილიტირებული არიან "სიკვდილის შემდეგ"...

აქ ისევ შევხვდი მარო დეიდას, თარხან-მოურავის ქალს. გავიცანი ადილე — ულამაზესი აფხაზი ქალი, ნესტორ ლაკობას მეუღლის — სარიე ჯიხაშვილის მმის ცოლი. სრულიად ახალგაზრდაა (17-18 წლისა), ბავშ-ვივით გულუბრყვილო და მიამიტი. მე და ადილე ვიყავით საკანში ყველაზე ახალგაზრდები, რამაც ძალიან დაგვაახლოვა. პოლიტიკისა არც არაფერი გაეგებოდა და არც აინტერესებდა. აჯადოებდა ყველას თავისი მოთ-მინებითა და ზრდილობით, თავმდაბლობითა და, რაც მთავარია, სილამაზით. ეს იყო უმშვენიერესი ფერია, ოქროსფერი თმებით, ფირუზისფერი თვალებით, ვარდისფერი მარმარილოსაგან გამოკვეთილს ჰგავდა, თვალს ვერ მოსწყვეტდი. დიდი ჯილდოა მაინც სილამაზე, დაილოცოს ბუნების მადლი!

რამდენს მოიგონებ, რამდენს ახსენებ, ვინ მოთვლის რამდენ საინტერესო ადამიანს შევხვდი! მაგრამ ერთი კი უნდა ვახსენო კიდევ აუცილებლად. ეს გერმანელი ერნა კნაქსია (იმის სახელიც რომ მახსოვს და გვარიც!). შპიონაჟში ედება ბრალი, და, მგონი, არც ტყუილუბრალოდ. ურთიერთობა ყველასთან ერთნაირი და "ზომიერი" აქვს. სიტყვამუნწია. არასასიამოვნო სახე რომელიღაც ფრინველს მიუგავს. ღიმილი უხდება, მაგრამ
იშვიათად იღიმება. ჯანმრთელია, მკვრივი აღნაგობისა. ყოველ დილით ვა-

რჯიშობს. ზამთარ-ზაფხულ "ბანაობს" ონკანის ქვეშ. სულ ელოდება გაკუვნული მოხსნას...

წელიწაღნახევარი დავყავი ციხეში. მომისაჯეს რვა წელი. განვვლე ძნელი გზა "ეტაპისა". ჩამოვაღწიე ყაზახეთში, ყარაგანდის ოლქში. ბევრ- ნი ვართ, ძალიან ბევრი, ქვეყნის ყოველი კუთხიდან. აქ იქნება "კარლაგი". ჯერ კი მხოლოდ შიშველი, უდაბური და თვალუწიერი ველია...

ზაფხულია. საშინლად ცხელა. ფეხები ეფლობა ქვიშაში. ქრის ცხელი ქარი და ქვიშას სახეში გვაყრის, თვალებს ვერ ვახელთ, არსად ხე, ან შე-

ნობა, არსად ჩრდილის ნაფლეთი!

აქ დავცემთ ჯერ კარვებს, შემდეგ ავაშენებთ ბარაკებს, გავთხრით საფლავებს!

გავაშენებთ შახტებს, ამოვიღებთ მარგანეცს, გაშენდება და გაითქვამს

სახელს ქალაქი ჯესყაზგანი. ისევ გავთხრით საფლავებს!...

პურს გამომუშავების მიხედვით იძლევიან. მე კი ვერ ვერევი სამუშაოს. მიწა მაგარია, გამხმარ-გამომშრალი. 200 გრამი პური არ მყოფნის,
სხვა საჭმელიც ხომ არა არის რა ნოყიერი. მშია! ვითმენ, მაგრამ სულ
ვსუსტდები, ისედაც ჩხირს დამსგავსებული, დიდხანს ვერ გავძლებ, ალბათ.

ვიგონებ სახლს, ჩემიანებს. მაგონდება თბილისის სადგური იმ ღამით, ჩვენ რომ წამოგვიყვანეს. ვერაფრით ვერ დაშალა დაცვამ ჩვენი ახლობლების ალყა. ჰაერი უმოწყალო ქვითინით იყო გაჟღენთილი. მე დავინახე ჩემი მოხუცი დეიდა, დედასავით საყვარელი, ჩვენს ოჯახს გადაგებული, ჩემზე ზრუნვაში გათეთრებული. შავები ეცვა, იცრემლებოდა. თვალი თვალს რომ გავუყარეთ, გამიღიმა, ჩემი გამხნევება სცადა.

შენ გენაცვალე, ჩემო ტკბილო, ჩემგან ასე გაწვალებულო ღეიდა! მე შენ არასოღეს დაგივიწყებ. რაკი აქამდე გადავრჩი, არც აწი დამემართება რამე, დაგიბრუნდები ცოცხალი. ოღონდ, ჩემი მშობლები თუ დაბრუნდებიან, ნეტავ! დედაჩემის წერილი ხომ არ მიგიღია, ა? ამას გულში ვფიქრობ, თორემ არც ისე ახლოსაა დეიდა, რომ ხმა მივაწვდინოთ ერთმანეთს-

მე ხმას გადასახლებიდან უფრო მოვაწვდენ, მოვწერ:

მომელანდები მოსილი შავით, ჩემზე მწუხარე და მგლოვიარე... რამდენი ტანჯვა გადავიტანე, რამდენი ცეცზლი გამოვიარე!..

დღეს სულ აუტანელი სიცხეა. მე ისევ ვერ ვასობ პალოებს. დღესაც ვერ გამოვიმუშავებ დაწესებულ მინიმალურ ნორმაზე მეტ პურს...

უეცრად შემოჰკრეს თუჯის ფირფიტას, გვიხმობენ. ბანაკის უფროსს კომისია მოჰყვება. გვამოწმებენ, გვამოწმებენ ისე, ზერელედ, ჩამოვლით, ჯანმრთელობის ამბავს გვეკითხებიან.

აჰა. ეს საექიმო კომისიაა! სანიტარიული განყოფილების უფროსიალ თქვეს ერთ ხნიერ სიმპათიურ კაცზე. სასწრაფოდ უნდა გახსნან სამედიცინო პუნქტები, საავადმყოფო (ჯერ ისევ კარვებში). ბევრია მწოლიარე ავა-დმყოფი, ძალიან ბევრი (თან უდიდესი უმრავლესობა მამაკაცები არიან). მალობს პელაგრა და დეზინტერია.

მოუახლოვდნენ იმ ადგილს, სადაც მე ვდგავარ. განყოფილების უფ-

როსი მოდის ჩემთან და მეკითხება:

— შენ როგორ აღმოჩნდი აქ, გოგონა?! ან სადაური ხარ?

საქართველოდან, — ვეუბნები მოკლედ.

— დალოცვილი მხარეა. გაქვს რაიმე ხელობა? რისი გაკეთება შეგიძლია?

— დამთავრებული მაქვს სამედიცინო ტექნიკუმი, ვიყავი სამედიცინო

ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტი.

ეღიმება.

 იყავი კი არა, ხარ! ძალიან კარგი. მოგაწყობ სამედიცინო სამსახურში, საქმე ბევრი გექნება, მაგრამ "შავ სამუშაოს" მაინც აჯობებს.

მამაშვილური სიყვარულით მეპყრობოდა. მან მიხსნა — მაქსიმ მაქსიმიჩმა. ბევრი იყო ჩვენთან ექიმი თუ ექთანი, ყველას არ ყოფნიდა ადგილი. მე კი ამიყვანა და მით სიკვდილს გადამარჩინა. და იცით, რატომ? მითხრა შემდეგ:

საქართველოში ვყოფილვარ. იქ იმდენი კეთილი მეგობარი მყავს,
 იმდენი პატივი უციათ და სიკეთე გაუკეთებიათ ჩემთვის, რომ სიკვდილა მდე სულ იმის ცდაში ვიქნები, ქართველებს აქ როგორმე დაგეზმაროთ,

ეს მძიმე ხვედრი რითიმე შეგიმსუბუქოთ.

"ვნუჩეჩკას" მეძახდა მოფერებით. მართლაც მეკუთვნოდა ბაბუად.

3-4 დღეა, რაც ჩამოგვიყვანეს. მე უკვე საავადმყოფოს ექთანი ვარ. ჩვენი ექთნები არ დაიჯერებენ ახლა, თითოეული რამდენ ავადმყოფს ვუ- ვლიდით — ერთ მედდაზე ორასი ავადმყოფი მოდიოდა. ერთ გრძელ კარა- ვში იწვნენ ისინი და იხოცებოდნენ, როგორც რუსებმა იციან თქმა, ბუზე-ბივით წყდებოდნენ.

ეს იყო საშინელება. მთელი ღამე დავრბოდი ჭრაქის მკრთალ შუქზე და ზოგს ნემსს ვუკეთებდი, ზოგს წამალს ვაძლევდი, ზოგს წყალს და ზოგს

იმედიან-ალერსიან სიტყვას ვაწვდიდი.

პელაგრიანი პურს მთხოვდა. ზოგი მისამართის მოცემას აპირებდა,

მაგრამ ვერც კი ასწრებდა.

სიბნელე იყო კარავში და ყველა ავაღმყოფის სახეს ვერც ვარჩევდი. მწარედ კვნესოდნენ და ოხრავდნენ. ერთხელ, ერთ ბოლოში რომ მივედი, მეორე ბოლოდან "ვაი, ნანაო", მომესმა უცაბედად, კისრისტესით გავი-ქეცი. სანამ იმ თავში გავედი, აქედან მომესმა "ვაი, ნანა!.." შემდეგ კიდევ

და კიდევ. ყველასთან გავჩნდი, ყველას ჩავატანე ჩემი წრფელი ცრემლელელენება ბი და მთელი მამულის წონა თითო ქართული სიტყვა!..

ჩემო გოჩა და ხვიჩა!

მმიმე იყო თქვენი "ვაი, ნანა", მაგრამ მერწმუნეთ, არც ამ უბედურ—თა "ვაი, ნანა" იყო უფრო მსუბუქი. თქვენ ტეხურის პირას დაგრჩათ მშობლები და მათმა ლოცვამ გადაგარჩინათ. ამათ — ტეხურის პირას და-რჩათ შვილები (ბავშვები) და, ყველა სხვა უბედურებასთან ერთად, მათზე ჯავრმა და ფიქრმა მოუწამლათ სიცოცხლეცა და სიცოცხლის უნუგეშოდ დასასრულიც!..

6360 CO CO TO TO TO

30000 40009

64 แบบ 83 และ เมื่อ เ

გარდაქმნისა და დაჩქარების კურსი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება, მოითხოვს აქტიურ, მაძიებელ, ინიციატივიან და გერგილიან ადამიანს, უნარი რომ შე-სწევს დაამკვიდროს ახალი და პროგრესული, იყოს ჭეშმარიტი პატრიოტი და ინტერ-ნაციონალისტი.

არა მგონია სადავო იყოს, რომ ასეთი ადამიანი სკოლამ და ოჭაბმა უნდა აღზარდონ, დიახ, სკოლამ და ოჭახმა — ორივემ ერთად. სამწუხაროდ, ამ მაღალ პატრიოტულ, უბრალოდ რომ ვთქვათ, ადამიანურ მოვალეობას ვერც ერთი ასრულებს ხეირიანად და ვერც მეორე. ასე რომ არ იყოს, არც სასკოლო რეფორმა იქნებოდა საჭირო.

საქმე ის არის, რომ სკოლა მოზარდისაგან ხშირ შემთხვევაში უსიტყვო მორჩილებას მოითხოვს, პატივშია აკრძალვა და იძულება. ასეთი პრაქტიკა კი, ეს ვინც არ იცის, მოსწავლეებში ჰკლავს ინიციატივას, დამოუკიდებელი აზროვნებისა და მოქმედების უნარს. არიან პედაგოგები, რომლებიც ნიშანს უკლებენ მოზარდს, თუ ისე არ თქვა და ისე არ დაწერა, როგორც სახელმძღვანელოშია, ან "როგორც საჭიროა".

პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობაც ბევრგან ამავე პრინციპზეა აგებული და მკაცრად რეგლამენტირებული. ვინ უნდა გამოვიდეს კრებაზე
სიტყვით, ვინ რა უნდა თქვას, ვინ დაასახელონ და აირჩიონ ხელმძღვანელ ორგანოებში, ამას უფროსები წინასწარ განსაზღვრავენ და პიონერებს თუ კომკავშირელებს
ფაქტობრივად მარტო ხელის აწევის, ანუ დასტურის უფლებას უტოვებენ. თავს ნუ

მოვიტყუებთ — ასეთი პრაქტიკა მხოლოდ ფორმალიზმის სიყვარულით არ აიხსნება. იგი ნოყიერ ნიადაგს უქმნის პროტექციონიზმსა და სხვა ნეგატიურ მოვლენებს.

უკეთ არ დგას საქმე ოჯახში. რატომღაც ბევრ მშობელს მიაჩნია, რომ თვითონაა ვალდებული გზა გაუკაფოს შვილს და მეურვეობს მას ყველგან და ყველაფერში, დაწყებული საბავშვო ბაღიდან უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებამდე და, თქვენ წარმოიდგინეთ, მის შემდეგაც, იმას კი ვერ მიმხვდარა, რომ ამით მოზარდში ჰკლავს ყოველგვარ ინიციატივას და ქვეყანას უზრდის უნიათო, უგერგილო, არაკომპეტენტურ "სპეციალისტს". სწორედ ამ მეურვეობის შედეგია, რომ სკოლაშიც და უმაღლეს სასწავლებელშიც შეაღწია და გავრცელდა ისეთი ნეგატიური მოვლენები, როგორიცაა პროტექციონიზმი და შენიღბული თუ შეუნიღბავი ქრთამი. ახლა უკვე არავის უკვირს, თუ ე. წ. პრივილეგიური კაცის შვილს დაუმსახურებელ მაღალ ნიშნებს უწერენ, და არც ის, რომ ამავე "რანგის" ქალაქელ მშობლებს დამამთავრებელი კლასის მოსწავლე შვილი სოფლის სკოლაში გადაჰყავთ, რათა ამ გზით თავიანთ ნაშიერს ინსტიტუტში მოწყობა გაუადვილონ, არც ის არის ვინმესთვის საიდუმლო, აბიტურიენტთა კონკურსი რომ კარგა ხანია მშობლების კონკურსად გადაიქცა. ჰკითხეთ აბიტურიენტის მშობელს, რა ღირს "გამოცდების ჩაბარება" ამა თუ იმ ინსტიტუტში ცალკე ფაკულტეტების მიხედვით და პასუხს დაუყოვნებლივ მიიღებთ. ამის შესაბამისად ირჩევს მშობელი შვილის პროფესიას და მომავალ პრესტიჟულ თანამდებობასაც. ასე რომ, მოზარდს ფაქტობრივად საფიქრალ-საზრუნავი არაფერი რჩება.

ასეთ მეურვეობას, ჩემი აზრით, ხელი შეუწყო ხალხის მატერიალური კეთილდღეობის დონის ამაღლებამ. რაკი ეკონომიკური შესაძლებლობა აქვს, მშობელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ყალბი თავმოყვარეობის გამო ცდილობს შრომას, გარჭას გაარიდოს შვილი, ვინმემ რომ არ თქვას, უქირს, თორემ შვილს რატომ ამუშავებსო. ერთ
მშობელს უსაყვედურეს, შენი ბიჭი უსაქმოდ რად დაეხეტება, სანამ ინსტიტუტში მოაწყობდე, ის არა სჭობს, სადმე დააწყებინო მუშაობაო, მან კი სასტიკად იწყინა ეს
შენიშვნა: რა ისეთი გაჭირვებული მე მნახეთ, შვილი ვამუშაო! რად მინდა მისი ასი
თუ ას ოცი მანეთი, გაისად სტუდენტი გახდება, დედა კი ენაცვალოს, და მერე კარგ
თანამდებობასაც ვუშოვიო.

რა თქმა უნდა, ფრიად სავალალოა, რომ ასეთი შეხედულება გაჩნდა ქვეყანაში, სადაც შრომა ადამიანის ღირსების საქმედ, პატრიოტულ მოვალეობად ითვლება.

რატომ მოხდა ასე? ვფიქრობ, იმიტომ, რომ მატერიალური კეთილდღეობის ზრდას თან არ მოჰყვა სულიერი ინტერესების, კულტურის ზრდა. ზოგი ვინმე აშკარად თავ-მომწონეობს, ამპარტავნობს კიდევაც, შეძლებულად რომ ცხოვრობს, ის უბრალო ჭე-შმარიტება კი ვერ გაუგია, ბევრი აქვს თუ ცოტა, ადამიანი უნდა შრომობდეს, ქმნიდეს, თვითონ იკაფავდეს ცხოვრების გზას — მხოლოდ ამ შემთხვევაში გამოავლენს იგი სრულად ინიციატივას და თავის ნიჭსა და უნარსაც.

ჩვენ მიგვაჩვიეს იმ აზრს, რომ უცხოეთში ყველაფერი ცუღი და დასაგმობია. მაგრამ ასე არ არის. იქ ცოტა როდია ისეთი რამ, რომელთა გადმოღება და გაზიარება
სრულებითაც არ გვაწყენს. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში (და სხვა
ქვეყნებშიც) მშობლები არ მეურვეობენ შვილებს, არათუ ფუქად დროს ტარებისათვის საჭირო, არამედ ე. წ. ჭიბის ფულსაც არ აძლევენ და ბავშვები თავიანთი შრომით
შოულობენ, ვთქვათ, კინოთეატრის ბილეთის, ნაყინის, ან სხვა წვრილმანის შესაძენ
ფულს. საამისოდ სკოლებში არის სპეციალური ოთახი, სადაც კომპიუტერი დგას და
ამ მანქანის მეშვეობით ყველას შეუძლია გაიგოს, სად არის მისი შესაფერი სამუშაო
(რა თქმა უნდა, დროებითი, ერთჭერადი). შარშან საბჭოთა კავშირს ეწვია ამერიკელ
მოსწავლეთა ჭგუფი. მათ თქვეს, რომ დროდადრო მუშაობენ, მაგრამ არა მარტო ჭი-



პის ფულისათვის — ადამიანი, დიდია თუ პატარა, უნდა შრომობდეს, ეს ზნეობის საქენების კითხიაო.

და ასეც არის. ერთ მილიარდერს, თურმე, შვილმა დოლარი სთხოვა. მამამ ათდოლარიანი გაუწოდა და უთხრა, ა, შენ ათი დოლარი, ამით შეიძინე გაზეთები, გაყიდე,
ამონაგები შენ დაიტოვე, მე კი ჩემი ათი დოლარი დამიბრუნეო. დამერწმუნებით, ალბათ, ასე მილიარდერი იმიტომ კი არ მოიქცა, რომ ძუნწი იყო და შვილისათვის ერთი
დოლარი ვერ გაიმეტა — არ სურდა სხვისი მოიმედე, სხვისი ხელის შემყურე მემკვიდრე ჰყოლოდა, ყველამ ცხოვრების გზა თვითონ უნდა გაიკაფოს — მდიდარია თუ
ლარიბი.

ამის ერთი მაგალითია ამერიკელი მწერლის სტეინბეკის ბიოგრაფია. იგი მატერიალურად სავსებით უზრუნველყოფილ ოკახში გაიზარდა, ყოველ შემთხვევაში, მისი
მშობლები არ ყოფილან არც ერთ იმ ჩვენებურ მშობლებზე ღარიბი, რომლებიც თავიანთ შვილს ყოველ ნაბიკზე მეურვეობენ და ურჩევნიათ იგი უსაქმოდ დაეხეტებოდეს, ვიდრე ფიზიკურად შრომობდეს ან დაბალი თანამდებობა ეკავოს. ამის მიუხედავად, სტეინბეკი კერ შავი მუშა იყო მშენებლობაზე, შემდეგ გაზეთის გამყიდველი, რეპორტიორი და, ბოლოს, საქვეყნოდ ცნობილი მწერალი გახდა. ახლა თქვენ გეკითხებით, ძვირფასო მკითხველო, რომელი ჩვენებური შეძლებული მშობელი იკადრებს,
რომ მისი შვილი შავი მუშა იყოს მშენებლობაზე?

შემთხვევითი როდია, რომ უცხოელ სტუდენტებს, რომლებიც საქართველოში სწავლობენ, გულწრფელად უკვირთ ჩვენი მშობლების ასეთი თავგადადებული მეურვეობა, უკვირთ, რომ მათი ქართველი თანატოლების გარკვეული ნაწილი თავს არ იწუხებს
სწავლისათვის, ცოდნა კი არ უნდა მიიღოს, არამედ დიპლომი, რომელიც საზოგადოებაში თავისებური სავიზიტო ბარათი გახდა და არა პროფესიული კვალიფიკაციის შაჩვენებელი. აი ამიტომ მომრავლდნენ დიპლომიანი "სპეციალისტები", რომლებიც ხეირიანად ვერ ფლობენ პროფესიას. მაგონდება, ჩვენი საყვარელი მსახიობი კაკო კვანტალიანი როგორი ოსტატობით წარმოადგენდა ესტრადაზე ავადმყოფს, რომელსაც
ექიმმა გასინჭვის შემდეგ გაკვირვებით ჰკითხა, რას უჩივით ამ თვალს, სავსებით სალიაო, მან კი უპასუხა: ექიმო, ეგ ჭიქის თვალია, გთხოვთ, მეორე თვალი გამისინჭოთ.
ეს პასუხი დარბაზში ყოველთვის იწვევდა ხარხარს. მართლაცდა, ვინ იცის, რამდენი
ასეთი ექიმი გვყავს, ან ინჟინერი, ნახაზებში რომ ვერ ერკვევა და მუშები ეხმარებიან...

ჩვენი წინაპრები ასე როლი იქცეოდნენ. ისინი ბავშვებს პატარაობიდანვე აჩვევდნენ და აყვარებდნენ შრომას, მასში ხედავდნენ არა მარტო მატერიალური სიკეთის
წყაროს, არამედ კაცური კაცობის უთუო პირობასაც, ე. ი. მას განიხილავდნენ ზნეობის ასპექტითაც — იცოდნენ, რომ უქნარობა, ფუჭი დროს ტარება ამორალური საქციელია, რამდენადაც იგი არის ათასგვარი ბოროტებისა და დანაშაულის სათავე. სავალალოა, რომ ბევრ თანამედროვე მშობელს არ ესმის ეს და სწორედ ამის შედეგია
უწლოვანთა დანაშაულის გახშირება. მშობელთა მეურვეობით გათამამებული ახალგაზრდა, მათ შორის უწლოვანიც, დანაშაულს სჩადის იმ იმედით, რომ დედიკო და მამიკო საციხედ არ გასწირავენ და პასუხისმგებლობისაგან უთუოდ დაიხსნიან. ჩვენდა
სამწუხაროდ, ასეც ხდება. არიან მშობლები, რომლებიც არაფერს არ თაკილობენ, ოლონდ შვილს სასქელი ააცდინონ. ზოგქერ მათი მეურვეობა ისეთი ფორმით ვლინდება,
რომ შეუძლებელია წესიერი კაცის ზიზღი და აღშფოთება არ გამოიწვიოს. იყო ასეთი
შემთხვევა: შეზარხოშებულმა ახალგაზრდამ ავტომანქანით ბავშვი გაიტანა. როგორ
მოიქცეოდა ამ შემთხვევაში ისეთი კაცი, როგორიც იყო ხევისბერი გოჩა, ყველამ
კარგად ვიცით — დაგმობდა შვილის საქციელს და მის მკაცრად დასქას მოითხოვდა.

სულ სხვა გზა აირჩიეს დამნაშავის მშობლებმა: დაღუპულის მშობლებს ფული გაუგზაუუე ვნეს და შეუთვალეს — ჩვენი შვილი რომ ციხეში ჩაჯდეს, ამით თქვენი შვილი არ გაცოცხლდება. გიჯობთ ეს ფული მიიღოთ, თქვათ, რომ ბავშვი თვითონ ჩაუვარდა ავტომანქანას და ჩვენს ბიჭს ბრალი არ აქვს, თორემ ამ ფულს სხვას მივცემთ და, სულერთია არაფერი გამოგივათო.

რას იტყვით, ასეთი მორალის მშობლებს ადამიანი ეთქმით?

ასე ნებსით თუ უნებლიეთ თვითონ მშობლები ჰკლავენ მოზარდში ინიციატივას, არ აძლევენ ნიჭისა და უნარის სრულად გამოვლინების საშუალებას, ხოლო ზოგჯერ დანაშაულისკენაც კი უბიძგებენ. არცთუ ისე დიდი ხნის წინათ "ინტურისტის" რესტორანში ყველა აღაშფოთა დედის საქციელმა, დედისა, რომელიც შვილს აქეზებდა— არაფერი შეარჩინო მაგ უცნობს, მიდი, ერთი კარგი ალიყური აჭამეო. აი სანამდე დაეცა ზოგი ვინმე! წინათ მანდილოსანი ლეჩაქს იხდიდა, მოჩხუბრებს შორის აგდებდა, რომ ზავი ჩამოეგდო, მოჩხუბარნი შეერიგებინა, ახლა კი...

ამ მხრივ, როგორც ვთქვით, ვერც სკოლამ გამოიჩინა თავი, მართალია, ბოლო დროს დამკვიდრდა ე. წ. შრომითი სემესტრები, განხორციელდა სხვა ღონისძიებანიც, მაგრამ უველაფერი ეს ეპიზოდურია და არა სისტემატური, ზოგჭერ ფორმალურიც და აშკარად არ კმარა იმისათვის, რომ მოსწავლეს შევაუვაროთ შრომა, გავუღვივოთ ინიციატივა, ჩავუნერგოთ მაღალი ზნეობრივი თვისებები. დიდად დასანანია, რომ თავის დროზე ვერ გავრცელდა, ჩემი აზრით, ფრიად საინტერესო და სასარგებლო ინიციატივა — ზოგიერთ საწარმოში მოსწავლეებს უყოფდნენ ცალკე უბანს, სადაც ისინი გარკვეულ დროს შრომობდნენ, პროდუქციასაც ქმნიდნენ, და ჭიბის ფულსაც აკეთებდნენ. მისასალმებელია, რომ ამ მხრივ მდგომარეობა იცვლება, იქმნება მინიმეურნეობები და მინიფაბრიკები, სადაც უფროსკლასელები შრომობენ. ჭერჭერობით მინიფაბრიკები მხოლოდ თბილისსა და ქუთაისშია, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მათ მალე ვიხილავთ ბათუმშიც.

მაძიებელი, ინიციატივიანი, აქტიური მოქალაქის ჩამოყალიბების ერთი უთუო პირობაა მოზარდის აღზრდა სიტყვისა და საქმის ერთიანობის სულისკვეთებით. დასამალი არ არის, რომ ახლო წარსულში განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა სიტყვისა და საქმის გათიშვა. კაცი სიტყვას იძლევა, პირობას დებს, მათ შორის თანამდებობის პირიც, მაგრამ თავს არ იწუხებს მისი შესრულებისათვის, რაც მთელი რიგი ნეგატიური მოვლენების, უპირველეს ყოვლისა კი გულგრილობისა და უპასუხისმგებლობის ერთი მთავარი მასაზრდოებელი წყარო გახდა. არადა, სიტყვის ერთგულება ყოველთვის იყო ქართველი კაცის ზნეობრივი კანონი. გენიალური "ვეფხისტყაოსნის" ერთ-ერთი გმირი ავთანდილი შემთხვევით როდი ამბობს, "კაცსა ფიცნი გამოსცდიანო". თუ კაცს სიტყვის, პირობის შეუსრულებლობა არ რცხვენია და არაფრად არ მიაჩნია, იგი ზნეობრივი გად გაუწვრთნელი არაკაცია.

სიტყვის გატეხა, პირის შეშლა, პირობის შეუსრულებლობა იმით არის ცუდი და მავნე, რომ ფართოდ უღებს კარს სიცრუეს, სიცრუე კი, როგორც რუსთაველმა ბრძანა, თავია "ყოვლისა უბედობისა". იგი, უწინარეს ყოვლისა, ძირს უთხრის ნდობას, ურომლისოდაც გაძნელდება ადამიანთა ურთიერთობა. აბა, ერთი წუთით წარმოვიდ-გინოთ, რას დაემსგავსება ჩვენი ცხოვრება, თუ ერთმანეთს ვერ ვენდეთ, თუ ყველ-გან სიცრუე და უნდობლობა დაისადგურებს?!

აი, რატომ არის აუცილებელი მოზარდი პატარობიდანვე სიტყვის ერთგულებას, იმ აზრს შევაჩვიოთ, რომ პირის შეშლა, სიტყვის გატეხა დიდი უზნეობაა. აქ ცოტა მნი-შვნელობა როდი აქვს უფროსების პირად მაგალითს. როცა ბავშვს რაიმეს პირდებიან და არ უსრულებენ, როცა იგი ხედავს, რომ მშობლები მეზობლებთან ურთიერთობაშიც



ასე იქცევიან, არ უნდა მოველოდეთ, რომ სიტყვის ერთგულება მისი ზნეობრივი კანონი გახდება.

სიტყვის ერთგულების სულისკვეთებით მოზარდის აღზრდაში დიდია სკოლის როლიც. ამ მხრივ მეტად საინტერესოა იაპონიის სკოლის გამოცდილება. აქ წესად აქციეს — ამა თუ იმ საგანში რომელიმე ცალკე მონაკვეთის, ვთქვათ, გეოგრაფიაში ევროპის შესწავლას რომ მორჩებიან, მოსწავლემ რეფერატი უნდა დაწეროს და პედა-გოგთან შესაბამისი კონტრაქტი დადოს — "ფრიადზე" შეასრულებს დავალებას, "კარ-გზე" თუ "დამაკმაყოფილებელზე". თუ ვინიცობაა ბავშვმა კონტრაქტი დაარღვია, ე. ი. მისი რეფერატი არ იმსახურებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნიშანს, თვლიან, რომ მან სიტყვა გატეხა და უწერენ "არადამაკმაყოფილებელს", ასე აჩვევენ მოზარდს სიტუვის ერთგულებას და, ექვი არ მეპარება, იმ მართლაც მეტად თვალსაჩინო წარმატებში, რომლებიც იაპონელებმა ეკონომიკის განვითარებაში მოიპოვეს, არის სკოლის წვლილიც.

ერთი სიტყვით, თუ გვინდა სამშობლოს აღვუზარდოთ ღირსეული მოქალაქე, რომელიც თამამად ასწევს დროის ტვირთს, მოზარდებისათვის ზრუნვა არ უნდა გადავაქციოთ უზომო მეურვეობად, მივცეთ მათ საშუალება თავად გაიკაფონ ცხოვრების გზა, განივითარონ ინიციატივა, გამოავლინონ ნიჭი და უნარი. ნურავის ნუ შეაცდენს ის ფაქტი, რომ მეურვეობით აღზევებული უინიციატივო და უგერგილო, არაკომპეტენტური და პასიური, სიტყვის იოლად გამტეხი თავს ლაღად გრძნობდა და დაფასებაც არ აკლდა. ახლა სხვა დრო დადგა, როცა წინა პლანზე ადამიანის საქმიანი და ზნეობრივი თვისებები გამოდის და სწორედ ამ ღირსებათა გამომუშავება-განვითარებას უნდა მოახმარონ მთელი ძალისხმევა ოქახმაც და სკოლამაც.

დროის ტვირთს მხოლოდ ინიციატივიანი ასწევს!

73860 20090 00375000 672780 53747

I 020904

საქართველოს ამ ძირძველ კუთხეს არაერთი მოგზაური, ისტორიკოსი, მწერალი, საზოგადო თუ სახელმწიფო მოღვაწე სწვევია.

მათ ცნობებში თავმოყრილია აქ ნახულითა და განცდილით მიღებული შთაბეჭდილებანი, ისტორიული და სხვა მასალები, რომლებიც ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან აჭარის შორეულ თუ ახლო წარსულზე.

შევეცდებით მკითხველებს გავაცნოთ მხოლოდ იმ ზოგიერთ უცხოელ ავტორთა ჰასალები, რომლებიც XV საუკუნიდან მოყოლებული, ჩამოვიდნენ აჭარაში.

1472 წლის ზაფხულში გენუელ ვაჭრებთან ერთად ბათუმში ჩამოვიდა იტალიელი ლიპლომატი იოსაფა ბარბარო, ორი წლის შემდეგ კი მისი ამხანაგი, ასევე დი-პლომატი ამბროზიო კონტარინი. პირველის ცნობები ცხადყოფენ, რომ ამ ლროს შავ ზღვაზე ოსმალები ბატონობდნენ, ისინი შესეოდნენ ყირიმსაც. ბათუმში იყ-

ვნენ ევროპელი ვაჭრები, მათ ადგილობრივი გამაგრილებელი სასმელი მიართვეს ქალაში იყო ვერცხლის ფული — ქართული თეთრი.

უფრო საყურადღებოა კონტარინის ცნობები. იგი იუწყება, რომ მეორე ზღვისპირა ქალაქ კალთიხეაში, რომელიც ქაჭეთის ციხის ანუ ციხისძირის დამახინჭებული ფორმაა, ვაჭრობდნენ აბრეშუმითა და სხვა ქსოვილით, სანთლითა და ცვილით. კონტარინი
ჭერ-ჭერობით პირველია, რომელიც გვიდასტურებს, რომ 1474 წელს ოსმალებს აჭარა
უკვე მიეტაცნათ. იგი წერს: "გავიარეთ ახალციხის ხელმწიფის ყვარყვარეს საბრძანებელი და ბათუმის მხარე, რომელიც ოსმალების საზღვარზეა და ხარკს უხდის მათ".

ისტორიული მოვლენების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ პერიოდისათვის მართლაც მიტაცებული ჰქონდათ საქართველოს ეს კუთხე, მაგრამ იმის გამო, რომ ყირიმისა და სხვა მიწებისათვის ბრძოლა გრძელდებოდა, აქარაში საკუთარი ადმინისტრაციისა და რელიგიის დამკვიდრებისათვის ქერ კიდევ არ ეცალათ. პირველ ხანებში ისინი ხარკით დაკმაყოფილდნენ.

როგორც ბარბარო, ისე კონტარინი აჭარა-ახალციხე-თბილისის გავლით სპარსეთში მოხვდნენ. იქედან თბილისში კვლავ აჭარის გავლით ჩავიდნენ. ეს კუთხე ისევ უვნებ-ლად გაიარეს, რაც მოწმობს, რომ უცხოელებს მართლაც პატივით ეპყრობოდნენ.

ფრანგი მისიონერი, იეზუიტების ორდენის წარმომადგენელი ლუი გრანჟე 1614 წლის შემოდგომაზე ეწვია გონიოს, სადაც ევროპელთა და სხვათა ათი სავაჭრო გალერეა დელვამ ნაპირზე გარიყა. მისი ცნობით, მოსახლეობა იძულებული იყო მიელო მუსლიმანობა, რადგან "განიცდიან აუტანელ ტანჭვას იმის გამო, რომ ქრისტიანები არიან". გადასახადები ადგილობრივ მცხოვრებლებს ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევს, ამიტომაც იძულებული ხდებიან დააკმაყოფილონ დამპყრობთა მოთხოვნები და ამით ცოტათი მაინც მოითქვან სულიო. ოსმალები ყველა საშუალებით ამკვიდრებდნენ თავიანთ ადათ-წესებს, რელიგიასა და ენას, ხოლო ყოველივე ქართულს ცეცხლითა და მახეილით სპობდნენ. მაგრამ აქარლებში მაინც ძლიერი იყო ეროვნული სული, საქართველოსადმი სიყვარული, ძალაუფლება ჭერ კიდევ არ დაეკარგათ ადგილობრივ ერისთავებსა და თავად-აზნაურებს. ამიტომაა, რომ გრანჟე შენიშნავს: ბათუმი საქართველოს ნაგსადგურია.

ლაზეთის არქიეპისკოპოსი. ამასთან დაკავშირებით ცნობილი მეცნიერი ექვთიმე თ ა ყ ათ შვი ლი წერდა: ლაზეთის არქიეპისკოპოსის ყოფნა გურიაში მე-17 საუკუნის დასაწყისში ახალი ამბავია. ამგვარი რომ არ იცის საქართველოს ისტორიამ. ამითაც მტკიცდება, რომ მაშინ არა მარტო გონიოს უბანი, სადაც გრანჟე მოხვდა, არამედ მთელი
აქარა მართლაც ოსმალების ხელთ იყო. ისინი აქაც ისე თარეშობდნენ და ამუსლიმანებდნენ აქარლებს, როგორც ლაზებს. ამიტომაც მათმა ეპისკოპოსმა ადგილსამყოფელად ბათუმი, ქობულეთი ან აქარის რომელიმე სხვა ადგილი კი არ ისურვა, არამედ
უფრო დაცული, ხელშეუხები, დაუპყრობელი გურია არჩია. აქ მისი უსაფრთხოება,
ცხადია, უზრუნველყოფილი იყო.

ე. თაყაიშვილი მიუთითებს, რომ თურქები უტევდნენ საქართველოს, რის გამოც ლაზეთის არქიეპისკოპოსს, რა თქმა უნდა, არ შეეძლო დარჩენილიყო თავის სამწყსოში, ამიტომაც გურიაში გადმოვიდა ამალითო.

გრანჟეს ცნობები მეტად მნიშვნელოვანი და დოკუმენტურია, მან ხომ ყოველივე საკუთარი თვალით იხილა. ისინი ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან იმ ტანჭვა-წვალებაზე, რაც ჩვენმა წინაპრებმა გადაიტანეს, რათა განადგურებისაგან გადაერჩინათ მშობლიური ენა, არ დაეკარგათ ქართველობა:

1672 წლის დეკემბერში ჩვენს მიწაზე ფეხი დადგა უფრო ცნობილმა ფრანგმა

დიპლომატმა და მოგზაურმა ჟან შარდენმა. გონიოში თურქმა იანიჩარებმა აწქ 1999 გალეს და კიდეც გაძარცვეს. შარდენმა ციხის უფროსს უთხრა, რომ ამის თაობაზე ევროპაში ვიტყვი და აქ არავინ არ მოვაო. თურქმა მოგზაურს მიახალა: "გონიო ჩემი საკუთრება არ არის, მე აქ მხოლოდ ერთ წელიწადს დავრჩები, ამიტომ არ მაწუხებს ჩემი წასვლის შემდეგ თუ აქ არავინ არ ჩამოვა, ანდა თუ დაინგრევა; მე ვსარგებლობ შემთხვევით და მომავალი არ მაწუხებს". ე. ი. თურქებმა იცოდნენ, რომ ისინი დამპურო-ბლები არიან და ადრე თუ გვიან მათ გარეკავდნენ აქედან, ამიტომაც მხოლოდ განცხრომასა და მიტაცებაზე ფიქრობდნენ, ტანჯავდნენ მოსახლეობას. მიწა საუცხოოა, მდიდარია მოსავლით, მოსახლეობის ზნე-ჩვეულება სამაგალითოა, მაგრამ მომხვდურები აჩანაგებენ ყველაფერს, — წერდა შარდენი. მისივე ცნობით, მოსახლეობის ნაწილი უკვე გაემუსლიმანებინათ, მეტწილად ზღვაოსნობას მისდევდნენ, ყოველწლიურად მარტო გონიოდან, თანაც მხოლოდ სამეგრელოში 60 ფელუგა ტვირთი გადაჰქონდათ.

მალე მოგზაურმა ახალციხე-თბილისი-სპარსეთისაკენ აიღო გეზი. მესამე ღამე გაათია ქრისტიანებითა და მუსლიმანებით დასახლებულ სოფელში. აქ უთხრეს, რომ ციხეები და ეკლესიები უფრო მეტი იყო, ვიდრე ახლა არის, მაგრამ თურქებმა დაანგრიესო. ცხადია, ესაა დღევანღელი ქედის რაიონის ცხმორის-დანდალოს ისტორიული უბანი. ცხმორისის უბანი რომ მდიდარი იყო ამგვარი ნაგებობებით, ცხადყოფს XVIII საუკუნის დასაწყისის მწერალი, ისტორიკოსი, ასტრონომი და აქარის ერისთავთ-ერისთავი ტბელ აბუსერიძე, აგრეთვე სხვა წყაროები. შარდენმა მრავალი ქვეყანა მოიარა, მაგრამ აეარაში ნანახმა, აეარელთა კაცთმოყვარეობამ იგი მაინც განაცვიფრა, აღტაცებაში მოიყვანა. მხოლოდ აქ ვნახე მრგვალი თხილამურები, რომლებითაც თოვლში დაღიან. დიდი რაოდენობით ჰყავთ პირუტყვი, გადასასვლელი (გოდერძის — ი. ბ.) დაფარული ნაძვებით, ჰავა კარგია, საერთოდ ეს მიწა უხვმოსავლიანია. უხვად არის თაფლი, ხორბალი, ღომი. არის ღვინო, ხილი, ღორი და მსხვილფეხა საქონელი. წყლები ყველგან შესანიშნავია, აქ ბევრი სოფელია გაშენებული. ვაზი ხეებს ეხვევა და ისე მაღლა ალის, რომ ხშირად მტევნებს ვერა ჰკრეფენ. როცა გავიარე, სოფლებში რთველი იყო. შესანიშნავი მეჩვენა ყურძენი, ახალი და ძველი ღვინო. ეს სასმელი აქ ისე იაფი ლირს, რომ ზოგ ადგილას სამას გირვანქას ერთ ეკიუდ ყიდიან, რაღგანაც მთელ მოწეულ ღვინოს ვერ ასაღებენ, გლეხები ხშირად ყურძენს არ კრეფენ და ვაზებზე ტოვებენ. ისინი ცხოვრობენ სის ქოხებში, თითოეულ ოკახს ოთხი ან ხუთი ასეთი ქოზი აქვს, ყველაზე დიდი ქოსის შუაში აჩაღებენ ცეცხლს და ირგვლივ შემოუსხდებიან. ქალები ფქვავენ მარცვალს იმ რაოდენობით, რაც საჭიროა გამოსაცხობად. ცომი ცხვება მრგვალ ქვის კეცში, რომლის დიამეტრი ერთი ფუტია, სიღრმე კი ორი-სამი თითი. კეცს ძალიან აცხელებენ, დებენ მასში ცომს და ზედ წააყრიან ცხელ ნაცარსა და ნაღვერდალს. ზოგ ადგილას პურს პირდაპირ ღადარში აცხობენ. ამისათვის კერაში გამოასუფთავებენ ერთ კუთხეს, ჩადებენ იქ ცომს, დაფარავენ გერ ცხელი ნაცრით, შემდეგ კი ნაკვერჩხლით. ასე გამომცხვარი პური გემრიელია. ღვინოს ისევე ინახავენ, როვორც სამეგრელოში (ე. ი. ქვევრში და სარქველს ახურავენ).

— მე ჩვეულებრივად ღამეს ვათევდი იმ გლებთან, რომლისგანაც ცხენს ან მებარგულეებს ვქირაობდი. ჩვენ უხვად გვაძლევდნენ ქათმებს, კვერცხებს, ბოსტნეულს,
ღვინო, პური და ხილი ბლიმად გვქონდა, რადგან თითოეულ მოსახლეს თავის წილად
დიდი დოქით ღვინო, ერთი კალათა ხილი და ერთი კალათა პური მოჰქონდა, ჩემგან
ფულს არ იღებდნენ და ჩემი მეგზურიც არ მაძლევდა ნებას მადლობა რაიმე საჩუქრით გადამეხადა... ღვთის წყალობით მივაღწიე ისეთ ქვეყანას, სადაც სიმშვიდე და საქმელი უხვად მქონდა. დავტოვე ქვეყანა, სადაც ფულზედაც კი არ მაძლევდნენ საქმელს და ჩამოვედი ისეთ კუთხეში, სადაც უსასყიდლოდ მასაზრდოებდნენ.

ამ მთების მცხოვრებლები უმეტესად ქართული წეს-ჩვეულების ქრისტიანები არიულე ან, ცხოვრობენ მუსლიმანებიც. სახის ფერი კარგი აქვთ, მათ შორის ბევრი ძალიან ლამაზი სახის ქალი ვნახე. ისინი ბევრად უკეთესად ცხოვრობენ, ვიდრე მეგრელები და კავკასიის მთის სხვა ხალხი, რომლებიც ოსმალთა ხელქვეით არ იმყოფებიან".

აფხაზეთით, აქარითა და თბილისით მოხიბლული მოგზაური წერდა, რომ საქართველო ნაყოფიერი ქვეყანაა. ცხოვრება აქ კარგად და იაფად შეიძლება. მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არის ისეთი გემრიელი საკვები, როგორიც აქ. ხილი საუცხოოა და მრავალნაირია. ევროპის არც ერთ ადგილას არ მოდის უფრო გემრიელი მსხალი და ვაშლი. საქონელი და ფრინველი დიდი რაოდენობითაა, ბევრია გარეულიც.

ქართველები მთელ აღმოსავლეთში და, შეიძლება ითქვას, მთელ მსოფლიოში საუცხოო ხალხია. აქ არ მინახავს არც ერთი ცუდი სახის ქალი ან კაცი. ანგელოზებივით ლამაზებიც ბევრი შემხვდა. ქალების უმეტესი ნაწილი ბუნებას სიკეკლუცით დაუსაჩუქრებია, შეუძლებელია თვალი მოჰკრათ აქაურ ქალს და არ შეგიყვარდეთ. არ შეიძლება დახატოთ ქართველ ქალებზე უმშვენიერესი, თვალტანადნი, წერწეტნი და კეკლუცნი. ქართველები გამოირჩევიან თავაზიანობით, კაცთმოყვარეობით, დარბაისლობით, თავდაჭერით, გაუტესელობითა და მამაცობით.

გერონტი ქიქოძე ეყრდნობა რა შარდენის ცნობებს იმის თაობაზე, რომ "მთების მცხოვრებლები უმეტესად მართლმადიდებელი ქრისტიანები არიან", შენიშნავს: აქარის მოსახლეობა შარდენის მოწმობით მე-17 საუკუნის 70-იან წლებში კერ კიდევ ქრისტი-ანული იყო. ჭფრო სწორად, კერ კიდევ მთლიანად ვერ გაემუსლიმანებინათ ანუ გაემამადიანებინათ. ეს მხოლოდ მომდევნო საუკუნეში მოხდა, რასაც მხარის აუწერელი დაკნინება-გაჩანაგებაც მოჰყვა, მაგრამ აქარლებმა მაინც არ დაკარგეს კეთილშობილური, ადამიანური თვისებები, არ შეურიგდნენ მომხვდურებს... საამისო უტყუარ ცნობებს გვაწვდის ინგლისის კონსული თურქეთში კიფორდ პალგრევი, რომელმაც 1867, 1869 და 1872 წლებში დაზვერა აქარა და თავის მთავრობას სრულყოფილი ან-გარიში წარუდგინა.

თურქებმა აქარა კაზებად (რაიონებად) დაყვეს და სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებს დაუქვემდებარეს. აქარა დღევანდელი ტერიტორიითა და იმ ნაწილით, რომელიც ახლა თურქეთშია, 6 კაზას შეადგენდა და 83138 მცხოვრებს ითვლიდა. სულთანის ხაზინას ქ. ბათუმის ჩაუთვლელად მილიონ 200 ათას პიასტრს უხდიდა. ბათუმის კაზაში ერთ ოკახზე საშუალოდ 8 კაცი მოდიოდა, მაგრამ ტანკვა-წვალების გამო მოსახლეობა სულ უფრო მცირდებოდა. მოჰყავდათ საუკეთესო ხარისხის ბრინკი, თესდნენ სელსაც. ქალაქში იყო დამპყრობ-არტილერისტთა ორი რაზმი, საბაჟო, ფრანგების მიერ აგებული შუქურა, 50 სავაჭრო, 150 ბაზარი. იყიდებოდა ევროპული, განსაკუთრებით ინგლისური ნაწარმი, მათ შორის ქურქლეული, სასმელები და საათები, აეგოთ ორი მეჩეთი, მაგრამ აქ მხოლოდ თურქი კარისკაცები ასრულებდნენ რელიგიურ რიტუალებს. მაშინ ბათუმში 5 ათასამდე კაცი ცხოვრობდა.

მთელი კუთხე ოსმალების ხელთ იყო, მაგრამ ქალაქში რუსეთი მაინც დიდი გავლენით სარგებლობდა. ამას განაპირობებდა ის, რომ თურქეთს ფლოტი თითქმის არ
ჰყავდა, ამიტომაც ტვირთი ზღვაზე მეტწილად რუსეთის გემებს გადაჰქონდათ. 1867
წელს, მაგალითად, მარტო ბათუმში მოსულა რუსეთის 189 გემი, რომლებსაც 61 ათასი ტონა ტვირთი მოუტანიათ და ამდენივე წაუღიათ. შემოჰქონდათ ქვანახშირი, რკინისა და სხვა ნაწარმი, ხოლო გაჰქონდათ ხე-ტყე, ახალციხიდან გადმოტანილი თბილისური და სხვა საქონელი. ხე-ტყეს, განსაკუთრებით კაკლის მერქანს ეზიდებოდნენ
ფრანგები და ინგლისელებიც. მოწონებით სარგებლობდა აგრეთვე მატყლი, მარცვლეული, დელფინის ზეთი.

პალგრევმა ბათუმს დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა, მაგრამ ისიც განჭვრიტა, რომ სანამ ვითარება არ შეიცვლება, ე. ი. თურქების ბატონობა არ მოისპობა, ასე იქნებაო.

ქობულეთის კაზიდანაც კაკლის ხე ევროპაში გაჰქონდათ, ხოლო ტრაპიზონში — მარცვლეული და თაფლი. მეაბრეშუმეობას აქაც ახლად მოეკიდა ფეხი. ქალაქში დამ-პყრობლებს 400 ასკერი ჰყავდათ, გურიის საზღვარზე კი ათასი. რუსებს მოეყვანათ სატელეფონო ხაზი, მაგრამ ქერ კიდევ არ მოქმედებდა.

მიწა ქობულეთის მიღამოებში აჭარის სხვა კაზებთან შედარებით უფრო ნაყოფიერია, მაგრამ მოსახლეობა მაინც ყველაზე ნაკლებ გადასახადს იხდის. ამას განაპირო-

ბებს ურჩობაო, — ვკითხულობთ ანგარიშში.

მაქახლის ხეობის სოფლებში დიდი რაოდენობით ამზადებდნენ სელსა და შალის ქსოვილს. მისდევდნენ მეაბრეშუმეობას, პარკს ევროპელები იძენდნენ. თესდნენ ბრინჯს, სიმინდს, ბოსტნეულს, განვითარებული იყო მეხილეობა, მეფუტკრეობა, მეცხვარეობა, სკოლა აქაც არ იყო.

გონიოს კაზაში პირუტუვი გამოირჩეოდა პროდუქტიულობით. უპირატესობას ქვის სახლებს აკუთვნებენ. ხარობდა ფორთოხალი და ლიმონი. მოსახლეობა უფრო მეთევ-

ზეობასა და ვაქრობას მისდევდა. იჭერდნენ დელფინებსაც.

ქედის კანაში უფრო მეტი რაოდენობისა და გემრიელი ხილი იყო, ბოსტნეული და მარცვლეული მოჰყავდათ. ყიდდნენ აგრეთვე ყველს, კარაქს, ყურძენს, იარაღს, რომელიც გამძლეობითა და ვერცხლის შემკულობით გამოირჩეოდა.

მოგზაურმა ის სოფლებიც მოიარა, რომლებიც ახლა შუახევ-ხულოს რაიონებში შედიან. აქაურობა, გამოირჩეოდა წიფლის, ნაძვის, ფიჭვისა და სხვა ჭიშის ხეებით. ამიტომაც სახლები მეტწილად მერქნისა დაედგათ. მაგრამ ხე-ტყის გაყიდვა-გაცვლა არ შეეძლოთ. თესდნენ პურს, სიმინდს, ფეტვს, სელს. აქაც ჰყვაოდა ხეხილი. ესეც განაპირობებდა იმას, რომ თაფლი საუცხოო იყო. სხალთის გზა 1867 წელს აჭარის მმართველ შერიფ ხიმშიაშვილის თაოსნობითა და დახმარებით გაეყვანათ, ხოლო ხულოსა-კენ მიმავალი — კეთილმოეწყოთ. მის უნარზე, მოხერხულობასა და პატრიოტიზმზე ინგლისელი კონსული საგანგებოდ ჩერდება.

აჭარის საზღვარი ფოცხოვთან სოფელ დადელაკში გადიოდა, სამხრეთ-დასავლეთით კი რიზეში. მაშასადამე, თურქებმა საზღვარი, რომელიც აქ ადრე საქართველოსა და ბიზანტია-ტრაპიზონის იმპერიას შორის არსებობდა, არ შეცვალეს.

პალგრევი განცვიფრებული დარჩა აჭარელთა შრომისმოყვარეობით, თავისუფლებისადმი მისწრაფებებითა და სილამაზით. ამ მხრივ იგი განსაკუთრებით ზემო რაიონების მცხოვრებლებს გამოჰყოფს:

ბათუმის კაზაშიც ქართველები ცხოვრობენ, ე. ი. აქარლები, ისინი გამოირჩევიან სილამაზით, საქმის სიყვარულითა და ფიზიკური ძლიერებით. ხაზს უსვამს ქედელთა მოუსვენარ, დაუდეგარ ხასიათს, სიამაყის გრძნობას. "ისინი არც თუ ისე ადვილად და-სამორჩილებელნი არიან", ნაწილი კიდევაც შეიარაღებული დაიარება. მუსლიმანობა არც თუ ისე დიდი სნის წინათ ძალით მიაღებინეს მათო.

პალგრევი უცხოელებს შორის აქარაზე ყველაზე მრავალმხრივ და მამხილებელ ცნობებს გვაწვდის. იგი ხელისუფლებისა და ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობას ასე გვისასიათებს: მათ არავინ აკონტროლებდა, უბრალო მოხელესაც სტამბოლ-ში ნიშნავდნენ და ათავისუფლებდნენ. საჩივარი ტრაპიზონს იქით არ აღწევდა. მოხელები მეტწილად თურქები და შემთხვევითი პირები არიან, არაფერს აკეთებენ მოსახლეობის საკეთილდღეოდ. მთავარია ძმაბიქური ურთიერთობის დამყარება უფროსებთან და ფულის მოგროვება, რათა აიშენო აგარაკი ან შეინასო. სალხი თქვენს ხელთაა,

წაგლიჭეთ და იცხოვრეთ, — ქადაგებდნენ უფროსები. წოდებებსა და მაღალ თანამდებობებს სულთანი იძლეოდა. მიიღებდა ის, ვინც მისი ერთგული იყო და ქრთამსაც გაიღებდა.

აჭარის თავად-აზნაურებისა და სხვა წარჩინებულების მამულებს სულთანმა კონფისკაცია უყო, ნაწილი თითქოსდა შეისყიდა, რითაც ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაუფლება გამოაცალა ხელიდან.

პირველ ხანებში ჯარს ადგილებზე ადგენდნენ, მაგრამ შემდეგ უარი თქვეს ამ წესზე, რადგან მოსახლეობა ურჩობდა, მოძალადეთა უღლის გადაგდებისათვის იღვწოდა. ამიტომაც აქარლების მოქმედ არმიაში გაწვევა იწყეს, ამასთან 5-7 წლით და მიჰყავდათ შიდა პროვინციებში, რათა მონად ექციათ.

ყოველ წამოწყებას ათასგვარი წინააღმდეგობა ეღობებოდა წინ. სარწყავი არხის გაყვანა, ხე-ტყის დამუშავება, მშენებლობა რომ მოისურვო, ვერ მიაღწევ, რადგან
ნებართვას უნდა გადაჰყვე, შემდეგ კი გეტყვიან, ფული არააო, ცოტას თუ გამოჰყოფდნენ, იმასაც მოხელეები ითვისებდნენ, რადგან ზოგჭერ მათ ხელფასს არ უხდიდნენ
და არც ამოწმებდნენ, ამასთან დამსჭელი არავინ იყო.. ამიტომაც არაფერი კეთდებოდა,
რაც იყო, ისიც მოიშალა ან ჩაკვდა, მაგალითად, მევენახეობა-მეღვინეობა, მეციტრუსეობა, მხოლოდ ნავებს, ქსოვილსა და თოკებს ამზადებენ. ყველგან გულგრილობა,
უინიციატივობა და უდარდელობა სუფევდა.

გლეხები მიწას იკარით იღებდნენ და ვარდებოდნენ ისეთ მდგომარეობაში, რომელსაც მოგზაური მონობას ადარებს. არსებულ გადასახადებს ემატებოდა არაპირდაპირიც, აგრეთვე ქრთამი, ძალმომრეობა. მაგალითად, მშენებლობაზე უფასოდ ამუშავებდნენ, გლეხს თუ გადასახდელი არ ჰყოფნიდა, უნდა ესესხა, არადა მის ქონებას ნახევარფასად საკაროდ ყიდდნენ. არ ითვალისწინებდნენ მოუსავლიანობას, გვალვასა და
წყალდიდობას. სხვა უბედურ შემთხვევებს. — სულთნის ხაზინას კაპიკს ვერ მოვაკლებთ, არა აქვს ერთს, ორმაგი გამოართვი მეორეს, იყო ბრძანება. ეს კი ნამდვილი
რეკვიზიციაა, — აცხადებს ინგლისელი დიპლომატი, — სხვაგვარად შეუძლებელია, რადგან სულთნის ხელისუფლება არასრულყოფილია, იგი მოშლილი და მოკლებულია
ჰუმანურობასა და პატიოსნებას, რაც ესოდენ საჭიროა წინსვლისათვისო.

სასამართლოს ავტორიტეტის აღდგენის მიზნით, მასში მოსახლეობის წარმომადგენლები შეუყვანიათ, მაგრამ მათ თვითონვე ამტკიცებდნენ და თუ ირჩევდნენ, — მეტწილად გადაგვარებულებს. "ყოველივე ეს სუფთა მოტყუებაა, რასაც ყველა აღიარებს", მშართველებად თუ მოხელეებად ადგილობრივები უნდა იყვნენ, რადგან ისინი იცნობენ ქვეყანას, ხალხის შვილები არიან და დაინტერესებული იქნებიან მისი ბედით, — ნათქვამია აქვე.

კუთხის ეკონომიკის გაჩანაგებას განაპირობებდა ისიც, რომ გლეხს არაფერი რჩებოდა გასაყიდად, თუმცა გაყიდვა-გატანაც არ შეეძლო. ამიტომაც იგი მოსავლიანობის გადიდებით დაინტერესებული არ იყო. თევზს იმდენს იჭერდა, რამდენიც მას ჰყოფნიდა. მოსახლეობას ბოჭავდა აგრეთვე ბაჟი, სესხის გამცემი ბანკისა და სხვა ხელშემწყობი პირობების არარსებობა. ამის გამო სავარგულები ტყეებმა და ჭაობებმა დაფარა, სარწყავი არხები დაიშალა.

— მე დარწმუნებული ვარ, ეს ქვეყანა 4-6-ქერ მეტ ადამიანს გამოკვებავს, ვიდრე ახლა. ამის თავდებია წყაროები, ნოყიერი მიწა, მოსახლეობის შრომისმოყვარეობა, მატერიალური კულტურის უამრავი ძეგლები. მაგრამ თურქების მრავალსაუკუნოვანმა ბატონობამ, რომლის დევიზია "წაიღე, არაფერი დატოვო, არავის არაფერი მისცე", ყველაფერი თავდაყირა დააყენა, აყვავებული მხარე სრულ გაჩანაგებამდე მიიყვანა, — აცხადებს პალგრევი.

ამ სისაძაგლის მიზეზი ეროვნულ-პოლიტიკურია, აჭარა მოწყვეტილია დედა-სამშობლოს, იგი მომხვდურთა კოლონიაა, სადაც ჩაგვრის ახალი ფორმებისა და მეთოდების, ისლამის მეტი არაფერი შემოაქვთ, გააქვთ კი, რაც შეიძლება.

აჭარა გეოგრაფიულად ერთი ქვეყანაა, აქ ქართველები ცხოვრობენ, ქართულადვე ლაპარაკობენ, უყვართ მშობლიური მიწა და დროებითაც არ სცილდებიან მას, საშო-ვარზე ან რაიმე უბედურების გამო თუ მიდიან სხვაგან, მეზობელ ხალხებს შორის ისინი უფრო სწრაფად ითვისებენ ცივილიზაციასო.

აი ასეთი დამაფიქრებელი, გულში ჩამოწვდომია კ. პალგრევის ცნობები ამ ძველი

ქართული მიწის, მის მკვიდრთა შესახებ.

ასევე ყურადსაღებია ფრანგი ორიენტალისტის ჟან მურიეს წიგნი "ბათუმი და ჭოროხის აუზი". იგი უცხოელთაგან ერთ-ერთი პირველია, რომელიც რუსეთის იმპერიასთან შეერთებულ აჭარას ეწვია (1878 წ.).

მურიე ისტორიული წყაროების კარგ ცოდნას ამჟღავნებს, ამასთან ასევე პროგრესულადაა განწყობილი. საქართველოს მეფე ფარნავაზის დროს ამ კუთხეში დამკვიდრდა სახელწოდებები, რომლებმაც მცირე ცვლილებით ჩვენამდე მოაღწიეს, მეფე ვახტანგ გორგასალმა მე-5 საუკუნეში ეს მხარე ისევ საქართველოს დაუბრუნა, მე-9 საუკუნიდან ქვემო ქართლში შედიოდაო. აქ ბევრია თამარ მეფის დროინდელი თალოვანი ხიდები, ეკლესია-ტაძრები, ციხეები და სხვა ნაგებობანი, მათი ნანგრევები, რომლებიც არა მარტო მოსახლეობის მტკიცე ქრისტიანულ რწმენაზე, არამედ დიდებულ წარსულზეც ღაღადებსო. ბათუმის მახლობლად, სოფელ სამებაში, დაათვალიერა ეკლესიის ნაშთი. აქ უნახავს მარმარილოს ფილა, რომელზეც ეწერა: "უფალო განუსვენე
თამარის სულს".

თეთროსნის (ხუცუბნის) ეკლესიის სასწაულმოქმედი ხატი გურიის ერთ მონასტერში წაულიათ, ხოლო სხვა ისტორიული ნივთები, განსაკუთრებით დღევანდელი ხულოს რაიონის სხალთის ტაძრისა, თურქებსა და სხვებს მიუთვისებიათ. ამ ტაძარს აღტაცებაში მოუყვანია მურიე. კარ-ფანკრების ჩარჩოები, სვეტები და ჩუქურთმები გასაოცარი ოსტატობით არის შესრულებული, ინტერიერი მხატვრულად გაფორმებულია,
ხუცური წარწერებითაა დამშვენებული, — წერდა იგი.

თურქები აქარაში რამდენიმე საუკუნეს ძალით ნერგავდნენ ისლამს, თავიანთ ენას, ზნე-ჩვეულებებს, მაგრამ ხიმშიაშვილების გვარის შვილთა წყალობით აქარლებში ვერ ჩაკლეს ქართული სული. მათ ვაუკაცურად აღუდგა წინ სელიმ ხიმშიაშვილი, რის გამოც მის სამფლობელოს შემოესივნენ და სახელოვან მამულიშვილს 1815 წელს თავი მოჰკვეთესო. მისი შვილის შერიფის შესახებ ამბობს: იგი დიდად დაეხმარა რუსეთს 1877-1878 წლების ომის დროს. ბეგების კავშირის დარღვევა შესძლო და ამრიგად გაუადვილა მას აქარის განთავისუფლება.

მურიეს წიგნი საინტერესო მასალებს შეიცავს მოსახლეობის ხასიათებსა და საქმიანობის მხრივაც. ისიც სამართლიანად აქარლებს მხარის ძველ მობინადრეებად მიიჩნევს., საუკეთესო მიწათმოქმედეებად და მესაქონლეებად ითვლებიანო, ამზადებენხე-ტყეს, მისდევენ ხელოსნობას. მათი გაკეთებული თოფები და ცივი იარაღი საუკეთესო რეპუტაციით სარგებლობს. "აქარლები იარაღის კარგი ოსტატები არიან, მათ იციან ევროპული რთული სისტემის თოფების შეკეთებაც. აქარელი კოხტა, მკვირცხლი
და შთამბეჭდავია. შუა ტანისაა, მხარბეჭიანი, კუნთმაგარი, თხელი ტუჩებით, სშირი
წვერითა და გამოშვებული გრძელი ულვაშით. გამოხედვა ამაყი აქვს, მოძრაობაში
ცქვიტია, დადის თამამად და ვაჟკაცურად. შესანიშნავი ქვეითია, შეუსვენებლივ 60
ვერსს გაივლის. ყოველთვის მზადაა თავდაცვა-თავდასხმისათვის და უმცირეს შეურაც-

ხყოფასაც არ ტოვებს უპასუხოდ. შურისძიება აქარელისათვის ბუნებრივი სამართალია".

თავზე იხურავდნენ მოყავისფრო ყაბალახს. ეცვათ მოყვითალო-მოყავისფრო ან ნაცრისფერი მაუდის ქულაგა, შიგნით — ღია ფერის ახალუხი, რომელიც წითელი თა-სმით იკვრება. შარვალი წვივთან და კოქთან ვიწროვდება და დაწნული ღვედითაა დამ-შვენებული. მას ღია ფერის ქამარი ფარავდა. ფეხზე შალის წინდები და ტყავის წულე-ბი ეცვა. თოფი მხრებზე გაედო, დამბაჩასა და ხანგალს კი წელში ირჭობდა.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ისლამის დოგმების ქადაგებისა, ქალები ჩადრს მაინც არ ატარებდნენ, მხოლოდ უცნობთან სახეს იფარავდნენ თავსაბურით, პატარ-ძალს ცეკვა-სიმღერით, სტვირით, ჩონგურითა და გიტარით მიაცილებდნენ, ისროდნენ თოფებს. მზითვად მოძრავ ქონებას, მათ შორის ლოგინსა და ტანსაცმელს ატანდნენ.

საცხოვრებელ სახლებს კრამიტით ხურავდნენ, მეორე სართულის საუკეთესო ოთახი სუფთა ქვეშაგებით სტუმარს ეკუთვნოდა. სახლებს ამშვენებდა ლავგარდანი, სამკაულები, ორნამენტირებული ბუხარი, ხოლო გარედან ბარელიეფები, დარაბებიანი ფანქრები, ფაქიზი ჩუქურთმა შიგა თუ გარე კედლებსა და ჭერსაც ამშვენებდა. წუალი ახლოს ჩამოდიოდა. ირგვლივ გაეშენებინათ ხეხილი, ვაზი, მოეწყოთ ბოსტანი. ქვევრის ზედაპირს ფარავდნენ მდოგვის ფაფით.

სიმინდის ტაროებს შორს ყანებში ტოვებდნენ და საჭიროებისას გადმოჰქონდათ, მაგრამ პატრონის გარდა მას ხელს არავინ ახლებდა, რადგან მიწის ნაყოფის ქურდობა აჭარლებისათვის წარმოუდგენელიაო.

1884 წელს ბათუმიდან გაუტანიათ 300 ათასი ქილა სიმინდი, 18 ათასი ოყა ბრინჭი, 10 ათასი ოყა თაფლი, 500 ოყა ცვილი, აგრეთვე თევზი, საშენი სე-ტყე და სხვა.

ჟ. მურიეს ცნობები ოდნავადაც არაა გაზვიადებული, პირიქით უფრო მოკრძალებულია, რაშიც დაგვეთანხმება ყველა ის, ვინც იცნობს დიმიტრი ბაქრაძის, სერგეი
მესხის, ზაქარია ჭიჭინაძის, თედო სახოკიას, გიორგი ყაზბეგის, გიორგი წერეთლის,
აპოლონ წულაძის, პეტრე უმიკაშვილის, ლუკა ისარლიშვილის, ალექსანდრე ფრენკელის, პრასკოვია უვაროვას, ივანე კანევსკისა და ბევრ სხვათა წიგნებს აჭარასა და აჭარლებზე.



neesenmesses

3366368 363202020360

636N-33900m360m360

პატარაა რატი, მეოთხე წელში გადადგა მხოლოდ, მაგრამ ნამდვილ დევგმირივით ღააბოტებს. ისე ადგამს თავის ნაკეცებიან ფეხებს, დადექი და უცქირე...

რა მკითხეთ? ლამაზი ბიჭუნა თუ არისო?

კაცს სილამაზე რად უნდა, თქვე კაი ხალხო. ყველაზე დიდი სილამაზე ვაჟკაცური გარეგნობაა. ხომ მართალს ვამბობ?

ხუჭუჭაა და დიდთვალება რატი, ცხვირი ოდნავ მოღუნული აქვს.

რომ გაიზრდება, არწივივით ექნება.

ნამღვილ ვაჟკაცს ცხვირი არწივივით უნდა ჰქონდეს, აბა?!

დიდი ცნობისმოყვარეცაა. ყველაფერი აინტერესებს, ყვე-ლა-ფერი! თოჯინებს ვერ იტანს. ეს არცაა გასაკვირი. რა ბიჭის საქმეა თოჯი-ნებით თამაში. სამაგიეროდ ავტომობილებზე, ტანკებზე, თვითმფრინავებზე და ბულდოზერებზე გიჟ-დე-ბა. ერთხანს უყურებს, როგორ დაღოღავენ მის ირგვლივ ეს სათამაშო მანქანები, მერე აიღებს და დაშლის. აინტე-რესებს, როგორაა შიგნით მოწყობილი.

ღაშლა, გაგიხარიათ, ეხერხება რატის, მაგრამ აწყობა...

ვერაფრით გაუგია ბიჭუნას, დაშლას რომ ახერხებს, თანაც ასე იოლად, რატომ ვეღარ აწყობს?

ჰოდა, წვალობს, წვალობს... მერე გაბრაზებით მიმოისვრის იმ ნაწი-

ლებს.

აი, ასეთი ბიჭუნაა ლატი.

უი, ეს რა წამომცდაა!.. არ გამცეთ, თორემ თვალიდან ამომიგდებს. სასტიკად ვერ იტანს, ენამოჩლექით რომ მიმართავენ. იმიტომ, რომ უკვე მთელი თვეა გამართულად ამბობს:

— მე რატი მქვია!

კიდევ რა არ უყვარს?

რა და, ხელში რომ აჰყავთ და წამდაუწუმ კოცნიან. არადა, ისეთი ლოყები აქვს მამაძაღლს, კოცნე და კოცნე. რაც მეტს კოცნი, უფრო მეტი გინდა, კაცოო!

ბოლო დროს სულ შეიცვალა ხასიათი. თუ რაიმეთი გართულია, შეიძლება ერთი-ორჯერ შეაპარო კოცნა. სამჯერაც, ჰა! მერე უცებ მოვა გონზე და ისეთს დაგჭყივლებს, ისეთს... მუშტებს შეკრავს, დაიპაგრება, ერთს გააკანკალებს და ისეთს დაგჭყივლებს, შიშისაგან გაგცრის ტანში.—

არა, უზრდელი არ არის რატი... არ უყვარს ეს მომაბეზრებელი ალერსი და რა ქნას. არადა, ვინც დაინახავს, საკოცნელად მიიწევს მისკენ.

მხოლოდ ერთის ალერსზე არ ბრაზდება. ბრაზდება კი არა, გაიტრუნება, გაინაბება, სახეზე ბედნიერი ღიმილი გადაეფინება.

მიხვდით, ვინ არის ის ერთაღერთი?

სწორეა! რატის დედიკოა. ბიჭუნა დედა ნატოს ეძახის.

ვიცი, გაიკვირვებთ ახლა, დედას სახელით ვინ მიმართავსო. მთელს ქვეყანაზე დედას დედას ეძახიან, ეს კი დედა ნატოსაო?! გაიკვირვებთ და მართალიც იქნებით... მაგრამ, მამიდა ნატოც რომ ჰყავს რატის, რა ქნას?

მეხუთე კლასში სწავლობს მამიდა ნატო. დიდიცა და პატარაც ნატოს ეძახის. მხოლოდ ნატოს. რატისაც სურს ასე დაუძახოს, მაგრამ ნატოს რომ არ უნდა?! როგორ მიბედავო, უწყრება, მე ხომ შენი მამიდა ვარო. თანაც ისეთი ავია, ისეთი, ი-სე-თი!.. ერთადერთი, ვისიც ეშინია ბიჭუნას, ეს მამიდა ნატოა.

მამიკოს თენგო ჰქვია, მაგრამ მამა თენგოს კი არ ეძახის რატი. იმიტომ რომ ძია თენგო — დედიკოს ძამიკო, არ ამბობს, ძია დამიძახეო. მართალი გითხრათ, არ ამბობს კი არა, ვერ ამბობს, ჯერ ლაპარაკი არ

შეუძლია და იმიტომ. აღუ-აღუს იმახის აკვანში.

ეს რაღა მოიგონაო, იტყვით, ორი ნატოო, ორი თენგოო. ან ვის უნახავს ძია აკვანში იწვესო, თანაც აღუ-აღუს იძახდესო. იტყვით და კარგადაც იცინებთ. იცინებთ და იკისკისებთ თქვენებურად...

რა ჩემი ბრალია, თქვე ეშმაკებო, ასეა ეს ამბავი და...

ჰოდა, იმას ვამბობდი... რას ვამბობდი? არ დამავიწყდა, კაცო? ეეჰ, ვბერდები, ალბათ. ჰო, გამახსენდა, რატი დედა ნატოს ხელებში გაიბადრება, გაიტრუნება, თვალებს მილულავს და ხელით საკინძეს მოძებნის.

არა, ძუძუს წოვას კარგა ხანია გადაეჩვია რატი. ცოტა კი გაჭირვე-

ბია თურმე. ორი წლის ყოფილა მაშინ...

დედა ნატო იტყვის ხანდახან:

— მრცხვენოდა, ქალო, ამხელა ბიჭი რომ ძუძუს მომთხოვდაო. ძლივს გადავაჩვიეო...

რატის არ ახსოვს, როდის წოვდა და როდის გადაეჩვია. უნდა გაიხსენოს, ძალიან-ძალიან უნდა, მაგრამ არაფერი გამოდის.

აი, სიზმარში კი ხედავს. თანაც ისე ხშირად, ისე ცხადად!..

ჰოდა, წევს რატი და აცმაცუნებს ტუჩებს. სახეზე ბეღნიერი ღიმილი აქვს გადაშლილი. დედა ნატო დაინახავს და კისკისი აუვარდება. რა სა-საცილოდ აცმაცუნებს ტუჩებსო, ამბობს და იცინის. მერე ნაღველი ჩაუ-დგება თვალებში რატომღაც. ნიკაპი აუთრთოლდება. დაიზრება და ფრთზი-

ლად აკოცებს შვილს. ბებო ეტყვის, შენც კარგი ბავშვი ხარო.

არა, განა ენანებოდა დედა ნატოს ძუძუს წოვება, ექიმებმა ურჩიეს ლერებების ეყოფაო, ახლა საკმარისიაო. რაღა ექნა?

ექიმებს უნდა გავუგონოთ დიდებმაც და პატარებმაც. ასეა საჭირო.

ბებო კი ამბობს, ღიღხანს რომ წოვა მუძუ, იმიტომაა რატი ასე ჯანმრთელი და ღონიერი ბიჭიო. დედის რძეზე მარგებელი და მადლიანი ქვეყანაზე არაფერიაო. ყოველთვის კი არ დაეჯერება მაგ ექიმებსაო. ძუძუში რძე თუ გაქვს დედას, რატომ არ უნდა აჭამო შვილსო.

რომ ჩავუფიქრდები, რატის ბებოც მართალია. დედას რძე გქონდეს

მკერდში და შვილს არ აჭამო, საქმეა მაგი?

დელის მკლავებში მშვიდად ჩაძინებულ შვილიშვილს რომ დაინახავს ბებო, სიყვარულით სავსე თვალებით მოეფერება ორივეს. ზის, უცქერის და ეფერება. მერე თანდათან ჩაუფიქრდება თვალები და მთელი ტანით დაირწევა აქეთ-იქით. თავის ახალგაზრდობაში გადასახლდება... ჩუმად ღიღინებს და ირწევა ბებო. ხელებიც ისე აქვს დაწყობილი მუხლებზე, გეგონება, ჩვილი უჭირავსო. ბებოსაც ჩვილი უჭირავს და უნანავებსო. არადა, ასეა მართლაც... მკერდში ფუნჩულა ხელების ფათურს იგრძნობს და ტანი დაუთბება. ჯერ პირველი შვილის, მერე მეორესი, მესამესი, მეოთ-ხესი... ცხრა შვილის ფუნჩულა ხელების ალერსი რომ გაურბენს მკერდ-ში, ცხრა შვილის, ხალსოო, წარმოიდგინეთ, როგორ დაუთბება ტანი!..

იმიტომაცაა, მრავალშვილიანი დედები ასე ტანღამთბარნი და გულ-

დამთბარნი რომ დადიან!

ყველას თავისი დედა ნუ მოუშალოს დმერთმაო, თვალებდანამული დაილოცება ბებო და სამზადში გავა. საქმეები იმდენი აქვს, იმდენი, იმ-დენი... ყველაზე მეტი საქმე ოჯახში ბებიკოებს აქვთ თურმე.


ერთხელ დედა ნატოს სტუმარი ეწვია. ახალგაზრდა ქალი იყო. დედა ნატომ თქვა, ჩემი თანაკურსელიაო. რატიმ რომ შეხედა, მაშინვე გაიფიქრა: "აუ, რა ლამაზიააა!.." კარგად რომ შეათვალიერა, დაუმატა: "ჩემი დედიკო მაინც ჯობია!" სტუმარმა გაუღიმა და თავზე ხელი გადაუსვა.

ახლა ამიყვანს და მაკოცებსო, გაიფიქრა რატიმ და გაიტრუნა. ეს დეიდა თუ მოეფერებოდა და აკოცებდა, არ გაბრაზდებოდა რატი. მაგრამ სტუმარს თავისი შვილი ეჭირა ხელში, იმას ეფერებოდა და კოცნიდა დროდადრო. გოგონა იყო. წითელი-წითელი კაბა ეცვა, აქა-იქ თეთრპეპ-ლებიანი. რატის ტოლი იქნებოდა — არ იქნებოდა.

ბიჭუნამ ერთხანს უტრიალა ირგელივ, თან შუბლსქვეშიდან უბღვერდა გოგონას.

- ე შენი რატია? ჰკითხა დეიდას.
- კი, ჩემია.
- მე ლუშუდანი მქვია, უთხრა გოგონამ, კიდევ, ლუშიკო. შენ?

- _ რატი.
- კიდევ?
- კიღევ... რატი.



OMM35TED

e reminimens

რატიმ თავი დახარა. უცებ შეშურდა ამ გოგონასი. ვითომ რითაა ახ-ლა ჩემზე უკეთესიო, გაიფიქრა, ორი სახელი რომ აქვსო... მე კი მხო-ლოდ ერთიო.

მალტო ლატი? — გაიმეორა შეკითხვა რუსუდანმა და რუსიკომ.
 ბიჭუნამ თავი დაუქნია.

გოგონა დედის კალთიდან ჩამოცურდა და რატის წინ გაჩერდა.

- მე ამდენი წლისა ვარ, თითები გაჩაჩხა.
- 608069
- კი. ხომ დიდი ვარ?
- მე უფრო დიდი ვარ, მეოთხეში გადავდექი.
- მეოთხეში უფრო დიდია?
- 30.
- არა. შამი უფრო დიდია.
- მეოთხეში ამდენია, რატიმ თითები გაჩაჩხა, სამი კიდევ ამდენი.

გოგონა ჩაფიქრდა.

- მეც შენხელა რომ გავიზლდები, ხომ გადავდგები მეოთხეში?
- 30.

ხელიხელჩაკიდებული გავიდნენ ეზოში.

- იცი, ლატი, შენს ღედიკოს, ვკითხოთ, იქნებ გაქვს მეორე სახელი? რატიმ თავი გააქნია და კვლავ მოეღრუბლა სახე.
- ალ იტილო, ლატი. მე მოვიფიქლებ. აი, ნახავ.
- _ მართლა?
- კი. მე ისეთი ეშმაკი ვაარ!.. დედიკო ღელის ჭინკას მეძახის, ბებო — ჯოჯოხეთის მაშხალას, მამიკო კიდევ — ტლიკინას. ყველაფერი ერთად თურმე ჭკუის კოლოფს ნიშნავს. ჰოდა, მოვიფიქრებ. იმიტომ რომ ჩემი მოუფიქრებელი არაფერია ქვეყანაზე.

რუსუღანი და რუსიკო ძელსკამზე ჩამოჯდა, იდაყვებით მუხლებს და-

ეყრდნო, სახე ხელისგულებში ჩამალა და ჩაფიქრდა.

რამღენიმე წამს იჯდა ასე. მერე უცებ წამოხტა და სირბილს მოჰყვა. ღახტოდა და თან ყვიროდა:

_ მო-ვი-ფიქ-რე, მო-ვი-ფიქ-რე!..

რატიც აჰყვა. დახტოდა და იცინოდა ისიც. უცებ შეჩერდა.

— რა მოიფიქრე?

nemerace male and a second a second and a second a second and a second a second and a second and a second and a second and a second and

- ახლა შენც ამდენი გქვია, რუსუდანმა თითები გაჩაჩხა.
- ორი?
- 3m.
- _ ვაშაა! შეჰყვირა და ისევ დაუარა.
- ვაშაა! ყვიროდა რუსუდანიც.

რატი დადგა.

- _ რა მქვია? შეეკითხა.
- ეს ლატი, ხომ? გოგონამ ჯერ ერთი თითი ასწია...
- 30.
- ესეც... ახლა მეორე ასწია, მალტოლატი. გაიგე? რატიმ მხრები აიჩეჩა.
- ველ მიხვდი? ეს თითი ლატი. ეს კიდევ მალტოლატი. ლამდენია?
 - ორი. ვაშაა! ახლა მეც ორი სახელი მაქვს!...

მთელი დღე თამაშობდნენ ერთად.

საღამოს სტუმარმა დეიდამ დაუმახა რუსუდანს, ახლა დროა, შინ. უნდა წავიდეთო.

- კიდევ ხომ მოხვალ? ჰკითხა რატიმ.
- მოვალ, უპასუხა გოგონამ.
- როდის?
- გუშინ.
- კარგი.
- მერე რატიმ გვერდზე გაიხმო რუსუღანი და ჩასჩურჩულა.
- რაღაც უნდა გითხრა.
- რუსუდანს ცნობისმოყვარეობისაგან თვალები გაუფართოვდა.
- 6s?
- იცი, მოდი ნურავის ვეტყვით, რომ მე მეორე სახელიც მქვია, კარგი?
 - მალტოლატი?
 - 3m.
 - კარგი.
 - მარტო მე და შენ ვიცოდეთ, ჰო?
 - in.

და დიდ მეისაიდუმლეებად დაშორდნენ ერთმანეთს.

ეს უცნაური ამბავი დღესაც არავინ იცის, ჩემო პატარა მეგობრებო, რასაკვირველია, რატისა და რუსუდანის გარდა.

ისინი კი, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, განა ისეთები არიან, ვინმეს გაანდონ თავიანთი საიღუმლო?!



3360 06 033330

3M360L 0730M3

ბათუმის ილია ქავქავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართა
შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატის პოეტ ფრიდონ ხალვაშის დაბადების 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა. იგი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატმა, პარტიის აქარის საოლქო კომიტეტის
პირველმა მდივანმა გურამ ემირიძემ.

მადლიერი ხალხი,—თქვა ამხ. გ. ემირიძემ, — ყოველთვის ღირსეულ პატივს მიაგებს სახელოვან შვილებს. დღეს საქართველოს ძირძველი მხარე აჭარა ზეიმით უხდის იუბილეს ცნობილ ქართველ პოეტსა და საზოგადო მოლვაწეს ფრიდონ ხალვაშს.

უთუოდ დიდია მისი დამსახურება აგარაში მშობლიური ქართული მწერლობის გამოცოცხლებასა და აღორძინებაში. ფრიდონ ხალვაშის შემოქმედება პოეტისა და მამულიშვილის დიალოგია ერთ რთულ, წინააღმდეგობებით აღსავსე ისტორიასთან, მის წარსულსა, აწმყოსა და მომავალთან. მასში
ასახულია სამხრეთ საქართველოს, აჭარის ისტორია, ქართული ენის სადიდებელი, ახდენილი ოცნებით გაცისკროვნებული დღევანდელობა, შორეული თვალსაწიერიდან ღანახული ბედნიერი მომავალი.

აქარის ასსრ უმაღლესი საბქოს პრეზიდიუმის თავმჭდომარემ დავით დიასამიძემ გამოაქვეუნა სსრ კავშირის უმაღლესი საბქოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ფრიდონ ხალვაშის ხალხთა მეგობრობის ორდენით დაჭილდოების შესახებ, იუბილარს გადასცა მაღალი ჭილდო,
აგრეთვე პარტიის აქარის საოლქო კომიტეტის, აქარის ასსრ უმაღლესი საბ-

ჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს ადრესი.

მოხსენებით ფრიდონ სალვაშის შემოქმედებაზე გამოვიდა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, გამომცემლობა "საბჭოთა აქარის" დირექტორი აზიზ ახვლედიანი.

იუბილარს მიესალმნენ საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმკდომარე გიორგი ციციშვილი, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, სოციალისტური შრომის გმირი, პოეტი მიხეილ დუდინი, სოციალისტური შრომის გმირი, ქალაქ ბათუმის საპატიო მოქალაქე პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე, რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი მწერალი რევაზ გაფარიძე, სომეხი კრიტიკოსი და მწერალი პროფესორი ლევან მკრტიჩიანი, აფხაზეთის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი გენო კალანდია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი დავით ხახუტაიშვილი, მწერალი ილია რურუა, სამხრეთ ოსეთის მწერალთა წარმომადგენელი პოეტი და მეცნიერი ნაფი კუსოითი, ქუთაისის მწერალთა ორგანიზაციის პასუსისმგებელი მდივანი მწერალი დავით კვიცარიძე, გამომცემლობა "საბჭოთა საქართველოს" დირექტორი, მწერალი გურამ ფანჯიკიძე, პოეტები ჯემალ ქათამაძე, ლადო სულაბერიძე, ცისანა ანთაძე, ზურაბ გორგილაძე, საქართველოს კომპარტიის ქედის რაიკომის პირველი მდივანი მიხეილ მახარაძე, აქარის ასსრ კულტურის მინისტრი ბიძინა მახარაძე.

შემდეგ შეკრებილთ მადლობა გადაუხადა იუბილარმა. უემოქმედისათვის, აღნიშნა ფ. ხალვაშმა, — არ არის იმაზე უფრო საპატიო მისია, ვიდრე მშობლიური ქვეყნის, მშრომელი ხალხის სამსახურია. სწორედ ამიტომ დავუკავშირე ჩემი შემოქმედება ამ კეთილშობილურ საქმეს.

დასასრულ გაიმართა კონცერტი.

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ 3MᲔᲛᲔᲒᲗᲐᲜ

ოლადაურის სასოფლო ბიბლიოთეკის შკითხველებმა შეხვედრა მოუწყვეს პოეტებს ფრიდონ ხალვაშს და ზურაბ გორგილაძეს.

შეხვედრა გახსნა ოლადაურის სასოფლო ბიბლიოთეკის გამგემ ნაზი მაკარაძემ.

მოხსენებით გამოვიდა ოლადაურის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი შოთა მიქელაძე.

სტუმრებს მიესალმნენ შრომის ვეტერანი რეზო მაკარაძე, პედაგოგი ოთარ მაკარაძე, პარტიის შუახევის რაიკომის მეორე მდივანი ალექსანდრე გიბლაძე.

ბიბლიოთეკის ნორჩმა მკითხველებმა ია, თამარ, ციალა მაკარაძეებმა, ირმა, რუსულან ფუტკარაძეებმა, დალი დავითაძემ წაიკითხეს ლექსები.

ფრილონ ხალვაშმა და ზურაბ გორგილაძემ მადლობა გადაიხადეს გულთბილი შეხვედრისათვის და წაიკითხეს ახალი ლექსები.

ოლადაურის საშუალო სკოლისა და სასოფლო კულტურის სახლის ძალებით გაიმართა კონცერტი.

20t 20t 20t

წიგნის მოყვარულთა შუახევის რაიონულმა ორგანიზაციამ, რაიონის ცენტრალურ საბავშვო ბიბლიოთეკასთან ერთალ შეხვედრა მოუწყო პოეტ ცისანა ანთაძეს.

შესავალი სიტყვით გამოვიდა ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორი მ. თურმანიძე. ცისანა ანთაძის პოეზიაზე ისაუბრა გაზეთ "დროშის" რედაქტლების რის მოადგილემ ზ. ზოიძემ. სიტყვით გამოვიდნენ პედაგოგები ზ. დავითაძე, ნ. დუმბაძე, ბიბლიოთეკარი ზ. კეჟერაძე, მოსწავლეები მ. მაკარაძე, მ. დავითაძე, წიგნის მოყვარულთა ორგანიზაციის პასუხისმგებელი მდივანი ც. ბერიძე, მოსწავლემ მ. ზოიძემ წაიკითხა პოეტის ლექსები. პოეტს მიესალმა აგრეთვე კულტურის განყოფილების გამგე ვ. ხიმშიაშვილი, შესრულდა პოეტის ლექსებზე დაწერილი სიმდერები.

დასასრულ ცისანა ანთაძემ მადლობა გადაიხადა გულითადი შეხვედრისათვის და წაიკითხა ახალი ლექსები.

ბათუმის შემოქმედებითი ინტელიგენციის საზოგადოებრივ-კულტურულმა კლუბმა "თვალსაზრისი" და მბატვრის სახლმა მოაწყვეს რეტროსპექტული გამოფენა "ბათუმი ძველი ქალაქის
ყოფა". იგი შედგება მხატვრების ნინო
ნიჟარაძის, თენგიზ ღლონტის, აკაკი ძნელაძის, ბიძინა აფხაზავას, ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო
კვლევითი ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომლის ირაკლი ჩავლეიშვილისა და სხვათა პირადი კოლექციებისაგან.

მხატვრის სახლის ერთ ოთახში წარმოდგენილ ძველი ბათუმის ყოფის ამსახველ ანტიკვარულ საგნებს კარგად
შეეხამა ანთებული სანთლების შუქზე
ბათუმის სამუსიკო სასწავლებლის კამერული გუნდის კონცერტი (გუნდის ხელმძღვანელი და დირიჟორი დავით ბერიძე, ვოკალისტ-კონსულტანტი — აქარის ასსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი მურმან მახარაძე), შესრულდა ქართველ , დასავლეთევროპელ
კომპოზიტორთა ნაწარმოებები.

კონცერტი მიჰყავდა მუსიკისმცოდნე რუსუდან გელავას.

മനകാൗയ ഉന്നുവയാ

ნორილსკში გაიხსნა აქარის მხატვართა ნამუშევრების გამოფენა, რომელშიც ასახულია ჩვენი კუთხის წარსული და დღევანდელობა, მისი ლამაზი ბუნება და მშრომელი ადამიანები.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ფერწერული, გრაფიკული, დეკორატიულგამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებები.

ჩრდილოეთის ქალაქის სახვითი ხელოვნების მოყვარულთა ყურადღება მიიპყრო საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრების შ. ხოლუაშვილის,
ნ. იაკოვენკოს, შ. ზამთარაძის, ა. ფილიპოვის, ხ. ინაიშვილის, აქარის ასსრ
დამსახურებული მხატვრების დ. ინაიშვილის, შ. კვერნაძის, ი. მარტინოვის,
ზ. ხაბაძის ტილოებმა.

როგორც ნორილსკის სამხატვრო გალერეის დირექტორმა ლ. შევეროვამ აღნიშნა, გამოფენას დიდი წარმატება ხვდა, რაზეც ნათლად მეტყველებს ჩანაწერები შთაბეჭდილებათა წიგნში.

გამოფენა გაცვლითი ხასიათისაა. წლის ბოლოს დაგეგმილია ნორილსკელ მხატვართა გამოფენა ბათუმში.

ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲐᲓ ᲛᲘᲣᲚᲝᲪᲔᲡ

საქართველოს სსრ სახალხო არტისტს გაიოზ გოგიბერიძეს სასცენო მოღვაწეობის 50 წელი შეუსრულდა. ჩვენმა თანაქალაქელმა მსახიობმა, რომელმაც ამ
ხნის ხანმავლობაში სახეთა მთელი გალერეა შექმნა, კეთილი რეპუტაცია დაიმკვიდრა მაყურებელთა ფართო წრეებში.

გარდასახვის ჩინებულ ოსტატს ეს საიუბილეო თარიღი გულითადად მიულოცა საქართველოს თეატრალურანულე მოღვაწეთა კავშირმა და საპატიო სიგელით დააჭილდოვა.

ამავე მოვლენას საზეიმო შეხვედრით გამოეხმაურა ის კოლექტივი, რომლის მხარდამხარ ღირსეულად განვლო ცხოვ-რებისა და შემოქმედების გზა. ბათუმე-ლმა კოლეგებმა, ამაგდარ ხელოვანს უსურვეს ჯანმრთელობა, ახალ-ახალი მიღწევები სელოვნების ასპარეზზე და გადასცეს სამახსოვრო საჩუქრები.

აქარის იაკობ გოგებაშვილის სახელობის ბავშვთა რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში შეიქმნა რუსთაველის კლუბი. იგი
მიზნად ისახავს ნორჩ მკითხველთა შორის პროპაგანდა გაუწიოს შ. რუსთაველის უკვდავ "ვეფხისტყაოსანს", რუსთაველის ეპოქის მატერიალური და სულიერი კულტურის მემკვიდრეობას,
"ვეფხისტყაოსნის" იდეებს, პოემის ზეპირად მცოდნე ენთუზიასტთა გამოცდილებას.

კლუბის პირველ მეცადინეობაზე ბიბლიოთეკის დირექტორმა ე. ხუნდაძემ დამსწრეთ გააცნო მისი მიზანი და მუშაობის ფორმები.

პირველი მეცადინეობის თემა იყო "ვეფსისტყაოსნის" ზეპირად დასწავ-ლის ტრადიციები საქართველოში". ამ საკითხებზე შეკრებილთ ესაუბრა დო-ცენტი ი. ბიბილეიშვილი.

შემდეგ "ვეფხისტყაოსნის" ცალკეული თავები ზეპირად წაიკითხეს ნორჩმა მკითხველებმა ნ. სეხნიაშვილმა, დ. ქამადაძემ, დ. იაკობაძემ, ნ. იაშვილმა, თ. ჩავლეიშვილმა, ს. გაგუამ, ნ. ხაზარაძემ, მ. წილოსანმა და სხვებმა.



8360 40 333.

6 37/20

nerescense.

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫИ. И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

"40POXH"

ОРГАН СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ ИНДЕКС 78118